

თინათინ ბუთხუზი, სოფიკო ფაცაცია,
მარინე კუჭუხიძე, თამარ ხატისაშვილი

ქიმია X პლასი

მოსწავლის წიგნი

მეორე სემისტრი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს მიერ 2022 წელს



გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

**ქიმია, X კლასი
მოსწავლის წიგნი**

ავტორები:

თინათინ ბუთხუზი, სოფიკო ფაცაცია,
მარინე კუჭუხიძე, თამარ ხატისაშვილი.

**რედაქტორი: ემზარ ლომიძე
დიზაინერ-დამკაბადონებელი ლია არევაძე**

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“
მის: ქ. თბილისი, ე. მაღალაშვილის ქ. №5
ტელ: 568 10 54 67; 574 40 08 57
ელ. ფოსტა: info@saqmatsne.ge, sakmacne@gmail.com
www.saqmatsne.ge

© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2022
© თინათინ ბუთხუზი, სოფიკო ფაცაცია, მარინე კუჭუხიძე, თამარ ხატისაშვილი.

| გამოცემა, 2022 წელი

ISBN 978-9941-16-829-1

სარჩევი

თემა 2. ქიმიური კინეტიკა.....	5
თავი 1. ქიმიური რეაქცია და ენერგია	6
1.1 ენერგია და მისი სახეები.....	7
1.2 ეგზოთერმული და ენდოთერმული რეაქციები	11
1.3 საკვების ენერგეტიკული ღირებულება.....	18
სხვადასხვა თხილეულის ენერგეტიკული ღირებულების განსაზღვრა	23
1.4 ქიმიური პრინციპები	26
როგორ არეგულირებს ადამიანის ორგანიზმი წონას?	32
შემაჯამებელი სავარჯიშოები	33
თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები.....	35
2.1 ქიმიური რეაქციის სიჩქარე	36
2.2 დაჯახებათა თეორია	42
2.3 ქიმიური რეაქციის სიჩქარეზე მოქმედი ფაქტორები	47
ქიმიური რეაქციის სიჩქარის რეაგენტის კონცენტრაციაზე დამოკიდებულების დადგენა	56
ქიმიური რეაქციის სიჩქარის ტემპერატურაზე დამოკიდებულების დადგენა	59
2.4 კატალიზატორი	62
როგორ მზადდება ყველი?	68
შემაჯამებელი სავარჯიშოები	70
თავი 3. ქიმიური წონასწორობა	72
3.1 დინამიკური წონასწორობა	73
3.2 წონასწორობაზე მოქმედი ფაქტორები	79
როგორ წარმოიქმნება სტალაქტიტები და სტალაგმიტები?	86
შემაჯამებელი სავარჯიშოები	87
თემის შემაჯამებელი დავალებები	89
განვლილი მასალის შეჯამება	103
უსაფრთხოების წესები სასკოლო საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში მუშაობის პროცესში	105
როგორ იწერება და როგორ იკითხება ზოგიერთი ქიმიური ელემენტის სიმბოლო	106
ქიმიაში ხშირად გამოყენებული ერთეულები	107
მეტალთა ელექტროქიმიური აქტიურობის მნკრივი	107
ელემენტთა ფარდობითი ელექტროუარყოფითობების ცხრილი	108
მარილების, ფუძეებისა და მჟავების წყალში ხსნადობის ცხრილი	109
ქიმიური ელემენტების პერიოდულობის ცხრილი (გრძელი)	110
ქიმიური ელემენტების პერიოდულობის ცხრილი (მოკლე)	111
გამოსათვლელი დავალებების პასუხები	112
გამოყენებული რესურსები	112

სახელმძღვანელოში გამოყენებული პირობითი ნიშნები



– კითხვები და დავალებები



– ეს საინტერესოა



– საკვანძო კითხვები



– განვლილი მასალის შეჯამება



– შემაჯამებელი სავარჯიშოები



– ექსპერიმენტი

თავა 2. ქიმიური პინეტიკა



ამ თემის შესწავლის შემდეგ შეძლებთ უპასუხოთ კითხვებს:

- რატომაა ზოგიერთი რეაქცია ეგზოთერმული, ზოგიერთი კი – ენდოთერმული?
- რატომ გამოიყოფა სითბო ბუნებრივი აირის წვისას?
- როგორ დავადგინოთ საკვების კალორიულობა?
- როგორ დავაჩქაროთ ან შევანელოთ ქიმიური რეაქცია?
- რა როლი აქვს კატალიზატორებსა და ინჰიბიტორებს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში?
- რა გავლენა აქვს ფერმენტებს ორგანიზმებში მიმდინარე პროცესებზე?
- რა მნიშვნელობა აქვს ქიმიური რეაქციის სიჩქარის მართვას მრეწველობასა და ყოფა-ცხოვრებაში?
- როგორ ვმართოთ შექცევადი რეაქცია, სასურველი მიმართულებით რომ წარიმართოს?

თავი 1. ქიმიური რეაქცია და ენერგია

თავი 1. ქიმიური რეაქცია და ენერგია



თავი 1. ქიმიური რეაქცია და ენერგია

1.1


ენერგია და მისი სახეები

ქიმიური რეაქციები მიმდინარეობს არა მხოლოდ ლაბორატორიაში, არამედ ჩვენ გარშემოც. ყოველ ჯერზე, როცა ვიკვებებით ან ვვარჯიშობთ, ჩვენს სხეულში მიღიონობით ქიმიური გარდაქმნა მიმდინარეობს (ნახ. 1.1).



ნახ. 1.1. ქიმიური რეაქციები ჩვენ ირგვლივ.

ქიმიური რეაქციები სხვადასხვა ნიშნით შეიძლება დაჯგუფდეს (ნახ. 1.2). მათ კლასიფიკაციას უკვე ვიცნობთ, ამ თავში კი დეტალურად შევისწავლით მათ დაყოფას ენერგიის ცვლილებისა და შექცევადობის მიხედვით.



ნახ. 1.2. ქიმიურ რეაქციათა კლასიფიკაცია.

ყოველდღიურ ცხოვრებაში სიტყვა „ენერგიას“ ხშირად სხვადასხვა მნიშვნელობით ვიყენებთ (ნახ. 1.3).

თავი 1. ქიმიური რეაქცია და ენერგია



ნახ. 1.3. ტერმინ „ენერგიის“ გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მეცნიერული თვალსაზრისით მექანიკური ენერგია არის მუშაობის შესრულების უნარი. არსებობს ორი ტიპის მექანიკური ენერგია: პოტენციური და კინეტიკური. პოტენციურ ენერგიას ხშირად მდგომარეობის ან შენახულ ენერგიას უწოდებენ, კინეტიკური ენერგია კი მოძრაობის ენერგიაა. მაგალითად, კაშხალში დაგროვილ წყალს აქვს პოტენციური ენერგია, რადგან როდესაც ის გამოთავისუფლდება, აბრუნებს ტურბინებს და ასრულებს მუშაობას. წყლის გამოთავისუფლებისას პოტენციური ენერგია კინეტიკურ ენერგიად გარდაიქმნება (ნახ. 1.4).



ნახ. 1.4. ენგურჰესი.

ენერგიის მუდმივობის კანონის თანახმად, ენერგია არც ქრება და არც წარმოიქმნება, მხოლოდ ერთი ტიპის ენერგია გარდაიქმნება სხვა ტიპის ენერგიად, ამიტომ სამყაროს ენერგია მუდმივია (ნახ. 1.5).


თავი 1. ქიმიური რეაქცია და ენერგია



ნახ. 1.5. კინეტიკური და პოტენციური ენერგიის ურთიერთგარდაქმნა.

პოტენციური ენერგია აქვს ქიმიურ ნივთიერებებსაც მათში არსებული ბმების სახით. რეაქციის დროს ეს ბმები წყდება და ახალი ქიმიური ბმები წარმოიქმნება, რაც განაპირობებს ენერგიის ცვლილებას.


ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ წვის რეაქციების შედეგად გამოიყოფა დიდი რაოდენობით სითბო, რაც ენერგიის გადაცემის ფორმას წარმოადგენს. მაღალი ტემპერატურის გარემოში ნაწილაკები უფრო სწრაფად მოძრაობს და გადასცემს კინეტიკურ ენერგიას დაბალი სიჩქარის ნაწილაკებს (ნახ. 1.6).



ნახ. 1.6. ნაწილაკებს შორის სითბოს გადაცემა.

ტემპერატურა და სითბო განსხვავებული ცნებებია. ტემპერატურა ნაწილაკების მოძრაობის საშუალო კინეტიკური ენერგიის საზომს წარმოადგენს. განვიხილოთ მარტივი ექსპერიმენტი: ვთქვათ, გვაქვს დახურული ჭურჭელი, რომელიც თხელი მეტალის ფირფიტით გავიყილია ორ ტოლ ნაწილად (ნახ. 1.7). ჭურჭლის ორივე მხარეს ჩასხმულია 1 ლ მოცულობის წყალი. წყლის ტემპერატურა ერთ ნაწილში 90°C -ია, მეორე ნაწილში კი – 10°C . ცხელ წყალში მოლეკულები უფრო სწრაფად მოძრაობს, შესაბამისად მათი ენერგია მეტია, ვიდრე ცივ წყალში. ვინაიდან მეტალი კარგი თბოგამტარია, მეტალის ფირფიტის გავლით ენერგიის გადაცემა გამოიწვევს ცხელი წყლის ტემპერატურის შემცირებას, ხოლო ცივი წყლის ტემპერატურა – მოიმატებს. ამრიგად, ენერგია ცხელი წყლიდან ცივს გადაეცემა.


თავი 1. ქიმიური რეაქცია და ენერგია



ნახ. 1.7. მეტალის ტიხრით გაყოფილი ჭურჭელი.

რა მოხდება საბოლოოდ?

ორივე ნაწილში წყლის ტემპერატურა გათანაბრდება (ნახ. 1.8). ენერგიის მუდმივობის კანონის მიხედვით ცხელი წყლის მიერ გაცემული ენერგია ცივი წყლის მიერ შეძენილი ენერგიის ტოლი იქნება.



წყალი (50°C) წყალი (50°C)

ნახ. 1.8. ჭურჭლის ორივე მხარეს ტემპერატურა გათანაბრებულია, შესაბამისად მოლეკულათა მოძრაობის ენერგიებიც ტოლია.

ამრიგად, ტემპერატურა არის ნაწილაკების მოძრაობის საშუალო კინეტიკური ენერგიის საზომი; ხოლო სითბო – ენერგიის გადაცემის ფორმა.



კითხვები და დავალებები:

- ჩამოთვალეთ თქვენთვის ცნობილი ენერგიის წყაროები. რომელი მათგანი გვხდება საქართველოში? მოიძიეთ ინფორმაცია თითოეული მათგანის დადებით და უარყოფით მხარეებზე.

თავი 1. ქიმიური რეაქცია და ენერგია


1.2

ეგზოთერმული და ენდოთერმული რეაქციები

ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ ქიმიური რეაქციების დროს იცვლება ენერგია, რაც გამოიხატება სითბოს გამოყოფით ან შთანთქმით. ქიმიურ პროცესებში ენერგიის გადაცემის აღწერისთვის ხშირად იყენებენ ტერმინებს: „სისტემა“ და „გარემო“, სადაც სისტემა სარეაქციო არეა, ხოლო გარემო – ყველაფერი, რაც მის ირგვლივაა ან მას უშუალოდ ეხება.

როგორც კლასიფიკირების ნახაზიდან (იხ. ნახ. 1.2) ჩანს, ენერგიის ცვლილების მიხედვით რეაქციები შეიძლება იყოს ეგზოთერმული და ენდოთერმული.


ეგზოთერმულ რეაქციებში სითბო გამოიყოფა და სისტემიდან გადაეცემა გარემოს, შესაბამისად გარემოს ტემპერატურა იმატებს; ხოლო ენდოთერმულ რეაქციებში სითბო შთანთქმება სისტემის მიერ და გარემოს ტემპერატურა იკლებს (ნახ. 1.9).



ნახ. 1.9. ეგზოთერმული და ენდოთერმული რეაქციები.

ზოგადად, ქიმიურ რეაქციებში შთანთქმულ ან გამოყოფილ სითბოს Q ასოთი აღნიშნავენ.

ეგზოთერმული რეაქციების მაგალითებია წვა, ნეიტრალიზაცია და სხვ., ხოლო ენდოთერმული რეაქციებისა – კირქვის დაშლა, წყლის ელექტროლიზი და სხვ. (ნახ. 1.10).



ნახ. 1.10. სურათებზე ნაჩვენები რეაქცია გარემოდან იმდენად დიდი რაოდენობის სითბოს შთანთქავს, რომ კოლბა, რომელშიც რეაქცია ტარდება, სადგამს ეყინება.

თავი 1. ქიმიური რეაქცია და ენერგია

ქიმიის დარგს, რომელიც სწავლობს ენერგიის ცვლილებას სხვადასხვა პროცესში, თერმოქიმია ეწოდება, ხოლო რეაქციის ტოლობას, სადაც ნაჩვენებია ენერგიის ცვლილება – თერმოქიმიური ტოლობა. SI სისტემაში ენერგიის ერთეულია ჯოული (კკ), თუმცა ხშირად გამოიყენება ენერგიის კიდევ ერთი ერთეული – კალორია (კალ). $1 \text{ კალ} = 4.18 \text{ კკ}$ არის ენერგია, რომელიც 1 გ წყლის 1 გრადუსით გასათბობადა საჭირო. კალორიებს ძირითადად იყენებენ საკვების ენერგეტიკული ღირებულების გამოსახვისთვის.


ეგზოთერმულ რეაქციაში გამოყოფილი სითბოს რაოდენობას მიუთითებენ პროდუქტების მხარეს "+" ნიშნით ან რეაგენტების მხარეს "-" ნიშნით. მაგალითად, ექსპერიმენტულად დადგენილია რომ 1 მოლი ნახშირის წვის შედეგად გამოყოფილი სითბოს რაოდენობაა 393.5 კკ, მოცემული რეაქციის თერმოქიმიური ტოლობაა ასე ჩაიწერება:



ან




გრაფიკულად ეს პროცესი შეიძლება ასე გამოისახოს (ნახ. 1.11):




ნახ. 1.11. ეგზოთერმული რეაქციის გრაფიკი.

გრაფიკზე ჩანს, რომ პროდუქტების პოტენციური ენერგია ნაკლებია რეაგენტების პოტენციურ ენერგიაზე. ამიტომ ეგზოთერმული რეაქციის განხორციელების შედეგად სისტემაში ენერგია შემცირდება და გამოთავისუფლდება ენერგია, რომელიც გარემოში სითბოს სახით გამოიყოფა, და გარემო გათბება.

ენდოთერმული რეაქციის თერმოქიმიურ ტოლობაში შთანთქმული სითბო შეიძლება ჩაიწეროს რეაგენტების მხარეს "+" ნიშნით ან პროდუქტების მხარეს "-" ნიშნით. მაგალითად, კალციუმის კარბონატის დაშლა არის ენდოთერმული რეაქცია და ის საჭიროებს მუდმივ გახურებას. 1 მოლი კალციუმის კარბონატის სრულად დაშლას ესაჭიროება 169.5 კკ სითბო. ამ რეაქციის თერმოქიმიური ტოლობა ასე ჩაიწერება:




ან



ენდოთერმული რეაქციის შესაბამისი ენერგიის ცვლილების დიაგრამაა (ნახ. 1.12):

თავი 1. ქიმიური რეაქცია და ენერგია



ნახ. 1.12. ენდოთერმული რეაქციის გრაფიკი.

გრაფიკის მიხედვით, ენდოთერმული რეაქციის პროდუქტების პოტენციური ენერგია რეაგენტების პოტენციურ ენერგიაზე მეტია, ამიტომ ასეთი რეაქციის განხორციელებისათვის სისტემაში ენერგია უნდა გაიზარდოს. ამისათვის სისტემა ენერგიას გარემოდან სითბოს სახით შთანთქავს, რის გამოც გარემო გაცივდება.

ყოველდღიურ ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წვის რეაქციებს, რომელთა დროსაც გამოყოფილი ენერგია ძირითადად გარდაიქმნება სითბურ ენერგიად და გამოიყენება სხვადასხვა მიზნით. ნებისმიერი საწვავი ენერგიის წყაროა.

წიაღისეული საწვავი, როგორიცაა ქვანახშირი, ნავთობი და ბუნებრივი აირი, მსოფლიოში ყველაზე ხშირად გამოყენებული საწვავის სახეებია.

რა განასხვავებს საწვავის ტიპებს ერთმანეთისგან (ნახ. 1.13)?



ნახ. 1.13. საწვავის ტიპებს შორის განსხვავებები.

საწვავზე მოთხოვნა დღითიდლე იზრდება, ამასთანავე მნიშვნელოვანია, მინიმუმამდეშემცირდეს გარემოზე უარყოფითი ზეგავლენა. ამიტომაც თანამედროვე მსოფლიოში ძალიან აქტუალურია საწვავის ალტერნატიული წყაროები, როგორებიცაა წყალბადი და ეთანოლი. ბოლო წლებში აქტიურად გამოიყენება მანქანის საწვავი სახელწოდებით E85, რომელიც შეიცავს 85% ეთანოლსა და 15% ბენზინს. მიუხედავად მისი უპირატესობისა (მაღალი ეკოლოგიური სისუფთავე), ის სხვა საწვავთან შედარებით ნაკლებ ენერგიას გამოყოფს (ცხრილი 1.1).

თავი 1. ქიმიური რეაქცია და ენერგია

ცხრილი 1.1. სხვადასხვა საწვავის წვისას გამოყოფილი სითბოს რაოდენობა.

საწვავის ტიპი	1 მოლი საწვავის წვისას გამოყოფილი სითბოს რაოდენობა, კჯ/მოლი
მეთანი (ბუნებრივი აირის ძირითადი შემადგენელი ნივთიერება)	890
ეთანოლი (E85-ის ძირითადი შემადგენელი ნივთიერება)	1370
იზოოქტანი (ბენზინის ძირითადი შემადგენელი ნივთიერება)	5460
პროპანი (გათხევადებული აირის ძირითადი შემადგენელი ნივთიერება)	2220
ბუტანი (გათხევადებული აირის შემადგენელი ერთ-ერთი ნივთიერება)	2880

განვიხილოთ იზოოქტანის (C_8H_{18}) წვის რეაქციის ტოლობა:



ცნობილია, რომ 1 მოლი იზოოქტანის წვის დროს გამოყოფა **5460** კჯ სითბო. რადგან გათანაბრებული რეაქციის ტოლობაში იზოოქტანის კოეფიციენტია 2, შესაბამისად, თერმოქიმიურ ტოლობაში უნდა მივუთითოთ სითბოს ის რაოდენობა, რომელიც 2 მოლის წვის დროს გამოყოფა, ანუ $5460 \cdot 2 = 10920$ კჯ:



ხშირ შემთხვევაში თერმოქიმიურ ტოლობებში იყენებენ ნილად კოეფიციენტებს, რათა აჩვენონ რეაქციის სითბური ეფექტი, ანუ 1 მოლზე გამოყოფილი ან შთანთქმული სითბოს რაოდენობა. ამ შემთხვევაში იზოოქტანის წვის რეაქციის თერმოქიმიური ტოლობა ასე ჩაიწერება:





ამოცანის ამოხსნის ნიმუში – 1

ამოცანა: ხშირად მსუბუქ ავტომობილებსა და ავტობუსებში საწვავად იყენებენ ბუნებრივ აირს, რომლის მთავარ კომპონენტსაც ნარმოადგენს მეთანი, ან გათხევადებულ აირს, რომელიც პროპანისა და ბუტანის ნარევია. ჩათვალეთ, რომ ბუნებრივი აირი შედგება მხოლოდ მეთანისგან (CH_4), ხოლო გათხევადებული აირი – მხოლოდ პროპანისგან (C_3H_8) და შეადარეთ ერთმანეთს ენერგიები, რომლებიც 1 გ მეთანისა და 1 გ პროპანის წვის შედეგად გამოიყოფა. გამოთვლებისას გამოიყენეთ ცხრილი 1.1. ასევე გამოთვალეთ, რა მოცულობის (ნ. პ.) უანგბადი და ჰაერია საჭირო 1 ლ მეთანისა და პროპანის სრული წვისთვის ცალ-ცალკე.

თავი 1. ქიმიური რეაქცია და ენერგია

ამოხსნა:

პირველ რიგში, დავწეროთ მეთანისა და პროპანის სრული წვის რეაქციათა ტოლობები:



ამოცანის პირობის თანახმად, 1 მოლი მეთანის სრული წვის დროს გამოიყოფა 890 კჯ სითბო. ჩვენ კი გვაინტერესებს, რა რაოდენობის სითბო გამოიყოფა 1 გ მეთანის დაწვისას.

ამისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ამოხსნის 2 გზა.

I გზა:

გამოვთვალოთ, რამდენი მოლია 1 გ მეთანი:

$$n(\text{CH}_4) = 1/16 = 0.0625 \text{ მოლი}$$

და შემდეგ შევადგინოთ დამოკიდებულება მეთანის მოლთა რიცხვსა და გამოყოფილ სითბოს რაოდენობას შორის:

თუ 1 მოლი მეთანის წვისას გამოიყოფა 890 კჯ სითბო,
მაშინ 0.0625 მოლი მეთანის წვისას გამოიყოფა X კჯ სითბო.

აქედან:

$$X = \frac{0.0625 \text{ მოლი} \cdot 890 \text{ კჯ}}{1 \text{ მოლი}} = 55.6 \text{ კჯ}$$

II გზა:

გამოვთვალოთ 1 მოლი მეთანის მასა:

$$m(\text{CH}_4) = 1 \text{ მოლი} \cdot 16 \text{ გ/მოლი} = 16 \text{ გ}$$

შევადგინოთ დამოკიდებულება მეთანის მასასა და გამოყოფილ სითბოს რაოდენობას შორის:

თუ 16 გ მეთანის წვისას გამოიყოფა 890 კჯ სითბო,
მაშინ 1 გ მეთანის წვისას გამოიყოფა X კჯ სითბო.

აქედან:

$$X = \frac{1 \text{ გ} \cdot 890 \text{ კჯ}}{16 \text{ გ}} = 55.6 \text{ კჯ}$$

იგივე მოქმედებები შევასრულოთ პროპანზე და გამოვთვალოთ გამოყოფილი სითბო:

$$n(\text{C}_3\text{H}_8) = 1/44 \approx 0.023 \text{ მოლი}$$

თუ 1 მოლი პროპანის წვისას გამოიყოფა 2220 კჯ სითბო,
მაშინ 0.023 მოლი პროპანის წვისას გამოიყოფა X კჯ სითბო.

აქედან:

$$X = \frac{0.023 \text{ მოლი} \cdot 2220 \text{ კჯ}}{1 \text{ მოლი}} = 51.1 \text{ კჯ}$$

თავი 1. ქიმიური რეაქცია და ენერგია

გამოთვლები გვიჩვენებს, რომ 1 გ მეთანის წვისას გამოიყოფა $55.6 : 51.1 \approx 1.1$ -ჯერ მეტი სითბო, ვიდრე 1 გ პროპანის წვისას.

გადავიდეთ ამოცანის მეორე ნაწილზე. გამოვთვალოთ დახარჯული ჟანგბადის მოცულობა, ჯერ მეთანის, შემდეგ კი პროპანის შემთხვევაში.

გავიხსენოთ, რომ ავოგადროს კანონიდან გამომდინარე, ერთნაირ ფიზიკურ პირობებში აირების რაოდენობებს შორის თანაფარდობა მათ მოცულობებს შორის თანაფარდობის ტოლია. ამის საფუძველზე შეგვიძლია შევადგინოთ პროპორცია:

თუ 1 მოლი მეთანის წვისთვის იხარჯება 2 მოლი ჟანგბადი,
მაშინ 1 ლ მეთანის წვისთვის დაიხარჯება X ლ ჟანგბადი.

აქედან:

$$X = \frac{1 \text{ ლ} \cdot 2 \text{ მოლი}}{1 \text{ მოლი}} = 2 \text{ ლ} \quad (\text{ჟანგბადი}), \text{ ჰაერი კი დაახლ. } 5\text{-ჯერ მეტი, ანუ } 2 \cdot 5 = 10 \text{ ლ}$$

(ჩათვლილია, რომ ჰაერში ჟანგბადის შემცველობაა დაახლოებით 20%).

ხოლო პროპანის შემთხვევაში:

თუ 1 მოლი პროპანის წვისთვის იხარჯება 5 მოლი ჟანგბადი,
მაშინ 1 ლ პროპანის წვისთვის დაიხარჯება X ლ ჟანგბადი.

აქედან:

$$X = \frac{1 \text{ ლ} \cdot 5 \text{ მოლი}}{1 \text{ მოლი}} = 5 \text{ ლ} \quad (\text{ჟანგბადი}), \text{ ჰაერისათვის კი დაახლ. } 5\text{-ჯერ მეტი, ანუ } 5 \cdot 5 = 25 \text{ ლ.}$$



პასუხი: 1 გ მეთანის წვისას გამოიყოფა 1.1 -ჯერ მეტი სითბო, ვიდრე 1 გ პროპანის წვისას.

1 ლ მეთანის წვისთვის დაიხარჯება 2 ლ ჟანგბადი და 10 ლ ჰაერი, ხოლო 1 ლ პროპანის წვისთვის – 5 ლ ჟანგბადი და 25 ლ ჰაერი.




კითხვები და დავალებები:

1. ქვემოთ მოყვანილი თერმოქიმიური ტოლობებიდან რომელია ეგზოთერმული და რომელი - ენდოთერმული? პასუხი დაასაბუთეთ.



2. ჩაუმქრალ კირს, რომელსაც კირქვის გამოწვით იღებენ, ბევრი მიმართულებით იყენებენ, მათ შორის სამშენებლო საქმესა და მინის წარმოებაში. რა რაოდენობით სითბო დაიხარჯება 5.6 კგ ჩაუმქრალი კირის მისალებად, თუ კირქვის დაშლის თერმოქიმიური რეაქციაა:



თავი 1. ქიმიური რეაქცია და ენერგია

3. ფოსფორის წვის თერმოქიმიური ტოლობაა: $4P + 5O_2 \rightarrow 2P_2O_5 + 3010\text{ კჯ}$, რაც ნიშნავს, რომ 4 მოლი ფოსფორის წვის შედეგად გამოიყოფა 3010 კჯ სითბო. გამოთვალეთ სითბოს რაოდენობა, რომელიც გამოიყოფა 31 კგ ფოსფორის დაწვის შედეგად.
4. მეტალთა შედუღებისთვის ხშირად იყენებენ აცეტილენის სანთურას. ამ დროს გამოყოფილი დიდი რაოდენობით სითბოს ხარჯზე მეტალი ლღვება და შესაძლებელია მისი მარტივად დამუშავება. წვა მიმდინარეობს კაშკაშა ალით, ამიტომ ავტოგენური შედუღებისას აუცილებელია დამცავი სათვალის გაკეთება.



- 5) დაწერეთ აცეტილენის სრული წვის რეაქციის ტოლობა და გამოთვალეთ, რა რაოდენობის სითბო გამოიყოფა 39 გ აცეტილენის დაწვის შედეგად, თუ ცნობილია, რომ აცეტილენის წვის სითბოა 1300 კჯ/მოლი.
- 6) გამოთვალეთ, რა მოცულობის ჟანგბადი დაიხარჯება 224 ლ (ნ. პ.) აცეტილენის წვაზე?
- 7) შეიძლება თუ არა იმავე დანიშნულებით მეთანის სანთურის გამოყენება? პასუხი დაასაბუთეთ.
5. ბუნებრივი აირის მთავარი შემადგენელი ნივთიერების, მეთანის (CH_4) დაშლისას 1500°C -ზე, წარმოიქმნება აცეტილენი (C_2H_2) და წყალბადი, რომლებიც ქიმიური წარმოებისთვის მნიშვნელოვან ნედლეულს წარმოადგენს. 11.2 ლ მეთანის (ნ. პ.) დაშლისას შთაინთერმება 37.4 კჯ სითბო. შეადგინეთ ამ რეაქციის თერმოქიმიური ტოლობა.
6. ბუნებაში პიკნიკისას საჭმლის მოსამზადებლად ხშირად იყენებენ გათხევადებული აირის ბალონს.



გამოიყენეთ ცხრილი 1.1 და გამოთვალეთ, რა რაოდენობის სითბო გამოიყოფა ბალონში მოთავსებული 10 კგ აირის წვისას, თუ გათხევადებული აირის მასური შედგენილობაა: პროპანი - 60%, ბუტანი - 40%.

თავი 1. ქიმიური რეაქცია და ენერგია

1.3

საკვების ენერგეტიკული ღირებულება

სითბოს შთანთქმა ყველა ნივთიერებას შეუძლია. მაგალითად, როდესაც ნამცხვარს ვაცხობთ, მომზადებულ მასას ვათავსებთ ღუმელში, საიდანაც ის გარკვეული რაოდენობის სითბოს იღებს (ნახ. 1.14). კარტოფილის შეწვას კი სხვა რაოდენობის სითბო დასჭირდება. ასევე განსხვავებულია სხვადასხვა მასალისგან დამზადებული ჭურჭლის მიერ სითბოს შთანთქმის უნარი. ჩვენთვის ცნობილია, რომ სითბოს რაოდენობას, რომელიც 1 გრამი ნივთიერების ტემპერატურის $1 \text{ }^{\circ}\text{C}$ -ით გასაზრდელად არის საჭირო, ნივთიერების კუთრი სითბოტევადობა ეწოდება. ამ ფიზიკურ სიდიდეს c სიმბოლოთი აღნიშნავენ. მაგალითად, $1 \text{ გ} \text{ ალუმინის ტემპერატურის } 1 \text{ }^{\circ}\text{C}-\text{ით } \text{გასაზრდელად } \text{საჭიროა } 0.90 \text{ } \text{ჯ} \text{ სითბოს } \text{შთანთქმა. } \text{აქედან } \text{გამომდინარე, } \text{ალუმინის } \text{კუთრი } \text{სითბოტევადობაა } c = 0.90 \text{ } \text{ჯ}/\text{გ} \cdot \text{ }^{\circ}\text{C}$ (ნახ. 1.15). SI-სისტემაში კუთრი სითბოტევადობის ერთეულია $\text{ჯ}/\text{კგ} \cdot \text{ }^{\circ}\text{C}$, სადაც K ტემპერატურის ერთეულია კელვინებში (ცხრილი 1.2).

$2 \text{ გ} \text{ ალუმინის ტემპერატურა } 1 \text{ }^{\circ}\text{C}-\text{ით } \text{რომ } \text{გაიზარდოს, } \text{ამისათვის } \text{საჭირო } \text{იქნება } 2 \cdot 0.90 = 1.80 \text{ } \text{ჯ} \text{ სითბო; } \text{ ხოლო } 1 \text{ გ} \text{ ალუმინის ტემპერატურის } 2 \text{ }^{\circ}\text{C}-\text{ით } \text{გასაზრდელად } \text{ასევე } 2 \cdot 0.90 = 1.80 \text{ } \text{ჯ} \text{ სითბოა } \text{საჭირო.}$

ამგვარად, საჭირო სითბოს რაოდენობა (Q) ნივთიერების მასისა (m) და ტემპერატურის ცვლილების (Δt) პირდაპირობორციულია. ნივთიერების კუთრი სითბოტევადობა გამოითვლება ფორმულით:

$$c = \frac{Q}{m(t_2 - t_1)}$$

$$\Delta t = t_2 - t_1$$


$$Q = m \cdot c \cdot \Delta t = m \cdot c \cdot (t_2 - t_1)$$

ცხრილი 1.2. ზოგიერთი ნივთიერების კუთრი სითბოტევადობა.

ნივთიერება	$\text{ჯ}/\text{გ} \cdot \text{ }^{\circ}\text{C}$	$\text{კალ}/\text{გ} \cdot \text{ }^{\circ}\text{C}$
ალუმინი	0.897	0.214
სპილენძი	0.385	0.092
ოქრო	0.129	0.0308
რკინა	0.452	0.108
ვერცხლი	0.235	0.0562
ტიტანი	0.523	0.125
ნიალი	4.184	1.00
ყინული	2.03	0.485



ნახ. 1.14. ნამცხვარი შთანთქმას ღუმელში არსებულ სითბოს და ამის ხარჯზე ცხვება.



ნახ. 1.15. ალუმინის სითბოტევადობაა $c = 0.90 \text{ } \text{ჯ}/\text{გ} \cdot \text{ }^{\circ}\text{C}$

თავი 1. ქიმიური რეაქცია და ენერგია

ენერგიის ერთეულად ასევე ხშირად გამოიყენება კალორია (კალ). 1 კალ არის ენერგია, რომელიც 1 გ წყლის (თხევად მდგომარეობაში) 1°C -ით გასათბობად არის საჭირო. 1 კალ შეესაბამება $4.18 \text{ J/g} \cdot ^{\circ}\text{C}$; აქედან გამომდინარე, წყლის კუთრი სითბოტევადობაა:

$$c = 4.18 \text{ J/g} \cdot ^{\circ}\text{C} = 1 \text{ კალ/g} \cdot ^{\circ}\text{C}$$

აღნიშნული სიდიდეები ხშირად გამოიყენება პრაქტიკაში. განვიხილოთ ამოცანების ამოხსნის ნიმუშები:

ამოცანის ამოხსნის ნიმუში – 2:

ამოცანა: გამოიყენეთ ცხრილი 1.2 და გამოთვალეთ, რა რაოდენობის სითბო (კკ) დაიხარჯება ერთი ჭიქა ჩაის მოსამზადებლად საჭირო წყლის (250 გ) ადულებისას, თუ წყალს ოთახის ტემპერატურა (20°C) აქვს.

ამოხსნა:

შევადგინოთ მოცემულობა:

მოც:

$$m (\text{H}_2\text{O}) = 250 \text{ g}$$

$$t_1 = 20^{\circ}\text{C}$$

$$t_2 = 100^{\circ}\text{C}$$

$$c = 4.18 \text{ J/g} \cdot ^{\circ}\text{C}$$

უკ.: $Q = ?$

დავწეროთ სითბოს რაოდენობის გამოსათვლელი ფორმულა:

$$Q = m \cdot c \cdot \Delta t = m \cdot c \cdot (t_2 - t_1)$$

$$\Delta t = t_2 - t_1 = 100 - 20 = 80^{\circ}\text{C}$$

$$Q = 250 \text{ g} \cdot 4.18 \text{ J/g} \cdot ^{\circ}\text{C} \cdot 80^{\circ}\text{C} = 83\,600 \text{ J} = 83.6 \text{ კკ}$$

ამოცანის ამოხსნის ნიმუში – 3:

ამოცანა: მოცემულია თანაბარი მოცულობის (10 cm^3) სამი მეტალის (ოქრო, სპილენძი და ვერცხლი) კუბი. გამოიყენეთ ცხრილი 1.2 და გამოთვალეთ, რა რაოდენობის სითბო (კკ) იქნება საჭირო თითოეული მეტალის 15°C -დან 25°C -დე გასათბობად, თუ ცნობილია, რომ მათი სიმკვრივეები, შესაბამისად, არის – 19.32 g/cm^3 , 8.96 g/cm^3 , 10.49 g/cm^3 .



ამოხსნა:

შევადგინოთ მოცემულობა:

მოც:

$$V(\text{Au}) = 10 \text{ cm}^3; V(\text{Cu}) = 10 \text{ cm}^3; V(\text{Ag}) = 10 \text{ cm}^3;$$

$$\rho(\text{Au}) = 19.32 \text{ g/cm}^3; \rho(\text{Cu}) = 8.96 \text{ g/cm}^3; \rho(\text{Ag}) = 10.49 \text{ g/cm}^3.$$

$$t_1 = 15^{\circ}\text{C}$$

თავი 1. ქიმიური რეაქცია და ენერგია

$$t_2 = 25^\circ\text{C}$$

$$c(\text{Au}) = 0.129 \text{ J/g} \cdot ^\circ\text{C}; c(\text{Cu}) = 0.385 \text{ J/g} \cdot ^\circ\text{C}; c(\text{Ag}) = 0.235 \text{ g/J} \cdot ^\circ\text{C};$$

$$\text{უ.ვ.: } Q(\text{Au}) - ?; Q(\text{Cu}) - ?; Q(\text{Ag}) - ?$$

პირველ რიგში, გამოვთვალოთ თითოეული მეტალის კუბის მასა:

$$m = \rho \cdot V$$

$$m(\text{Au}) = 10 \text{ cm}^3 \cdot 19.32 \text{ g/cm}^3 = 193.2 \text{ g}$$

$$m(\text{Cu}) = 10 \text{ cm}^3 \cdot 8.96 \text{ g/cm}^3 = 89.6 \text{ g}$$

$$m(\text{Ag}) = 10 \text{ cm}^3 \cdot 10.49 \text{ g/cm}^3 = 104.9 \text{ g}$$

სითბოს რაოდენობის გამოსათვლელი ფორმულა:

$$Q = m \cdot c \cdot \Delta t = m \cdot c \cdot (t_2 - t_1)$$

$$\Delta t = t_2 - t_1 = 25 - 15 = 10^\circ\text{C}$$

$$Q(\text{Au}) = 193.2 \text{ g} \cdot 0.129 \text{ J/g} \cdot ^\circ\text{C} \cdot 10^\circ\text{C} = 249.228 \text{ J} \approx 0.249 \text{ кДж}$$

$$Q(\text{Cu}) = 89.6 \text{ g} \cdot 0.385 \text{ J/g} \cdot ^\circ\text{C} \cdot 10^\circ\text{C} = 334.565 \text{ J} \approx 0.335 \text{ кДж}$$

$$Q(\text{Ag}) = 104.9 \text{ g} \cdot 0.235 \text{ J/g} \cdot ^\circ\text{C} \cdot 10^\circ\text{C} = 246.515 \text{ J} \approx 0.247 \text{ кДж}$$


საკვები პროდუქტების ეტიკეტს თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ მასზე მითითებულია „ენერგეტიკული ღირებულება“, რომელიც კალორიებით არის გამოსახული. სწორედ კალორიების რაოდენობის მიხედვით ურჩევენ დიეტოლოგები პაციენტებს, ჯანსაღი კვებისათვის რომელი საკვები რა რაოდენობით უნდა მიირთვან.

რა არის კალორია? რომელი საკვებია ყველაზე კალორიული? როგორ შეიძლება საკვების ენერგეტიკული ღირებულების განსაზღვრა?

ორგანიზმისათვის აუცილებელი ენერგია, რომელსაც საკვებიდან ვიღებთ, წარმოიქმნება საკვებში არსებული ორგანული ნივთიერებების (ნახშირნყლების, ცილების, ცხიმების) დაშლისა და უანგვის შედეგად. ეს ენერგია რაოდენობრივად იმ სითბოს ტოლია, რომელიც ამ ნივთიერებების დაწვის შედეგად გამოიყოფოდა. სწორედ ამას ეფუძნება საკვების ენერგეტიკული ღირებულების განსაზღვრის კალორიმეტრული მეთოდი.

კალორიმეტრი არის ხელსაწყო, რომლის საშუალებითაც იზომება სხეულის ან ნივთიერების ქიმიური გარდაქმნის შედეგად გამოყოფილი ან შთანთქმული სითბოს რაოდენობა.

კალორიმეტრის გამარტივებული სქემა მოცემულია 1.16 ნახაზზე.



ნახ. 1.16. კალორიმეტრი.

თავი 1. ქიმიური რეაქცია და ენერგია

როგორც ნახაზიდან ვხედავთ, კალორიმეტრის მეტალის კონტეინერის ფსკერზე მოთავსებულია კორპის საცობი, რომელშიც ჩარჭობილია ნემსი. ამ ნემსზე ამაგრებენ საკვლევ ნიმუშს და უკიდებენ ცეცხლს. წყისას გამოყოფილი ენერგია ათბობს შიდა, მეტალის კონტეინერს, რომელშიც წყალი ასხია. კალორიმეტრს აუცილებლად უნდა ჰქონდეს საჰაერო ნახვრეტები, რათა მიეწოდოს უანგბადი, რომელიც ხელს უწყობს ნიმუშის წვას. ამის შედეგად წყალიც თბება, შესაბამისად, იცვლება მასში ჩაშვებული თერმომეტრის ჩვენება.

საკვლევი ნიმუშის წვისას გამოყოფილი სითბო გამოითვლება ფორმულით:

$$Q = k \cdot c_{H_2O} \cdot m_{H_2O} \cdot (t_2 - t_1)$$

სადაც:

Q – მოცემული ნიმუშის წვის შედეგად გამოყოფილი სითბოს რაოდენობაა;

k – კოეფიციენტი, რომლის საშუალებითაც ხელსაწყობს უზუსტობას უგულებელყოფენ. ის ინდივიდუალურია თითოეული ხელსაწყოსათვის. მაგალითად, ზემოთ აღნერილი ხელსაწყოსთვის (ნახ. 1.16) $k = 2$, რაც იმას ნიშნავს, რომ კალორიმეტრში ჩასხმული წყლის გათბობაზე იხარჯება დაახლოებით 2-ჯერ ნაკლები სითბო, ვიდრე ნიმუშის წვისას გამოყოფა, რაც, ძირითადად, გარემოში ენერგიის დაკარგვით არის გამოწვეული;

c_{H_2O} – წყლის კუთრი სითბოტევადობაა $c_{H_2O} = 1 \text{ კალ}/(\text{გ}\cdot\text{°C})$, ანუ $4.18 \text{ ჯ}/(\text{გ}\cdot\text{°C})$;

m_{H_2O} – აღებული წყლის მასაა;

t_1 – წყლის საწყისი ტემპერატურა (ვიდრე საწყისი ნივთიერების წვა დაინტებოდა);

t_2 – წყლის საბოლოო ტემპერატურა.

პროდუქტის ენერგეტიკულ ღირებულებას, ანუ კალორიულობას ანგარიშობენ კილოკალორიებში (კკალ) 100 გ პროდუქტზე . ამისათვის საკვლევი ნიმუში დაწვამდე და დაწვის შემდეგ უნდა აიწონოს. $100 \text{ გ-ზე } 2 \text{ კკალ}$ გადასაანგარიშებლად ნიმუშის წვის შედეგად გამოყოფილი სითბოს რაოდენობა უნდა გაიყოს ნიმუშის მასაზე და გამრავლდეს 100 -ზე:

$$E_{100} = \frac{Q \cdot 100}{(m_1 - m_2)}$$

სადაც:

E_{100} – პროდუქტის ენერგეტიკული ღირებულებაა;

Q – მოცემული ნიმუშის წვის შედეგად გამოყოფილი სითბოს რაოდენობაა;

m_1 – საანალიზოდ აღებული ნიმუშის მასაა დაწვამდე;

m_2 – საანალიზოდ აღებული ნიმუშის მასაა დაწვის შემდეგ;

100 -ზე გამრავლება საჭიროა $100 \text{ გ პროდუქტზე } 2 \text{ კკალ}$ გადასაანგარიშებლად.

მიღებული კალორია შეგიძლიათ გადაიყვანოთ კილოკალორიაში ($1 \text{ კკალ} = 1000 \text{ კალ}$). განვიხილოთ პრაქტიკული ამოცანის ამოხსნის მაგალითი:

ამოცანის ამოხსნის ნიმუში – 4:

ამოცანა: კალორიმეტრში, რომლის $k = 2$, ჩასხეს 50 მლ წყალი, რომლის ტემპერატურაც იყო 22 °C . ნემსის წვერზე წამოაცვეს საკვლევი პროდუქტის ნიმუში (ნუშის ნატეხი), რომლის მასაც იყო 1.27 გ . ნიმუშის დაწვის შემდეგ წყლის ტემპერატურა გახდა 30 °C , ხოლო ნიმუშის ნარჩენის მასა – 1.12 გ . გამოთვალეთ პროდუქტის ენერგეტიკული ღირებულება (კკალ).

თავი 1. ქიმიური რეაქცია და ენერგია

ამოხსნა:

$$\text{მოც.: } m_1 = 1.27 \text{ გ}$$

$$m_2 = 1.12 \text{ გ}$$

$$t_1 = 22^\circ\text{C}$$

$$t_2 = 30^\circ\text{C}$$

$$m_{H_2O} = 50 \text{ გ}$$

$$k = 2$$

$$\text{უ. 3.: } E_{100}$$

გამოვიყენოთ სითბოს გამოსათვლელი ფორმულა:

$$Q = k \cdot C_{H_2O} \cdot m_{H_2O} \cdot (t_2 - t_1)$$

$$Q = 2 \cdot 1 \frac{\text{ჯალ}}{\text{გ} \cdot \text{°C}} \cdot 50 \text{ გ} \cdot (30 - 22) \text{ °C} = 800 \text{ კალ}$$

გამოვიანგარიშოთ პროდუქტის ენერგეტიკული ღირებულება კალორიებში, შემ-დეგი ფორმულის გამოყენებით:

$$E_{100} = \frac{Q \cdot 100}{(m_1 - m_2)}$$

$$E_{100} = \frac{800 \text{ კალ} \cdot 100 \text{ გ}}{(1.27 - 1.12) \text{ გ}} = 533333 \text{ კალ}$$

$$E_{100} \approx 533 \text{ კკალ}$$

ამრიგად, 100 გ ამ პროდუქტის (ნუშის) მირთმევით თქვენ 533 კკალ ენერგიას მიიღებთ.



კითხვები და დავალებები:

1. გადახაზეთ ცხრილი სამუშაო რვეულში და შეავსეთ ცარიელი უჯრები:

წყალი			
მასა, გ	ტემპერატურის ცვლილება, °C	ენერგია, კკ	ენერგია, კალ
100	24.2		
75			1.29 · 10 ³
	18.4	59.6	

2. დადგენილია, რომ ადამიანი 4 კმ/სთ სიჩქარით სიარულისას 1 სთ-ში საშუალოდ 400 კკალ ენერგიას ხარჯავს. რამდენი ხანი უნდა იაროს ამ სიჩქარით ადამიანმა, რომ დაიკლოს 2 კგ (ცხიმის მასის), თუ 1 გ ცხიმი შეესაბამება 7.6 კკალ ენერგიას? ჩათვალეთ, რომ ამ დროს მხოლოდ ცხიმი იწვება.

თავი 1. ქიმიური რეაქცია და ენერგია



სხვადასხვა თხილეულის ენერგეტიკული ღირებულების განსაზღვრა

ცნობილია, რომ თხილეული გამოირჩევა ცხიმის მაღალი შემცველობით, რის გამოც ის კალორიულ საკვებად მიიჩნევა. როგორ შეიძლება განისაზღვროს მათი კალორიულობა? ჩაატარეთ ექსპერიმენტი თქვენ მიერ შერჩეული თხილეულის ენერგეტიკული ღირებულების დასადგენად.



ექსპერიმენტისათვის დაგჭირდებათ:

რესურსები:

- სამი სახეობის თხილეული
- გამოხდილი წყალი

ქიმიური ჭურჭელი და ხელსაწყოები:

- კალორიმეტრი ან ალუმინის ქილა
- ასანთი
- ნემსი
- სასწორი
- თერმომეტრი

ექსპერიმენტის მსვლელობა:

1. შეარჩიეთ ექსპერიმენტისათვის თითოეული სახეობის თხილეულის სამ-სამი ერთნაირი ზომის გული, აწონეთ და მათი მასები ჩაწერეთ ექსპერიმენტის ოქმის ცხრილში.
2. თითოეული ნიმუში გამოიკვლიეთ კალორიმეტრის საშუალებით. ამისათვის ჩაატარეთ შემდეგი პროცედურები:
 - ნიმუში დაამაგრეთ ნემსის წვერზე;
 - კალორიმეტრის კონტეინერში ჩაასხით დაახლოებით 100 გ წყალი (თითოეულ შემთხვევაში წყალი აწონეთ და მასა ჩაინიშნეთ ცხრილში). სიმარტივისთვის, შეგიძლიათ გამოიყენოთ გაზიანი სასმელების ალუმინის ქილა;
 - თერმომეტრით გაზომეთ წყლის საწყისი ტემპერატურა და ჩაიწერეთ ცხრილში;
 - ნემსზე დამაგრებულ ნიმუშს მოუკიდეთ ცეცხლი;

თავი 1. ქიმიური რეაქცია და ენერგია

- ცეცხლის ჩაქრობამდე დააკვირდით თერმომეტრის მაჩვენებელს და მაქსიმალური მნიშვნელობა ჩაინიშნეთ ცხრილში.
- დაწვის შემდეგ აწონეთ ნიმუშის ნარჩენის მასა და ჩაინერეთ ცხრილში.

მონაცემთა ცხრილი:

პროცესი	ცდა	ნიმუშის საწყისი მასა, m_1 (გ)	ნიმუშის საბოლოო მასა, m_2 (გ)	წყლის მასა, m_{H_2O} (გ)	წყლის საწყისი ტემპერატურა, t_1 (°C)	წყლის საბოლოო ტემპერატურა, t_2 (°C)
1	1					
	2					
	3					
2	1					
	2					
	3					
3	1					
	2					
	3					

თუ ექსპერიმენტს ვერ ჩაატარებთ, გამოიყენეთ ცხრილში მოცემული მონაცემები (შერჩეულია: თხილი, ნიგოზი და არაქისი):

პროცესი	ცდა	ნიმუშის საწყისი მასა, m_1 (გ)	ნიმუშის საბოლოო მასა, m_2 (გ)	წყლის მასა, m_{H_2O} (გ)	წყლის საწყისი ტემპერატურა, t_1 (°C)	წყლის საბოლოო ტემპერატურა, t_2 (°C)
თხილი	1	1.95	1.37	95	21.5	38
	2	1.72	1.28	97	20.5	34.5
	3	1.8	1.29	101	21	36
ნიგოზი	1	2.63	1.84	100	22.5	48.5
	2	2.8	1.96	102	22.5	49.5
	3	2.54	1.76	101	23	50.5
არაქისი	1	1.18	0.62	98	22.5	38
	2	1.15	0.61	100	21.5	36.5
	3	1.1	0.56	102	21	35

დაამუშავეთ მიღებული (ან ცხრილში მოცემული) მონაცემები, გამოიყენეთ გაკვეთილში მოცემული ფორმულები და შეავსეთ ცხრილი:

თავი 1. ქიმიური რეაქცია და ენერგია

პროცესი	ცდა	ნიმუშის მასათა სხვაობა, $(m_1 - m_2)$ (გ)	ტემპერატურის სხვაობა $(t_2 - t_1)$ (°C)	ენერგეტიკული ღირებულება 100 გ პროცესზე, კკალ	
				ცალკეული ცდების მიხედ- ვით	საშუალო მნიშვნელობა
	1				
	2				
	3				
	1				
	2				
	3				
	1				
	2				
	3				

მიღებული შედეგების საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს:

- ა) როგორ ფიქრობთ, რატომაა საჭირო თითოეულ პროცესზე 3-3 ანალიზის ჩატარება?
- ბ) თქვენი აზრით, რა იწვევს ხელსაწყოს უზუსტობას?
- გ) თქვენი აზრით, როგორ შეიძლება დადგინდეს K კოეფიციენტის სიდიდე?
- დ) შერჩეული პროცესზებიდან რომლის ენერგეტიკული ღირებულებაა ყველაზე მაღალი?

თავი 1. ქიმიური რეაქცია და ენერგია

1.4


ქიმიური ბმის ენერგია

ერთნაირი სისქის ბამბის, აბრეშუმისა და კაპრონის ძაფებს თუ ავილებთ და მათ გაწყვეტას შევეცდებით, აღმოჩნდება, რომ ბამბის ძაფი ადვილად გაწყდება, აბრეშუმის ძაფის გასაწყვეტად უფრო მეტი ძალისხმევა დაგვჭირდება, ხოლო კაპრონის ძაფი შეიძლება ვერც გავწყვიტოთ. რა არის ამის მიზეზი? ძაფის გაწყვეტა, მისი მოლეკულების შემადგენელი ნაწილების გაწყვეტას ნიშნავს. ამ შემთხვევაში ნათლად ჩანს, რომ ეს ნაწილები ერთმანეთისაგან შეკავშირების (ბმების) ძალებით განსხვავდება. ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ ბმის ენერგია არის ენერგიის ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა სტანდარტულ პირობებში აირად მდგომარეობაში მყოფ 1 მოლ ნივთიერებაში კოვალენტური ბმების გასაწყვეტად. შესაბამისად, იმავე რაოდენობის ენერგია გამოიყოფა 1 მოლი ბმის ნარმოქმნის პროცესშიც. ბმის ენერგიის ერთეულია კჯ/მოლი. განხილულ შემთხვევაში ქიმიური ბმის ყველაზე მეტი ენერგია კაპრონის ძაფის მოლეკულების შემაკავშირებელ ატომებს აღმოჩნდა, ყველაზე ნაკლები – ბამბისას.


ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ ნივთიერების შემადგენელ ნაწილაკებს შორის არსებობს სხვადასხვა ტიპის ბმა, რომლებიც ქიმიური რეაქციის მიმდინარეობის პროცესში წყდება. ახალი ნივთიერების ნარმოქმნისას კი ახალი ტიპის ბმა მყარდება. რეაგენტებში არსებული ბმების გაწყვეტას ყოველთვის ესაჭიროება ენერგიის მიწოდება, ხოლო ბმის ნარმოქმნის შედეგად ენერგია გამოიყოფა.

განვიხილოთ პირველი მაგალითი:

ნყლის დაშლა შესაძლებელია ელექტროლიზით:




პირველ ეტაპზე ნყლის მოლეკულებში წყალბადისა და ჟანგბადის ატომებს შორის არსებული კოვალენტური ბმები ($\text{H}-\text{O}$) წყდება, რასაც ესაჭიროება ენერგია. შესაბამისად, ეს პროცესი ენდოთერმულია. ამ ქიმიური რეაქციის შემთხვევაში საჭირო ენერგია სისტემას მიეწოდება ელექტროენერგიის სახით (ნახ. 1.17).



ნახ. 1.17. ნყლის დაშლა ელექტროლიზის დროს.

თავი 1. ქიმიური რეაქცია და ენერგია

მეორე ეტაპზე წარმოიქმნება ახალი ბმები წყალბადის ატომებს შორის ($H - H$) და ჟანგბადის ატომებს ($O=O$) შორის. ამ დროს ენერგია გამოიყოფა. შესაბამისად, ბმების წარმოქმნის პროცესი ეგზოთერმულია (ნახ. 1.18).



ნახ. 1.18. а) ბმების გაწყვეტა წყლის მოლეკულაში; ბ) ახალი ბმების წარმოქმნა.

ამ ქიმიური რეაქციის დროს, პირველ ეტაპზე შთანთქმული ენერგია უფრო მეტია, ვი-დრე მეორე ეტაპზე გამოყოფილი ენერგია, ამიტომ მთლიანობაში ენერგია შთაინთქმება და რეაქცია ენდოთერმულია.

ქიმიური რეაქციის შედეგად ენერგიის ცვლილების გამოთვლა შესაძლებელია ბმის ენერგიების გამოყენებით.

წყლის ორ მოლეკულაში სულ წყდება წყალბადსა და ჟანგბადს შორის არსებული 4 კოვალენტური ბმა ($H-O$), რაზეც იხარჯება ენერგია. რეაქციის შედეგად წარმოიქმნება წყალბადის 2 მოლეკულა და ჟანგბადის 1 მოლეკულა, რასაც ახლავს ენერგიის გამოყოფა. ცხრილიდან 1.3 ჩანს, რომ 1 მოლი $H-O$ ბმის გაწყვეტაზე იხარჯება 463 კჯ ენერგია, ხოლო 1 მოლი $H-H$ ბმის და 1 მოლი $O=O$ ბმის წარმოქმნაზე გამოიყოფა, შესაბამისად, 436 კჯ და 496 კჯ ენერგია.

ცხრილი 1.3. ზოგიერთი ბმის ენერგია, კჯ/მოლი.

ბმა	ბმის ენ-თალპია, კჯ/მოლი	ბმა	ბმის ენ-თალპია, კჯ/მოლი	ბმა	ბმის ენ-თალპია, კჯ/მოლი	ბმა	ბმის ენ-თალპია, კჯ/მოლი
$H-H$	436	$C-H$	412	$O-O$	146	$C-O$	360
$C-C$	348	$Si-H$	318	$O=O$	496	$C=O$	804
$C=C$	612	$N-H$	388	$Si-O$	374	$C\equiv O$	1070
$C\equiv C$	837	$P-H$	322	$F-F$	158	$C-N$	305
$Si-Si$	226	$H-O$	463	$Cl-Cl$	242	$C=N$	613
$N-N$	163	$H-S$	338	$Br-Br$	193	$C\equiv N$	890
$N=N$	409	$H-F$	562	$I-I$	151	$C-F$	484
$N\equiv N$	944	$H-Cl$	431	$N-Cl$	200	$C-Cl$	338
$P-P$	172	$H-Br$	366	$Si-F$	590	$C-Br$	276
$S-S$	264	$H-I$	299	$N-F$	278	$C-I$	238

თავი 1. ქიმიური რეაქცია და ენერგია

ბმების გაწყვეტაზე დახარჯული ენერგია:

$$4 (\text{H}-\text{O}) \cdot 463 = 1852 \text{ кДж}$$

$$\text{სულ დახარჯული ენერგია} = 1852 \text{ кДж}$$

ბმების წარმოქმნაზე გამოყოფილი ენერგია:

$$2 (\text{H}-\text{H}) \cdot 436 = 872 \text{ кДж}$$


$$1 (\text{O}=\text{O}) \cdot 496 = 496 \text{ кДж}$$

$$\text{სულ გამოყოფილი ენერგია} = 1368 \text{ кДж}$$

ენერგიის ცვლილება = (ბმების გაწყვეტაზე დახარჯული ენერგია) – (ბმების წარმოქმნაზე გამოყოფილი ენერგია)


$$1852 \text{ кДж} - 1368 \text{ кДж} = +484 \text{ кДж}$$

რადგან ქიმიური რეაქციის შედეგად ბმების გაწყვეტაზე დაიხარჯა მეტი ენერგია, ვიდრე გამოიყო, ენერგიებს შორის სხვაობა არის დადებითი. ეს სხვაობა, ანუ **484 კДж** ენერგია, შთაინთქმა გარემოდან სისტემის მიერ და რეაქცია არის ენდოთერმული (ნახ. 1.19).




ნახ. 1.19. ენერგიის ცვლილება წყლის დაშლის პროცესში.

განვიხილოთ ეგზოთერმული რეაქციის მაგალითი. ჩვენთვის ცნობილია, რომ ბუნებრივი აირის წყის შედეგად გამოიყოფა სითბო, რომელსაც ვიყენებთ გასათბობად, საჭმლის მოსამზადებლად და სხვა მიზნებისათვის (ნახ. 1.20).



ამ რეაქციაში რეაგენტებია მეთანი და ჟანგბადი. მეთანის ერთ მოლეკულაში არის 4 C–H ბმა. მეთანი ურთიერთქმედებს 2 მოლეკულა ჟანგბადთან, რომლებიც ჯამში 2 ორმაგ ბმას ($\text{O}=\text{O}$) შეიცავს. რეაქციის განხორციელებისას ამ ბმების გაწყვეტაზე იხარჯება ენერგია. რეაქციის შედეგად მიიღება 1 მოლეკულა ნახშირორჟანგი, რომელიც შეიცავს 2 C=O ბმას, და გამოიყოფა წყლის 2 მოლეკულა, რომლებიც ჯამში 4 H–O ბმას შეიცავს. ამ ბმების წარმოქმნის დროს ენერგია გამოიყოფა.

თავი 1. ქიმიური რეაქცია და ენერგია



ნახ. 1.20. მეთანის წვის რეაქციის სქემა.

ბმის ენერგიების მნიშვნელობებიდან (ცხრილი 1.3), ჩანს, რომ 1 მოლი C–H ბმის განყვეტაზე იხარჯება 412 კჯ, 1 მოლი O=O ბმისაზე – 496 კჯ ენერგია. რეაქციის შედეგად მიღება ნახშირორჟანგი, სადაც 1 მოლი C=O ბმის წარმოქმნისას გამოიყოფა 804 კჯ, ხოლო 1 მოლი H–O ბმის წარმოქმნისას – 463 კჯ.

ბმების განყვეტაზე დახარჯული ენერგია:

$$4 \text{ (C–H)} \cdot 412 = 1648 \text{ კჯ}$$

$$2 \text{ (O=O)} \cdot 496 = 992 \text{ კჯ}$$

$$\text{სულ დახარჯული ენერგია} = 2640 \text{ კჯ}$$

ბმების წარმოქმნაზე გამოყოფილი ენერგია:

$$4 \text{ (H–O)} \cdot 463 = 1852 \text{ კჯ}$$

$$2 \text{ (C=O)} \cdot 804 = 1608 \text{ კჯ}$$


$$\text{სულ გამოყოფილი ენერგია} = 3460 \text{ კჯ}$$

ენერგიის ცვლილება = (ბმების განყვეტაზე დახარჯული ენერგია) – (ბმების წარმოქმნაზე გამოყოფილი ენერგია)

$$2640 \text{ კჯ} - 3460 \text{ კჯ} = -820 \text{ კჯ}$$

რადგან რეაქციის შედეგად ბმების განყვეტაზე დაიხარჯა ნაკლები ენერგია, ვიდრე გამოიყო, ენერგიებს შორის სხვაობა უარყოფითია, რაც ნიშნავს, რომ 820 კჯ ენერგია სისტემიდან გარემოს გადაეცემა სითბოს სახით, ამიტომ რეაქცია ეგზოთერმულია (ნახ. 1.21).

თავი 1. ქიმიური რეაქცია და ენერგია



ნახ. 1.21. ენერგიის ცვლილება მეთანის წვის პროცესში.

ქიმიური რეაქციის დანებისთვის აუცილებელია ბმების გაწყვეტა, რაც ყოველთვის მოითხოვს ენერგიას. ზოგიერთი ქიმიური რეაქციის დასაწყებად ძალიან მცირე ენერგიაა საჭირო, ამიტომ რეაქცია ოთახის ტემპერატურაზეც მიმდინარეობს. მაგალითად, ნატრიუმის ქლორიდსა და ვერცხლის ნიტრატს შორის მიმდინარე რეაქციის დროს, ხსნარების შერევისას, ნალექი მყისიერად წარმოიქმნება (ნახ. 1.22).

ზოგიერთი ეგზოთერმული რეაქციის დასაწყებად საჭიროა საწყის ეტაპზე ენერგიის მიწოდება (მაგალითად, ნაპერწკლის სახით). შემდეგ კი რეაქცია გამოყოფილი ენერგიის ხარჯზე თავისთავად მიმდინარეობს. ამის მაგალითია ბუნებრივი აირის წვა (ნახ. 1.23).



ნახ. 1.22. ვერცხლის ქლორიდის ნალექის წარმოქმნა.



ნახ. 1.23. ბუნებრივი აირის წვა.

ენდოთერმულ რეაქციებს მიმდინარეობისთვის ენერგიის მიწოდება უწყვეტად ესაჭიროება. მაგალითად, მანგანუმ(III)-ის კარბონატის დაშლის პროცესში (ნახ. 1.24) საჭიროა ენერგიის უწყვეტად მიწოდება, ვიდრე რეაგენტი სრულად არ დაიშლება.

თავი 1. ქიმიური რეაქცია და ენერგია




ნახ. 1.24. მანგანუმ(II)-ის კარბონატის დაშლა გახურებით.

როგორც კი გაცხელება შეწყდება, რეაქცია გაჩერდება.




კითხვები და დავალებები:

1. წყალბადისა და ქლორწყალბადის ბმის ენერგიებია 436 კჯ/მოლი და 431 კჯ/მოლი.




გამოთვალეთ მოცემული რეაქციის ტოლობის მიხედვით ქლორის მოლეკულის ბმის ენერგია, თუ რეაქციის სითბური ეფექტია 184 კჯ/მოლი.

2. ბრომწყალბადმჟავას დაშლის რეაქციის ტოლობაა:



გამოთვალეთ მოცემული ქიმიური რეაქციის ენერგიის ცვლილება (სითბური ეფექტი) 1.3 ცხრილის მიხედვით. ეგზოთერმულია თუ ენდოთერმული რეაქცია? პასუხი დაასაბუთეთ.

3. გამოთვალეთ მოცემული ქიმიური რეაქციის ენერგიის ცვლილება 1.3 ცხრილის მიხედვით. დაადგინეთ რეაქცია ენდოთერმულია თუ ეგზოთერმული და დაასაბუთეთ პასუხი.



თავი 1. ქიმიური რეაქცია და ენერგია



როგორ არეგულირებს ადამიანის ორგანიზმი წონას?

კალორიების დღიური ნორმა ადამიანის ორგანიზმის ჯანსაღი ფუნქციონირებისათვის განსხვავდება სქესის, ასაკისა და ფიზიკური დატვირთვის მიხედვით. საშუალო მონაცემები მოცემულია 1.4 ცხრილში.

ცხრილი 1.4. კალორიების დღიური ნორმა.

სქესი	ასაკი	საშუალოდ აქტიური ფიზიკური დატვირთვა	ძალიან აქტიური ფიზიკური დატვირთვა
		ენერგია, კკალ	ენერგია, კკალ
მდედრობითი	19-30	2100	2400
	31-50	2000	2200
მამრობითი	19-30	2700	3000
	31-50	2500	2900

საკვების რაოდენობა, რომელსაც ადამიანის ორგანიზმი ითხოვს, რეგულირებულია შიმშილის ცენტრით, რომელიც მდებარეობს ტვინში, კერძოდ ჰიპოთალამუსში (ნახ.1.25). როდესაც ორგანიზმში საკვები ნივთიერებების ნაკლებობაა, ტვინი იღებს სიგნალს, რის შემდეგაც აქტიურდება შიმშილის გრძნობა. როდესაც ნივთიერებების მარაგი შეივსება, შიმშილის გრძნობაც ქრება.

ჰიპოთალამუსი



ნახ. 1.25. ჰიპოთალამუსის მდებარეობა თავის ტვინში.

დიეტური პროდუქტები ძირითადად შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რომლებსაც აქვს დაბალი კალორიულობა, მაგრამ იწვევს დანაყრების შეგრძნებას. მაგალითად, ასეთი ნივთიერებაა ცელულოზა, რომელსაც ძირითადად შეიცავს მცენარეული საკვები - ხილი და ბოსტნეული.

ზოგადად, ადამიანი იმატებს წონაში მაშინ, როდესაც მიღებული საკვებში არსებული ენერგია მეტია, ვიდრე დახარჯული ენერგია და პირიქით, იკლებს, როდესაც დახარჯული ენერგია აღემატება მიღებულს. ენერგიის ხარჯვის ეფექტური მეთოდებია, მაგალითად, ვარჯიში და ცურვა, რომელთა დროსაც მნიშვნელოვნად მეტი ენერგია იხარჯება, ვიდრე ჯდომის ან სიარულისას.

თავი 1. ქიმიური რეაქცია და ენერგია

შემაჯამებელი სავარჯიშოები

- ოთახის ტემპერატურის (20°C) რა მასის წყალს აადულებს 33.6 ლ მეთანის წვის დროს გამოყოფილი სითბო, თუ მეთანის წვის სითბოა 890 კჯ/მოლი.
- რა რაოდენობის ენერგიაა საჭირო 145 გ წყლის 22.3°C -დან 75.0°C -მდე გასათბობად?
- რა რაოდენობის ენერგიაა საჭირო 1.5 კგ წყლის 18.5°C -დან 55.0°C -მდე გასათბობად?
- ვერცხლის ნაჭრის 12.0°C -დან 15.2°C -მდე გასათბობად საჭიროა 1.25 კჯ ენერგია. გამოთვალეთ ამ ნაჭრის მასა.
- რამდენი გრადუსით შეიცვლება ტემპერატურა, თუ 10 გ რკინის ნაჭერს გავათბობთ 50 ჯ ენერგიით?
- დადგენილია, რომ 1 სთ ინტენსიური ვარჯიშის შედეგად საშუალოდ 5500 კჯ ენერგია გამოიყოფა. გადახურების თავიდან ასაცილებლად, ორგანიზმი ოფლს გამოყოფს. გამოყოფილი ენერგია ოფლში შემავალი წყლის კანის ზედაპირიდან აორთქლებაზე იხარჯება, რაც ორგანიზმს აგრილებს. რა მასის წყალი უნდა აორთქლდეს იმ ენერგიის დასახარჯად, რაც გამოიყოფა 2 სთ ინტენსიური ვარჯიშის შედეგად? 1 მოლი წყლის აორთქლებისას იხარჯება 40.6 კჯ სითბო.



- ცხრილი N1. სხვადასხვა ორგანული ნივთიერების ენერგეტიკული ღირებულება.

პროდუქტი	კჯ/გ	კკალ/გ
ნახშირწყლები	17	4
ცილები	17	4
ცხიმები	38	9

N1 ცხრილში მოცემული ინფორმაციის გამოყენებით შეავსეთ ცხრილი N2 და უპასუხეთ კითხვებს.

თავი 1. ქიმიური რეაქცია და ენერგია

ცხრილი N2. სხვადასხვა პროდუქტის ენერგეტიკული ღირებულება.

პროდუქტი	ნახშირწყლები, გ	ცილები, გ	ცხიმები, გ	ენერგია, კკალ
1 ც ჰამბურგერი	37	24	19	
1 ც ჩიზბურგერი	34	31	29	
1 ულუფა კარტოფილი	26	3	11	
1 ჭიქა ფორთოხლის წვენი	26	2	0	
1 ც ვაშლი		0	0	72
1 ულუფა წვნიანი	6		7	110
1 ჭიქა გაზიანი სასმელი		0	0	140
1 ც ავოკადო	13	5		405
1 კოვბი ზეითუნის ზეთი	0	0	14	

ა) რამდენ კკალ ენერგიას მიიღებთ, თუ მიირთმევთ 1 ც ჩიზბურგერს, 1 ულუფა კარტოფილსა და 1 ჭიქა გაზიან სასმელს? რამდენი ავოკადო მოგცემდათ იმავე რაოდენობის ენერგიას?



ბ) ადამიანმა დღეში საშუალოდ 2000 კკალ ენერგია უნდა მიიღოს. ცხრილში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე შეადგინეთ ისეთი რაციონი, რომელიც ადამიანს 1 დღისათვის საკმარისი ენერგიით უზრუნველყოფს.

8. ალუმინოთერმინის მეთოდით რკინის ნაკეთობათა შედუღებისთვის იყენებენ ალუმინისა და რკინის ხენჯის (Fe_3O_4) ნარევს, რა დროსაც მიიღება ალუმინის ოქსიდი და რკინა. შეადგინეთ აღნიშნული რეაქციის თერმოქიმიური ტოლობა, თუ ამ რეაქციით 1.12 კგ რკინის ნარმოქმნისას გამოიყოფა 7100 კჯ სითბო.
9. გამოთვალეთ მარტივი ნივთიერებებისგან ქსენონის ტეტრაფთორიდის ნარმოქმნის რეაქციაში ენერგიის ცვლილება, თუ $\text{Xe} - \text{F}$ ბმის ენერგია 130 კჯ/მოლია, ხოლო $\text{F} - \text{F}$ ბმისა – 158 კჯ/მოლი.

თავი 2.

ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები



თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები

2.1

ქიმიური რეაქციის სიჩქარე

სიჩქარე არის სიდიდე, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენად სწრაფად მიმდინარეობს ესა თუ ის პროცესი (ნახ. 2.1). სიჩქარის გაზომვისას დროის ერთეულად გამოიყენება წუთი (წთ), წამი (წმ), საათი (სთ), დღე, წელი და ა. შ.



თვითმფრინავის სიჩქარეა 900 კმ/სთ, რაც იმას ნიშნავს, რომ მას შეუძლია 1 საათში 900 კმ დაფაროს.




ბენზინგასამართ სადგურზე ბენზინის ტუმბოს სიჩქარეა 50 ლ/წთ, ე. ი. მას შეუძლია მანქანას 1 წუთში 50 ლ ბენზინი მიაწოდოს.



სტამბაში საბეჭდ მანქანას 1 წამში შეუძლია 10 გაზე-თის დაბეჭდვა, ამიტომ მისი სიჩქარე იქნება 10 გაზეთი/წმ.

ნახ. 2.1. სხვადასხვა პროცესის მიმდინარეობის სიჩქარე.

ისევე როგორც ყველა პროცესი, ქიმიური რეაქციებიც სხვადასხვა სიჩქარით მიმდინარეობს. ზოგიერთი ქიმიური რეაქცია, მაგალითად, ფეიერვერკი წამებში ფეთქდება (ნახ. 2.2), ხოლო ნესტიან გარემოში რკინის ნაკეთობის ჟანგვა ხანგრძლივი პროცესია (ნახ. 2.3).




ნახ. 2.2. ფეიერვერკის აფეთქება.



ნახ. 2.3. ჟანგით დაფარული ლობე.


ქიმიური რეაქციის სიჩქარე, ჩვეულებრივ, დროის ერთეულში რეაგენტების ან პროდუქტების კონცენტრაციის (მასის, მოცულობის) ცვლილებით იზომება. უმეტეს შემთხვევაში დროის ერთეულად წმ ან წთ გამოიყენება. რეაქციის მსვლელობისას რეაგენტების რაოდენობა იკლებს, პროდუქტებისა კი იმატებს (ნახ. 2.4).

თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები



ნახ. 2.4. რეაგენტის (შავი ბურთულები) კონცენტრაციის კლება და პროდუქტის (წითელი ბურთულები) კონცენტრაციის მატება დროში.


გრაფიკულად რეაგენტებისა და პროდუქტების კონცენტრაციის დროზე დამოკიდებულება შემდეგნაირად გამოისახება (ნახ. 2.5):



ნახ. 2.5. პროდუქტებისა და რეაგენტების კონცენტრაციის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი.

განვიხილოთ მაგალითი: კალციუმის კარბონატზე მარილმჟავას მოქმედების რეაქციის სიჩქარე შეიძლება განისაზღვროს დროის გარკვეულ ინტერვალში გამოყოფილი ნახშირორჟანგის მოცულობის გაზომვით ან სარეაქციო ნარევის მასის შემცირებით.

2.6 ნახაზზე ნაჩვენებია ექსპერიმენტული მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია გამოყოფილი ნახშირორჟანგის მოცულობის განსაზღვრა.




ნახ. 2.6. ნახშირორჟანგის შეგროვება წყლის გამოქვებით.

თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები

ექსპერიმენტის დროს ყოველ 10 წმ-ში ზომავდნენ გამოყოფილი CO_2 -ის მოცულობას. შედეგები წარმოდგენილია 2.1 ცხრილში მიღებული მონაცემების მიხედვით აგებულია პროდუქტის (ნახშირორჟანგის) მოცულობის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი (ნახ. 2.7).

ცხრილი 2.1. ყოველ 10 წამში გამოყოფილი ნახშირორჟანგის ჯამური მოცულობის ცვლილება დროში.

დრო, წმ	CO_2 -ის მოცულობა, მლ
0	0.0
10	19.0
20	33.0
30	44.0
40	50.0
50	54.0
60	56.5
70	58.5
80	59.5
90	60.0
100	60.0
110	60.0



ნახ. 2.7. გამოყოფილი ნახშირორჟანგის ჯამური მოცულობის დროზე დამოკიდებულება.

მიღებული შედეგებიდან ჩანს, რომ 90 წმ-ის გასვლის შემდეგ CO_2 -ის მოცულობა აღარ იცვლება, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ მისი გამოყოფა შეწყდა. შეიძლება დავასკვნათ, რომ რეაქცია 90 წმ-ში სრულდება.


თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები

აღნიშნული ქიმიური რეაქციის საშუალო სიჩქარე შეიძლება გამოვითვალით 90 წმ-ში გამოყოფილი ნახშირორჟანგის მოცულობის დროსთან შეფარდებით:

$$\text{პროდუქტის გამოყოფის საშუალო სიჩქარე} = \frac{60 \text{ მლ}}{90 \text{ წმ}} = 0.67 \text{ მლ / წმ}$$

ქიმიური რეაქციის მიმდინარეობისას სიჩქარე თანაბარი არ არის. ვნახოთ, თუ რისი ფოლია სიჩქარე დროის სხვადასხვა მომენტში.

ცხრილიდან ჩანს, რომ პირველ 10 წმ-ში გამოყოფა 19 მლ ნახშირორჟანგი, შემდეგ 10 წმ-ში კი – 14 მლ ($33 \text{ მლ} - 19 \text{ მლ} = 14 \text{ მლ}$), ამგვარად, დროის ერთეულში გამოყოფილი ნახშირორჟანგის მოცულობა ნელ-ნელა მცირდება, რაც სიჩქარის შემცირებაზე მიუთითებს. დროის მოცემულ მომენტში გამოთვლილ ქიმიური რეაქციის სიჩქარეს მყისი სიჩქარე ეწოდება (ნახ. 2.8).



ნახ. 2.8. ქიმიური რეაქციის სიჩქარის ცვლილება დროში.

ზოგადად, ქიმიური რეაქციის საშუალო სიჩქარე განისაზღვრება ნივთიერებათა კონცენტრაციის ცვლილებით დროში.

$$\text{საშუალო სიჩქარე} = \frac{\text{კონცენტრაციის ცვლილება}}{\text{დროის ინტერვალი}}$$

$$\nu = \frac{\Delta C}{\Delta t}$$

ხშირ შემთხვევაში კონცენტრაციის გამოსახვისთვის გამოიყენება მოლური კონცენტრაცია, რომელიც გვიჩვენებს ნივთიერების რაოდენობის (მოლის) ფარდობას მოცულობასთან.

$$\text{მოლური კონცენტრაცია} = \frac{\text{მოლი}}{\text{მოცულობა}}$$


$$C = \frac{n}{V}$$

განვიხილოთ ზოგადი ქიმიური რეაქცია:



თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები

ქიმიური რეაქციის ტოლობის მიხედვით, ყოველი 2 მოლი A ნივთიერების დაშლისას მიღება 4 მოლი B ნივთიერება და 1 მოლი C ნივთიერება. რეაქციის მიმდინარეობისას A-ს კონცენტრაცია მცირდება, ხოლო B-სა და C – ს კონცენტრაციები იზრდება. ექსპერიმენტის შედეგების მიხედვით აგებულია გრაფიკი (ნახ. 2.9).



ნახ. 2.9. ქიმიური რეაქციის $2A \rightarrow 4B + C$ რეაგენტისა და პროდუქტების კონცენტრაციების ცვლილება დროში.

გრაფიკიდან ჩანს, რომ ქიმიური რეაქციის დაწყებამდე რეაგენტის (A) კონცენტრაცია 2 მოლი/ლ, ხოლო პროდუქტების (B და C) არის 0. სიმარტივისათვის, განვიხილოთ შემთხვევა, როცა სარეაქციო ჭურჭლის მოცულობაა 1 ლ. რეაქციის დაწყებიდან 4 წთ-ში A-ს კონცენტრაცია განახევრდა ანუ რეაქციაში შევიდა (დაიხსრულა) 1 მოლი A ნივთიერება, რეაქციის სტექიომეტრიის გათვალისწინებით კი, შესაბამისად, ნარმოიქმნა 2 მოლი B ნივთიერება და 0.5 მოლი C ნივთიერება (ცხრილი 2.2).

ცხრილი 2.2. რეაგენტებისა და პროდუქტების კონცენტრაციები რეაქციის მიმდინარეობისას.

	A	B	C
საწყისი კონცენტრაცია	2.0	0	0
კონცენტრაციის ცვლილება ΔC	1.0	2.0	0.5
საბოლოო (დარჩენილი) კონცენტრაცია	1.0	2.0	0.5

ამ მონაცემების საფუძველზე გამოვთვალით ქიმიური რეაქციის სიჩქარე თითოეული ნივთიერების კონცენტრაციის ცვლილების მიმართ:

თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები

A ნივთიერების ხარჯვის საშუალო სიჩქარე:

$$v(A) = \frac{1 \text{ მოლი / ლ}}{4 \text{ წთ}} = 0.25 \text{ მოლი / ლ} \cdot \text{წთ}$$

B ნივთიერების წარმოქმნის საშუალო სიჩქარე:

$$v(B) = \frac{2 \text{ მოლი / ლ}}{4 \text{ წთ}} = 0.5 \text{ მოლი / ლ} \cdot \text{წთ}$$

C ნივთიერების წარმოქმნის საშუალო სიჩქარე:

$$v(C) = \frac{0.5 \text{ მოლი / ლ}}{4 \text{ წთ}} = 0.125 \text{ მოლი / ლ} \cdot \text{წთ}$$

მიღებული შედეგებიდან ჩანს, რომ დროის ერთსა და იმავე ერთეულში რეაგენტის ხარჯვისა და პროდუქტების წარმოქმნის სიჩქარეები ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც მათი სტექიომეტრიული კოეფიციენტები:

$$v(A):v(B):v(C) = 0.25:0.5:0.125 = 2:4:1$$



კითხვები და დავალებები:

- გამოთვალეთ ქიმიური რეაქციის $A+B \rightarrow 2C$ სიჩქარე, თუ A ნივთიერების საწყისი კონცენტრაცია იყო 0.028 მოლი/ლ, ხოლო 10 წამის შემდეგ 0.018 მოლი/ლ გახდა.
- ქიმიურ რეაქციაში ერთ-ერთი რეაგენტის საწყისი კონცენტრაცია იყო 0.3 მოლი/ლ. რამდენი გახდებოდა იგი 5 წთ-ის შემდეგ, თუ რეაქციის საშუალო სიჩქარეა 0.01 მოლი/ლ · წთ ?
- მოცემულია ქიმიური რეაქციის ზოგადი ტოლობა:



ამ რეაქციის ტოლობის მიხედვით შეავსეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი და გამოთვალეთ:

- ქიმიური რეაქციის სიჩქარე A ნივთიერების ხარჯვის მიხედვით;
- ქიმიური რეაქციის სიჩქარე B ნივთიერების ხარჯვის მიხედვით.

კონცენტრაცია (მოლი/ლ)	A	B	D
საწყისი (C_1)	3	9	
ცვლილება (ΔC)			
5 წუთის შემდეგ (C_2)	1		

- მოიძიეთ ისეთი ქიმიური რეაქციის მაგალითი, რომელიც შეესაბამება 2.4 ნახაზს, ანუ რეაქცია, რომელშიც ერთი რეაგენტისგან მიიღება ერთი პროდუქტი.
- ნახ. 2.8-ის მიხედვით იმსჯელეთ, როგორ და რატომ იცვლება ქიმიური რეაქციის მყისი სიჩქარე დროში?

2.2

დაჯახებათა თეორია


დაჯახებათა თეორიის საშუალებით შესაძლებელია აიხსნას, თუ რატომ განსხვავდება ქიმიურ რეაქციათა სიჩქარეები. ბევრ ჩვენგანს უნახავს ან უთამაშია ბილიარდი (ნახ. 2.10). ბილიარდის ბურთი სპეციალურ ჭრილში – ლუზზაში რომ ჩავაგდოთ, საჭიროა ა) სპეციალური საბიძგებელი ჯოხით (კიით) ბურთი ან ბურთები გავამოძრავოთ და შევაჯახოთ ერთმანეთს; ბ) დარტყმით მივანიჭოთ ბილიარდის ბურთს გარკვეული ძალა და სიჩქარე. მაგრამ, მარტო დარტყმის ძალას არ მივყავართ ლუზზაში ბურთის ჩაგდებამდე. საჭიროა მისი სხვა ბურთთან ან ბურთებთან გარკვეული კუთხით შეჯახება. ბილიარდის ბურთის ისეთ შეჯახებას სხვა ბურთთან, რომლის შედეგადაც ერთ-ერთი მათგანი ვარდება ლუზზაში, ეფექტური, შედეგიანი, ან სასარგებლო შეჯახება შეიძლება ვუწოდოთ.

ქიმიურ რეაქციაში მონანილე მოლეკულებს ბილიარდის ბურთების ანალოგებად თუ წარმოვიდგენთ, განსხავება იმაში გამოიხატება, რომ მოლეკულები მუდმივად მოძრაობს და ერთმანეთს ეჯახება, ანუ ბილიარდის მაგალითში (ა) საფეხური შესრულებულია. ყველა დაჯახება ეფექტური რომ იყოს, რეაქციები სწრაფად დასრულდებოდა, ეს კი ასე არ ხდება. ჩვეულებრივ ტემპერატურაზე ბევრი რეაქცია დაბალი სიჩქარით ხასიათდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მოლეკულებს შეჯახებისას სჭირდება გარკვეული ძალა (ენერგია) და დაჯახებისას სივრცული ორიენტაცია.



ნახ. 2.10. ბილიარდის თამაში.

განვიხილოთ ზოგადი ქიმიური რეაქცია:




რეაქციის დასაწყებად, უპირველესად, საჭიროა A_2 და B_2 ნივთიერებების შერევა, რათა მათი მოლეკულები ერთმანეთს შეეჯახოს. ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ რეაქციის მიმდინარეობისთვის, პირველ რიგში, რეაგენტებში არსებული ბმების გაწყვეტაა საჭირო, რასაც შესაბამისი ენერგია ესაჭიროება.

ამისათვის მოლეკულები ისეთი ძალით უნდა დაეჯახოს ერთმანეთს, რომ მათში ბმები გაწყდეს, რისთვისაც აუცილებელია, მოლეკულებს ჰქონდეს არა მხოლოდ შესაბამისი მოძრაობის სიჩქარე (ენერგია), არამედ სივრცეში საჭირო მიმართულებაც (ორიენტაცია) (ნახ. 2.11).

თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები

ა) მოლეკულები ეჯახება სწორი სივრცული ორიენტაციით, მაგრამ არასაკმარისი ენერგიით, ამიტომ პროდუქტი არ მიიღება;




ბ) მოლეკულები ეჯახება საკმარისი ენერგიით, მაგრამ არასწორი სივრცული ორიენტაციით, ამიტომ პროდუქტი არ მიიღება;

გ) დაჯახებისას მოლეკულებს აქვს როგორც სწორი სივრცული ორიენტაცია, ასევე საკმარისი ენერგია, ამიტომ შეჯახება ეფექტურია და პროდუქტი წარმოიქმნება.

ნახაზი 2.11.

2.12 ნახაზზე ნაჩვენებია მცირე ბორცვი (პოტენციური ენერგიის ბარიერი), რომელიც უნდა გადალახოს ბურთულამ (მოლეკულამ). ბურთულის საწყისი კინეტიკური ენერგია განსაზღვრავს, გადალახავს თუ არა ბურთულა ბორცვს.




ნახ. 2.12. ა) ბურთულას აქვს საკმარისი კინეტიკური ენერგია იმისათვის, რომ გადალახოს ბორცვი; ბ) ბურთულას არ აქვს საკმარისი კინეტიკური ენერგია, ამიტომ ის ვერ გადალახავს ბორცვს და უკან ჩამოგორდება.

მარცხენა ნახაზზე ნაჩვენებია, რომ ბურთულას ბარიერის გადასალახად საკმარისი ენერგია აქვს, ხოლო მარჯვენაზე არასაკმარისი ენერგიის გამო, ბურთულა უკან ბრუნდება.

როგორც ბილიარდის ბურთის არასაკმარისი ძალით დაჯახებას არ მივყავართ ბურთის ლუზაში ჩაგდებამდე, ასევე მორეაგირე ნივთიერებათა მოლეკულების არასაკმარისი


თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები

ენერგიის შემთხვევაში დაჯახება არაეფექტურია. ე. ი. მოლეკულებს აუცილებლად უნდა ჰქონდეს დაჯახებისას გარკვეული მინიმალური ენერგია, რომ წარმოქმნას პროდუქტი (პროდუქტები). იმ მინიმალურ ენერგიას, რომელიც უნდა ჰქონდეს მორეაგირე ნივთიერების ერთ მოლს, რათა გარდაიქმნას პროდუქტად, **აქტივაციის ენერგია** ეს ენერგება. მისი განზომილებაა კჯ/მოლი. მაღალი ეს შემთხვევაში ჩვეულებრივ პირობებში, დაჯახებისას მოლეკულების შედარებით მცირე რიცხვს აქვს ისეთი ენერგია, რომ წარმოქმნას პროდუქტი და ამ დროს რეაქციის სიჩქარე დაბალია. დაბალი ეს შემთხვევაში, ამავე პირობებში, მოლეკულათა მეტ რიცხვს აქვს პროდუქტის წარმოქმნისათვის საკმარისი ენერგია და რეაქციის სიჩქარეც მეტია (ნახ. 2.13).




ნახ. 2.13. $A_2 + B_2 \rightarrow 2AB$ რეაქციის ენერგეტიკული დიაგრამა.

კვლავ დავუბრუნდეთ ზემოთ განხილულ რეაქციას:




რეაქციის დასაწყისში A_2 და B_2 მოლეკულებს შორის შეჯახებების შედეგად იზრდება მათი კინეტიკური ენერგია. ამ ენერგიის ხარჯზე წყდება ბმები და მიიღება აქტიური კომპლექსი A_2B_2 , რომელსაც აქვს მაღალი ენერგია და არასტაბილურია (ნახ. 2.14). აქტიური კომპლექსი ისეთი ნაწილაკია, რომელშიც მორეაგირე ნივთიერებების მოლეკულების ატომებს შორის ბმები ჯერ კიდევ სრულად არ არის გახლეჩილი, ხოლო A - B ატომებს შორის ბმა ჯერ კიდევ არ წარმოქმნილა. აქტიური კომპლექსი წარმოქმნისთანავე იშლება პროდუქტების გამოყოფით, რასაც თან ახლავს ენერგიის შემცირება. განხილულ მაგალითში მიღებული პროდუქტების ენერგია წაკლებია რეაგენტების ენერგიაზე. ამიტომ რეაქცია ეგზოთერმულია და ენერგიის სხვაობა გარემოში სითბოს სახით გამოიყოფა.




ნახ. 2.14. აქტიური კომპლექსის წარმოქმნა.

იგივე რეაქცია საპირისპირო მიმართულებითაც თუ მიმდინარეობს (ნახ. 2.15):




თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები

მაშინ ბმები ჯერ AB ნივთიერების მოლეკულების ატომებს შორის წყდება, რაზეც კვლავ იხარჯება ენერგია, წარმოქმნება აქტიური კომპლექსი, რომელიც იშლება და წარმოქმნის პროდუქტს. მაგრამ ამ შემთხვევაში მიღებული პროდუქტის ენერგია მეტია საწყისი ნივთიერებების ენერგიაზე, შესაბამისად, ენერგია გარემოდან შთაინთქმება და რეაქცია ენდოთერმულია.



ნახ. 2.15. $2AB \rightarrow A_2 + B_2$ რეაქციის ენერგეტიკული დიაგრამა.


განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი, ნახ. 2.16 გვიჩვენებს რეაქციის მიმდინარეობას ნახშირბადის მონომესიდას და აზოტის დიოქსიდის შორის. აქ ნაჩვენებია აქტივაციის, ანუ ის ენერგია, რომელიც რეაგენტებს აუცილებლად უნდა ჰქონდეს, რათა აქტივაციის ბარიერი გადალახოს და პროდუქტებად გარდაიქმნას. აქვე ნაჩვენებია, რომ რეაგენტების ენერგია პროდუქტებისას აღემატება და ენერგიათა ეს სხვაობა გამოიყოფა სითბოს სახით, ანუ რეაქცია ეგზოთერმულია.



ნახ. 2.16. პირდაპირი რეაქციის ენერგეტიკული დიაგრამა.

მრავალი ქიმიური რეაქციისათვის რეაგენტებიდან პროდუქტების წარმოქმნა შექცევადი პროცესია. ნახ. 2.17 უჩვენებს, რომ CO_2 -სა და NO -ს შორის მიმდინარე საპირისპირო რეაქციაში რეაგენტების ენერგია ნაკლებია პროდუქტების ენერგიაზე და პროცესი ენდოთერმულია.

თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები




ნახ. 2.17. საპირისპირო რეაქციის ენერგეტიკული დიაგრამა.

ამ რეაქციის აქტივაციის ენერგია ტოლია პირდაპირი რეაქციის აქტივაციისა და სითბოს სახით გამოყოფილი ენერგიების ჯამისა. ხოლო საპირისპირო რეაქციის განხორციელებას ბევრად მეტი ენერგია სჭირდება, ვიდრე პირდაპირისას.



კითხვები და დავალებები:

1. მოცემულია იოდწყალბადის წარმოქმნის სქემა.



- ისარგებლეთ 1.3 ცხრილში (გვ. 27) მოცემული ბმის ენერგიებით და გამოთვალეთ ენერგიის ცვლილება.
- მოცემული რეაქცია ეგზოთერმულია თუ ენდოთერმული? პასუხი დაასაბუთეთ.
- ააგეთ რეაქციის ენერგეტიკული დიაგრამა. მიუთითეთ რეაგენტები, აქტიური კომპლექსი და პროდუქტები.

თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები

2.3


ქიმიური რეაქციის სიჩქარეზე მოქმედი ფაქტორები

როგორც უკვე ვნახეთ, ზოგიერთი ქიმიური რეაქცია ძალიან სწრაფად მიმდინარეობს, ზოგი კი, პირიქით, ძალიან ნელა. სანარმოო პროცესები, რომელთა საფუძველსაც ქიმიური რეაქციები წარმოადგენს, ხშირ შემთხვევაში საჭიროებს პროცესის წარმართვის ოპტიმიზაციას, რაც ამ რეაქციათა სიჩქარეების რეგულირებით მიიღწევა. როგორ შეიძლება ვმართოთ ქიმიური რეაქციის სიჩქარე? ამის გასაგებად, გავეცნოთ ქიმიური რეაქციის სიჩქარეზე მოქმედ ფაქტორებს.


2.3.1. კონცენტრაციის გავლენა

ქიმიური რეაქციის სიჩქარეზე რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს. ამ ფაქტორების გავლენის შესწავლის მიზნით განვიხილოთ სხვადასხვა რეაქციის მაგალითი.

მაგნიუმისა და გოგირდმჟავას შორის მიმდინარე რეაქციის დროს წყალბადი გამოიყოფა:




ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ ქიმიური რეაქციის სიჩქარე შეიძლება განისაზღვროს აირის გამოყოფის ინტენსივობის მიხედვით. წყალბადის გამოყოფის სიჩქარეზე დაკვირვება შესაძლებელია მარტივი ექსპერიმენტით, რომელიც ნაჩვენებია 2.18 ნახაზზე.



ნახ. 2.18. წყალბადის გამოყოფის სიჩქარის დასადგენი მოწყობილობა (ექსპერიმენტი 1).

კოლბაში ჩასხეს 0.03 მოლი გოგირდმჟავას შემცველი 50 მლ ხსნარი. მასში მოათავსეს კარგად გასუფთავებული მაგნიუმის ბურბუშელა და კოლბას მოარგეს საცობი, რომელშიც გატარებული იყო აირგამყვანი მილი, მასზე მორგებული დგუშიანი შპრიცით. გამოყოფილი წყალბადი აირგამყვანი მილით გადადის შპრიცში და დგუში იწყებს მოძრაობას (ნახ. 2.19).




ნახ. 2.19. ა) შპრიცის დგუშის მდებარეობა რეაქციის დაწყებამდე;
ბ) შპრიცის დგუშის მდებარეობა, როცა შეგროვდა 20 მლ წყალბადი.

ჩართეს წამმზომი და ყოველ ნახევარ წუთში ინიშნავდნენ გამოყოფილი წყალბადის მოცულობას. მიღებული შედეგების საფუძველზე ააგეს გამოყოფილი წყალბადის მოცულობის დროზე დამოკიდებულების მრუდი (ნახ. 2.21 (A)).


თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები

იგივე ექსპერიმენტი გაიმეორეს სხვა პირობებში. ამჯერად კოლბაში მოათავსეს 0.06 მლილი (ანუ ორჯერ მეტი, ვიდრე პირველ ექსპერიმენტში) გოგირდმჟავას შემცველი 50 მლ ხსნარი (ნახ. 2.20).



ნახ. 2.20. წყალბადის გამოყოფის სიჩქარის დასადგენი მოწყობილობა (ექსპერიმენტი 2).
ექსპერიმეტის მსვლელობისას ყველა სხვა პირობა (ტემპერატურა, წნევა და სხვ.) უცვლელია.

მეორე ექსპერიმენტში მიღებული შედეგების საფუძველზე ასევე ააგეს გამოყოფილი წყალბადის მოცულობის დროზე დამოკიდებულების მრუდი (ნახ. 2.21 (B)).



ნახ. 2.21. გამოყოფილი წყალბადის მოცულობის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი.
გრაფიკზე დაკვირვებით ჩანს, რომ:

- B მრუდი უფრო მეტად არის დახრილი, ვიდრე A მრუდი. ე. ი. რეაქცია უფრო სწრაფად მიმდინარეობს.
- B ექსპერიმენტში რეაქცია სრულდება 60 წმ-ში, A-ში კი – 120 წმ-ში. ანუ რაც უფრო ნაკლებ დროში დასრულდება რეაქცია, მით უფრო მეტია მისი სიჩქარე (სიჩქარე და დრო უკუპროპორციული სიდიდეებია).
- ორივე რეაქციაში მიღებული წყალბადის ჯამური მოცულობაა 60 მლ.

$$\text{წყალბადის გამოყოფის საშუალო სიჩქარე A \ ექსპერიმენტში} = \frac{60 \text{ მლ}}{120 \text{ წმ}} = 0.5 \text{ მლ / წმ}$$


$$\text{წყალბადის გამოყოფის საშუალო სიჩქარე B \ ექსპერიმენტში} = \frac{60 \text{ მლ}}{60 \text{ წმ}} = 1.0 \text{ მლ / წმ}$$

შესაბამისად, გოგირდმჟავას საწყისი კონცენტრაციის ორჯერ გაზრდამ რეაქციის სიჩქარის გაორმაგება გამოიწვია.

თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები

რატომ იზრდება ქიმიური რეაქციის სიჩქარე კონცენტრაციის გაზრდით?


ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ ქიმიური რეაქციის სიჩქარე დამოკიდებულია მოლეკულების დაჯახებათა რიცხვზე. რაც მეტია დაჯახებების რიცხვი, მით მეტი იქნება ეფექტურ დაჯახებათა რაოდენობაც და, შესაბამისად, ქიმიური რეაქციის სიჩქარეც გაიზრდება (ნახ. 2.22).



ნახ. 2.22. განზავებულ მჟავაში (ა) (როცა მჟავას ნაწილაკების რიცხვი მცირეა), მაგნიუმის ატომებსა და მჟავას ნაწილაკებს შორის დაჯახებების შესაძლებლობა უფრო ნაკლებია, ვიდრე მეტად კონცენტრირებული მჟავას (ბ) შემთხვევაში.

ქიმიური რეაქციის სიჩქარის კონცენტრაციაზე დამოკიდებულება მათემატიკურად აღინიშნება კანონით, რომელიც **მოქმედ მასათა კანონის** სახელით არის ცნობილი. მოქმედ მასათა კანონის თანახმად, ქიმიური რეაქციის სიჩქარე პირდაპირ პორციულია რეაგენტების კონცენტრაციების ნამრავლისა.

განვიხილოთ ორ აირად ნივთიერებას შორის მიმდინარე ზოგადი რეაქცია:




თუ ერთ ჭურჭელში მოვათავსებთ A და B ნივთიერებების თანაბარ რაოდენობას (პირბითად 2-2 მოლეკულას) მაშინ მათ შორის დაჯახებების შესაძლებლობა იქნება მხოლოდ 4 (ნახ. 2.23 (ა)). თუ რომელიმეს (A ან B) მოლეკულების რაოდენობას გავაორმაგებთ, მაშინ დაჯახებათა შესაძლებლობაც გაორმაგდება (ნახ. 2.23 (ბ)). ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ორივე ნივთიერების მოლეკულათა რიცხვს გავაორმაგებთ, შესაძლო დაჯახებათა რაოდენობა ოთხჯერ მეტი იქნება, ვიდრე საწყის ექსპერიმენტში (ნახ. 2.23 (გ)). მათემატიკურად ეს დამოკიდებულება ასე ჩაიწერება:

$$v = k C_A C_B$$

სადაც v არის ქიმიური რეაქციის სიჩქარე;

C_A და C_B ნივთიერებების მოლური კონცენტრაციებია;


k - პროპორციულობის კოეფიციენტია, რომელსაც სიჩქარის მუდმივას უწოდებენ და რომლის მნიშვნელობაც მუდმივია მოცემული რეაქციისთვის, მოცემულ ტემპერატურაზე.



ნახ. 2.23. A (რუხი) და B (წითელი) მოლეკულებს შორის დაჯახებების შესაძლებლობა; ერთი საზი აჩვენებს დაჯახების ერთ შესაძლებლობას.

თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები

განვიხილოთ ნახშირბადის მონოოქსიდსა და უანგბადს შორის მიმდინარე რეაქცია:



ამ შემთხვევაში მოქმედ მასათა კანონი შემდეგნაირად ჩაიწერება:

$$v = k \cdot (C_{\infty})^2 C_{\text{O}_2} \quad (1)$$

რეაქციის ტოლობაში მოცემული კოეფიციენტი მოქმედ მასათა კანონის გამოსახულებაში ამ ნივთიერების მოლური კონცენტრაციის ხარისხის მაჩვენებლად იწერება.

გამოვთვალოთ, როგორ შეიცვლება ამ რეაქციის სიჩქარე მორეაგირე ნივთიერებების კონცენტრაციის ცვლილებით.

დავუშვათ, რომ სისტემაში ნახშირბადის მონოოქსიდის კონცენტრაცია გაიზარდა ორჯერ. მაშინ ჩავწეროთ, რა იქნება სიჩქარე ამ შემთხვევაში:

$$v_1 = k \cdot (2C_{\infty})^2 C_{\text{O}_2} = k \cdot 4(C_{\infty})^2 C_{\text{O}_2} \quad (2)$$


თუ (2) გამოსახულებას (1) გამოსახულებასთან შევაფარდებთ, მივიღებთ:

$$\frac{v_1}{v} = \frac{k \cdot 4(C_{\infty})^2 C_{\text{O}_2}}{k \cdot (C_{\infty})^2 C_{\text{O}_2}} = 4$$

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ CO-ს კონცენტრაციის ორჯერ გაზრდით რეაქციის სიჩქარე 4-ჯერ გაიზარდება. შესაბამისად, კონცენტრაციის შემცირება რეაქციის სიჩქარის კლებას გამოიწვევს.

ჩვენთვის ცნობილია, რომ აირადი ნივთიერებების მიერ დაკავებულ მოცულობაზე გავლენას ახდენს წნევა და ტემპერატურა. მუდმივი ტემპერატურის პირობებში წნევის გაზრდა ამცირებს მოცულობას და, შესაბამისად, ზრდის კონცენტრაციას, რაც იმას ნიშნავს, რომ აირის კონცენტრაცია წნევის პირდაპიროპორციულია (ნახ. 2.24).


დაბალი წნევა



ნახ. 2.24. მარჯვენა ნახაზში, მარცხენასთან შედარებით, წნევა გაიზარდა, შესაბამისად, შემცირდა აირის მიერ დაკავებული მოცულობა. აირის ნაწილაკთა რიცხვი არ შეცვლილა, ე.ი. იმავე რაოდენობის ნაწილაკები ახლა უფრო მცირე მოცულობაშია განაწილებული. ამრიგად, გაიზარდა მოცულობის ერთეულში ნაწილაკთა რიცხვი, ანუ გაიზარდა კონცენტრაცია.

თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები

აირადი ნივთიერებების მონაწილეობით მიმდინარე ქიმიური რეაქციისათვის მოქმედ მასათა კანონის გამოსახულებაში ხშირად კონცენტრაციის ნაცვლად წნევას მიანიშნებენ. მაგალითად, ზემოთ განხილული რეაქციისთვის.




სიჩქარე ასე შეიძლება გამოისახოს:

$$v = k \cdot (\text{P}_{\text{CO}})^2 \text{P}_{\text{O}_2}$$

2.3.2. შეხების ზედაპირის ფართობის გავლენა

თუ მორეაგირე ნივთიერებებიდან ერთ-ერთი მყარია, მაშინ ის არ შედის მოქმედ მასათა კანონის გამოსახულებაში, რადგან ამ შემთხვევაში სიჩქარეს მყარი ნივთიერების ზედაპირის ფართობი განსაზღვრავს, რომელიც არ იცვლება მოცემული ექსპერიმენტის ფარგლებში.

დაეუბრუნდეთ განხილულ მაგალითს, როცა მაგნიუმსა და გოგირდმჟავას შორის მიმდინარე რეაქციის დროს წყალბადი გამოიყოფა:




ამ შემთხვევაში მოქმედ მასათა კანონის გამოსახულება შემდეგნაირად ჩაიწერება:

$$v = k \cdot C_{\text{H}_2\text{SO}_4}$$

როგორც ამ გამოსახულებიდან ჩანს, გოგირდმჟავას კონცენტრაციის ორჯერ გაზრდა სიჩქარეს ორჯერ ზრდის, რაც დადასტურდა კიდეც ზემოთ აღნერილი ექსპერიმენტით (ნახ. ქვეთავი 2.3.1). რაც შეეხება მყარი ნივთიერების ზედაპირის ფართობს, რეაქციის სიჩქარე მისი პირდაპიროპორციულია. ამიტომ, რაც უფრო მეტად დავაქუცმაცებთ მყარ ნივთიერებას, მით უფრო სწრაფად წარიმართება მისი მონაწილეობით მიმდინარე რეაქცია.

ამრიგად, კიდევ ერთი ფაქტორი, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს რეაქციის სიჩქარეზე, არის მყარი ნივთიერების ზედაპირის ფართობი.


მყარი ნივთიერების დაქუცმაცებისას მნიშვნელოვნად იზრდება შეხების ზედაპირის ფართობი (ნახ. 2.25).



ნახ. 2.25. დაქუცმაცების დროს ზედაპირის ფართობის ზრდა.

რაც უფრო მეტი მოლეკულა შეეხება ერთმანეთს, მით უფრო გაიზრდება ეფექტური შეჯახების რიცხვი და, შესაბამისად, გაიზრდება რეაქციის სიჩქარე (ნახ. 2.26).

თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები



ნახ. 2.26. а) რეაქცია მეტალის ნაჭერსა და მჟავას შორის; ბ) რეაქცია იმავე მასის დაქუცმაცებულ მეტალსა და მჟავას შორის.

2.3.3. ტემპერატურის გავლენა


საკვებები პროდუქტებს მაცივარში ვინახავთ, რადგან ოთახის ტემპერატურასთან შედარებით, მაცივარში ისინი უფრო ნელა ფუჭდება (ნახ 2.27). საკვებები პროდუქტებში მუდმივად მიმდინარეობს ქიმიური პროცესები, რაც ხშირად იწვევს მათ გაფუჭებას, მაგალითად, რძის ამჟავება, ხილისა და ბოსტნეულის ლპობა და სხვ. მაცივარში შენახვით ეს პროცესები ნელდება, რა არის ამის მიზეზი? ტემპერატურა ერთ-ერთი ფაქტორია რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქიმიური რეაქციის მიმდინარეობის სიჩქარეზე. შესაბამისად, რაც უფრო დაბალია ტემპერატურა, მით უფრო დაბალია ქიმიური რეაქციის სიჩქარე. ამრიგად, დაბალ ტემპერატურაზე პროდუქტებში მიმდინარე ქიმიური პროცესები ნელდება, რაც თავიდან გვაცილებს საკვების სწრაფ გაფუჭებას.



ნახ. 2.27. მაღაფუჭებად პროდუქტებს მაცივარში ინახავენ.

დადგენილია, რომ უმრავლეს შემთხვევაში ტემპერატურის 10°C -ით გაზრდა იწვევს სიჩქარის დაახლოებით 2-ჯერ ზრდას (ნახ. 2.28).

თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები



ნახ. 2.28. რეაქციის სიჩქარის ტემპერატურაზე დამოკიდებულების გრაფიკი.

როგორ იწვევს რეაქციის ტემპერატურის ასეთი მცირე გაზრდა სიჩქარის ასეთ მნიშვნელოვან ცვლილებას? გავიხსენოთ, რომ ტემპერატურის გაზრდა იწვევს ა) მოლეკულების მოძრაობის სიჩქარის გაზრდას, რაც, თავის მხრივ, ზრდის დაჯახებათა ინტენსივობას და ბ) ტემპერატურის მატებისას იზრდება მოლეკულების საშუალო კინეტიკური ენერგია. ჯამში, იზრდება ეფექტურ დაჯახებათა რიცხვი და, შესაბამისად, რეაქციის სიჩქარეც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რაც უფრო მეტი იქნება ტემპერატურა, მით მეტი იქნება იმ მოლეკულების რიცხვი, რომლებიც აქტივაციის ენერგეტიკულ ბარიერს გადალახავს და, შესაბამისად, რეაქციის სიჩქარეც გაიზრდება (ნახ. 2.29).



ნახ. 2.29. მაგნიტის ზუსტად ერთნაირი ნაჭრები მოთავსებულია სამ სინჯარაში, რომლებშიც ჩასხმულია ერთი და იმავე კონცენტრაციისა და მოცულობის, მაგრამ განსხვავებული ტემპერატურის გოგირდმუავას ხსნარი. რაც მეტია ბუშტების გამოყოფის ინტენსივობა, მით მეტია ქიმიური რეაქციის სიჩქარე.

ქიმიური რეაქციის სიჩქარეზე ტემპერატურის გავლენა პირველად ქიმიკოსმა ს. არენიუსმა შეისწავლა და მანვე მოგვაწოდა სიჩქარის მუდმივასა და ტემპერატურას შორის დამოკიდებულების განტოლება. ქიმიკოსმა ვანტ-ჰოფმა ექსპერიმენტული კვლევების საფუძველზე ჩამოაყალიბა ქიმიური რეაქციის სიჩქარის ტემპერატურაზე დამოკიდებ-

თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები

ულების წესი, რომლის თანახმადაც: ტემპერატურის ყოველი 10°C -ით მატებისას, რეაქციის სიჩქარე საშუალოდ $2\text{-}4\text{-ჯერ}$ იზრდება. მისი მათემატიკური გამოსახულება ასე ჩაიწერება:

$$\frac{v_{t_2}}{v_{t_1}} = \gamma^{\frac{t_2 - t_1}{10}}$$

$$v_{t_2} = v_{t_1} \cdot \gamma^{\frac{t_2 - t_1}{10}}$$

სადაც v_{t_1} და v_{t_2} არის ქიმიური რეაქციის სიჩქარე, შესაბამისად, უფრო დაბალ (t_1) და უფრო მაღალ (t_2) ტემპერატურებზე, γ კი – ტემპერატურული კოეფიციენტი, რომლის მნიშვნელობა შეიძლება იყოს 2-დან 4-მდე.

ვანტ-პოფის წესი მხოლოდ შეზღუდულ ტემპერატურულ ინტერვალში (100°C -მდე) მოქმედებს.

ამოცანის ამოხსნის ნიმუში – 1

ამოცანა: რამდენჯერ გაიზრდება რეაქციის სიჩქარე ტემპერატურის 30°C -დან 60°C -მდე გაზრდისას, თუ მისი სიჩქარის ტემპერატურული კოეფიციენტი $\gamma = 3$.

ამოხსნა:

$$v_{60} = v_{30} \cdot \gamma^{\frac{60-30}{10}} = v_{30} \cdot 3^3 = 27v_{30^{\circ}}$$

ე. ი. რეაქციის სიჩქარე გაიზრდება 27 -ჯერ.

ამოცანის ამოხსნის ნიმუში – 2

ამოცანა: ლაბორატორიაში ჩატარეს რეაქცია 20°C -ზე, დაინიშნეს დრო და ალმოჩნდა, რომ რეაქცია დასრულდა 160 წმ-ში. ექსპერიმენტულად დადგენილია, რომ ამ რეაქციის სიჩქარის ტემპერატურული კოეფიციენტი $\gamma = 2$. რა დროში დასრულდება რეაქცია, თუ ტემპერატურა 60°C -მდე გაიზრდება?

ამოხსნა:

პირველ ეტაპზე გამოვთვალოთ, რამდენჯერ გაიზრდება სიჩქარე ტემპერატურის 20°C -დან 60°C -მდე მომატებისას.

$$\frac{v_{t_2}}{v_{t_1}} = \gamma^{\frac{t_2 - t_1}{10}} = 2^{\frac{60-20}{10}} = 2^4 = 16$$

ე. ი. ტემპერატურის 20°C -დან 60°C -მდე გაზრდით რეაქციის სიჩქარე 16 -ჯერ იმატებს. ამასთანავე, ცნობილია, რომ სიჩქარე და დრო უკუპროპორციულია, ამიტომ რეაქციის მიმდინარეობის დრო 16 -ჯერ უნდა შემცირდეს.


აქედან გამომდინარე, რეაქცია $160 : 16 = 10$ წმ-ში დასრულდება.

თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები



კითხვები და დავალებები:

1. მოცემულია რეაქციის ზოგადი ტოლობა:



როგორ შეიცვლება მოცემული რეაქციის სიჩქარე, თუ

ა) A ნივთიერების კონცენტრაცია გაიზრდება 2-ჯერ?

ბ) B ნივთიერების კონცენტრაცია შემცირდება 3-ჯერ?

გ) სისტემაში წნევა გაიზრდება 2-ჯერ?

დ) A ნივთიერების კონცენტრაცია შემცირდა 3-ჯერ, როგორ უნდა შეიცვალოს

B ნივთიერების კონცენტრაცია, რომ რეაქციის სიჩქარე დარჩეს უცვლელი?



2. ჭიქებში მოთავსებულია ერთი და იმავე კონცენტრაციის მარილმჟავა და ერთნაირი მასის ცარცი. პირველ ჭიქაში მოთავსებულია ცარცის ნატეხი, მეორე ჭიქაში კი ცარცი დაქუცმაცებულია.

ა) შეადგინეთ პროცესის ამსახველი რეაქციის ტოლობა;

ბ) რა განსხვავებაა ჭიქებში მიმდინარე ექსპერი- მენტებს შორის? პასუხი დაასაბუთეთ.

გ) ივარაუდეთ, რომელი კანონზომიერების საჩვენე- ბლად გამოიყენებდნენ ამ ექსპერიმენტს?

დ) წარმოიდგინეთ, რომ ეს ექსპერიმენტი თქვენ უნდა ჩაატაროთ ლაბორატორიაში. განსაზ- ღვრეთ ექსპერიმენტის მიზანი და მოკლედ წარმოადგინეთ ექსპერიმენტის ეტაპები, უს- აფრთხოების წესების გათვალისწინებით.



ე) დაასახელეთ დამოკიდებული, დამოუკიდებელი და საკონტროლო ცვლადები მოცემულ ექსპერიმენტში.

ვ) ნახ. 2.21-ის მსგავსად სქემატურად წარმოადგინეთ 1-ელი და მე-2 ექსპერი- მენტის შედეგების ამსახველი მრუდები.

ზ) დაჯახებათა თეორიის საფუძველზე ახსენით ექსპერიმენტის შედეგები.

თ) კიდევ რომელი ქმედებით შეიძლება გაზარდოთ რეაქციის სიჩქარე 1-ელ ექს- პერიმენტში?

3. რამდენჯერ გაიზრდება ქიმიური რეაქციის სიჩქარე, თუ ტემპერატურას 10 °C-დან 40 °C-მდე გავზრდით, თუ ცნობილია, რომ ტემპერატურის ყოველი 10 °C-ით მომატებისას ამ რეაქციის სიჩქარე 2-ჯერ იზრდება?

4. 30 °C-ით ტემპერატურის გაზრდა რეაქციის სიჩქარეს 27-ჯერ ზრდის. როგო- რია ამ რეაქციის ტემპერატურული კოეფიციენტი?

5. რომელ გრადუსამდე უნდა გავაცხელოთ 80 °C -ზე მიმდინარე რეაქცია, რომ მისი სიჩქარე 6.25-ჯერ გაიზარდოს, თუ რეაქციის ტემპერატურული კოეფიცი- ენტი 2.5-ის ტოლია?

6. როგორ შეიცვლება დახშულ ჭურჭელში აირად ნივთიერებებს შორის მიმდინარე რეაქციის $2A + B_2 \rightarrow 2AB$ სიჩქარე, თუ მას 4-ჯერ მცირე მოცულობის ჭურჭელში ჩავატარებთ?

7. გააანალიზეთ ნახ. 2.29 და იმსჯელეთ, რომელ სინჯარაში მიმდინარეობს რეაქ- ცია უფრო მაღალ ტემპერატურაზე?

თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები



ქიმიური რეაქციის სიჩქარის რეაგენტის კონცენტრაციაზე დამოკიდებულების დადგენა

როგორც ვიცით, ქიმიური რეაქციის სიჩქარეზე მოქმედი ერთ-ერთი ფაქტორია რეაგენტის კონცენტრაცია. როგორ დავადგინოთ ქიმიური რეაქციის სიჩქარის რეაგენტის კონცენტრაციაზე დამოკიდებულება? ამისათვის საჭიროა ექსპერიმენტის ჩატარება.

ქიმიური რეაქციის მოდელად გამოვიყენოთ ნატრიუმის თიოსულფატისა და გოგირდმუავას ურთიერთქმედების რეაქცია:



რეაქციის შედეგად, გოგირდის გამოყოფის გამო, ხსნარი იმდვრევა. რეაქციის სიჩქარის დადგენა შესაძლებელია რეაგენტების შერევის მომენტიდან სიმღვრივის წარმოქმნამდე გასული დროის მიხედვით.

გავიხსენოთ, რომ რეაქციის სიჩქარე გვიჩვენებს კონცენტრაციის ცვლილებას დროში. გოგირდის მიერ წარმოქმნილი სიმღვრივე, რომლის დროსაც წარწერა აღარ ჩანს, შეესაბამება გოგირდის კონცენტრაციას 0.010 მოლი/ლ. ეს მონაცემი გაითვალისწინეთ რეაქციის სიჩქარის გამოთვლისას:

$$v = \frac{\Delta C}{\Delta t} = \frac{0.010}{\Delta t} \quad \text{მოლი / ლ · წმ}$$

რეაგენტის სხვადასხვა კონცენტრაციაზე რეაქციის სიჩქარის განსაზღვრით დაადგინეთ მათ შორის დამოკიდებულება.

უსაფრთხოება: გოგირდმუავას კანზე მოხვედრა იწვევს დამწვრობას, ამიტომ აუცილებლად გამოიყენეთ ხელთათმანი და სათვალე. გაითვალისწინეთ, რომ აუცილებელია ნარჩენების უტილიზაცია სათანადო წესების დაცვით. ექსპერიმენტის დაწყებამდე სრულად გაეცანით უსაფრთხოების წესებს (გვ. 105).

ექსპერიმენტისათვის დაგჭირდებათ:

რეაქტივები:

- ნატრიუმის თიოსულფატის კრისტალპიდრატი ($\text{Na}_2\text{S}_2\text{O}_3 \cdot 5\text{H}_2\text{O}$)
- გოგირდმუავას (H_2SO_4) 20%-იანი ხსნარი

ქიმიური ჭურჭელი და ხელსაწყოები:

- სასწორი
- მენზურები (25 ან 50 მლ-იანი)
- ქიმიური ჭიქები (100 მლ-იანი)
- საზომი კოლბა (100 მლ-იანი)
- წამმზომი
- მინის წკირი

თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები

- ჩამრეცხი გამოხდილი წყლით
- ნარწერებიანი თეთრი ფურცელი

ექსპერიმენტის მსვლელობა:

1. დაამზადეთ ნატრიუმის თიოსულფატის 0.1 მოლი/ლ კონცენტრაციის ხსნარი. ამისათვის სასწორზე აწონეთ $2.48 \text{ g Na}_2\text{S}_2\text{O}_3 \cdot 5\text{H}_2\text{O}$, მოათავსეთ ქიმიურ ჭიქაში და გახსენით დაახლოებით 50-60 მლ გამოხდილ წყალში. ხსნარი გადაიტანეთ 100 მლ-იან საზომ კოლბაში და ჭდემდე (ნიშნულამდე) შეავსეთ გამოხდილი წყლით.
2. ჭიქაში მენტურის საშუალებით ჩაასხით ნატრიუმის თიოსულფატის ხსნარი და დაამტეთ წყალი (მოცულობები იხ. N1 ცხრილში).

ცხრილი N1. ექსპერიმენტისათვის საჭირო ნივთიერებათა მოცულობები.

ჭიქის №	ნატრიუმის თიოსულფატის ხსნარის მოცულობა, მლ	დამატებული წყლის მოცულობა, მლ	დამატებული გოგირდმუავას ხსნარის მოცულობა, მლ
1	10	30	10
2	20	20	10
3	30	10	10
4	40	0	10

3. ამის შემდეგ ჭიქაში დაამატეთ 10 მლ გოგირდმუავას 20%-იანი ხსნარი (გოგირდმუავას 20%-იანი ხსნარის დამზადებისას გაითვალისწინეთ, რომ გოგირდმუავა უნდა ჩაისხას წყალში და არა პირიქით!) და ამ მომენტიდან დაიწყეთ ნამმზომით დროის ათვლა, რომელიც უნდა შეწყვიტოთ გარკვეული სიმღვრივის ნარმოქმნისას. ნამმზომის ჩართვის შემდეგ ხსნარს ფრთხილად მოურიეთ მინის წკირით (დაახლოებით 5-6 წრიული მოძრაობა). ეცადეთ, ყველა შემთხვევაში მორევის დრო და ინტენსივობა ერთნაირი იყოს.
4. არ დაგავიწყდეთ, რომ საჭიროა გამოყენებული მინის წკირი ცდის დაწყებამდე გარეცხოთ გამოხდილი წყლით და შეამშრალოთ ქაღალდის ხელსახოცით.
5. იმისათვის, რომ ნამმზომი ყველა შემთხვევაში ერთნაირი სიმღვრივისას გამოირთოს, ჭიქა მოათავსეთ თეთრ ფურცელზე გაკეთებულ ნარწერაზე და ნამმზომით დააფიქსირეთ დროის ის მომენტი, როდესაც ნარმოქმნილი სიმღვრივის გამო ჭიქის ქვეშ ნარწერა აღარ გამოჩნდება.

თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები

6. მიღებული შედეგების მიხედვით შეავსეთ მოცემული ცხრილი N2.

ცხრილი N2. ექსპერიმენტის შედეგები.

ჭიქის №	ნატრიუმის თიო-სულფატის კონცენტრაცია, მოლი/ლ	დრო სიმღვრივის ნარმოქმნამდე (Δt), წმ	რეაქციის სიჩქარე, $v = \frac{0.010}{\Delta t}$ მოლი / (ლ · წმ)
1	0.02		
2	0.04		
3	0.06		
4	0.08		

7. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) გამოყენებით ააგეთ რეაქციის სიჩქარის ნატრიუმის თიოსულფატის კონცენტრაციაზე დამოკიდებულების გრაფიკი. გრაფიკის აგებისას საწყის წერტილად აიღეთ კოორდინატთა სათავე. მიღებული შედეგების საფუძველზე იმსჯელეთ და უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:
- როგორი დამოკიდებულებაა რეაგენტების კონცენტრაციასა და რეაქციის სიჩქარეს შორის?
 - ივარაუდეთ, რისთვისაა საჭირო, რომ მორევის დრო და ინტენსივობა ერთნაირი იყოს ყოველი ცდისათვის?
 - როგორ ფიქრობთ, რომელმა ფაქტორებმა შეიძლება გამოიწვიოს ცდომილება ექსპერიმენტში? თქვენი ვარაუდი დაასაბუთეთ.

თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები



ქიმიური რეაქციის სიჩქარის ტემპერატურაზე დამოკიდებულების დადგენა

როგორც ვიცით, ქიმიური რეაქციის სიჩქარეზე მოქმედი ერთ-ერთი ფაქტორია ტემპერატურა. როგორ დავადგინოთ ქიმიური რეაქციის სიჩქარისა და ტემპერატურის დამოკიდებულება? ამისათვის საჭიროა ექსპერიმენტის ჩატარება.

როგორც ვიცით, ტემპერატურის გაზრდა ინვევს მოლეკულების კინეტიკური ენერგიისა და მორეაგირე ნივთიერებების მოლეკულების დაჯახებათა რიცხვის გაზრდას, ამიტომ რაც უფრო მეტია ტემპერატურა, მით უფრო სწრაფად წარიმართება ქიმიური რეაქცია.

ვანტ-ჰოფის წესის თანახმად, ტემპერატურის ყოველი 10°C -ით მომატება ინვევს ქიმიური რეაქციის სიჩქარის **2-4-ჯერ გაზრდას**. მათემატიკურად ეს წესი შემდეგი ფორმულით გამოისახება:

$$v_{(t_2)} = v_{(t_1)} \cdot \gamma^{\frac{t_2 - t_1}{10}}$$

ქიმიური რეაქციის მოდელად გამოვიყენოთ ნატრიუმის თიოსულფატისა და გოგირდ-მჟავას შორის ურთიერთქმედების რეაქცია:



რეაქციის შედეგად, გოგირდის გამოყოფის გამო, ხსნარი იმღვრევა. რეაქციის სიჩქარის დადგენა შესაძლებელია რეაგენტების შერევის მომენტიდან სიმღვრივის წარმოქმნამდე გასული დროის მიხედვით.

გავიხსენოთ, რომ რეაქციის სიჩქარე გვიჩვენებს კონცენტრაციის ცვლილებას დროში. გოგირდის მიერ წარმოქმნილი სიმღვრივე, რომლის დროსაც წარწერა აღარ ჩანს, შეესაბამება გოგირდის კონცენტრაციას 0.010 მოლი/ლ. ეს მონაცემი გაითვალისწინეთ რეაქციის სიჩქარის გამოთვლისას:

$$v = \frac{\Delta C}{\Delta t} = \frac{0.010}{\Delta t} \text{ მოლი/ლ} \cdot \text{წმ}$$

განსაზღვრეთ რეაქციის ტემპერატურული კოეფიციენტი სხვადასხვა ტემპერატურაზე რეაქციის სიჩქარის განსაზღვრის მეშვეობით.

უსაფრთხოება: გოგირდმჟავას კანზე მოხვედრა ინვევს დამწვრობას, ამიტომ აუცილებლად გამოიყენეთ ხელთათმანი და სათვალე. გაითვალისწინეთ, რომ აუცილებელია ნარჩენების უტილიზაცია სათანადო წესების დაცვით. ექსპერიმენტის დაწყებამდე სრულად გაეცანით უსაფრთხოების წესებს (გვ. 105).

ექსპერიმენტისათვის დაგჭირდებათ:

რეაქტივები:

- ნატრიუმის თიოსულფატის კრისტალჰიდრატი ($\text{Na}_2\text{S}_2\text{O}_3 \cdot 5\text{H}_2\text{O}$)
- გოგირდმჟავას (H_2SO_4) 20%-იანი ხსნარი

თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები

ქიმიური ქურჭელი და ხელსაწყოები:

- სასწორი
- მენზურები (25 ან 50 მლ-იანი)
- ქიმიური ჭიქები (100 მლ-იანი)
- საზომი კოლბა (100 მლ-იანი)
- წამზომი
- მინის ნკირი
- ჩამრეცხი გამოხდილი წყლით
- წარწერებიანი თეთრი ფურცელი
- დიდი ზომის სინჯარა
- სპირტქურა
- სინჯარის დამჭერი

ექსპერიმენტის მსვლელობა:

1. დამზადეთ ნატრიუმის თიოსულფატის 0.1 მოლი/ლ კონცენტრაციის ხსნარი. ამისათვის სასწორზე აწონეთ 2.48 გ $\text{Na}_2\text{S}_2\text{O}_3 \cdot 5\text{H}_2\text{O}$ მოათვსეთ ქიმიურ ჭიქაში და გახსენით დაახლოებით 50-60 მლ გამოხდილ წყალში. ხსნარი გადაიტანეთ 100 მლ-იან საზომ კოლბაში და ჭდემდე (ნიმუშლამდე) შეავსეთ გამოხდილი წყლით.
2. ჭიქაში მენზურის საშუალებით ჩაასხით ნატრიუმის თიოსულფატის ხსნარი და დაამატეთ ოთახის ტემპერატურის (20°C) წყალი (მოცულობები იხ. N1 ცხრილში). ცხრილი N1. ექსპერიმენტისათვის საჭირო ნივთიერებათა მოცულობები.

ტემპერატურა	ნატრიუმის თიოსულფატის ხსნარის მოცულობა, მლ	დასამატებელი წყლის მოცულობა, მლ		დასამატებელი გოგირდმჟავას ხსნარის მოცულობა, მლ
		ოთახის ტემპერატურის წყალი	მდუღარე წყალი	
20 °C	10	30	0	10
30 °C	10	22	8	10
40 °C	10	14	16	10

3. ამის შემდეგ ჭიქაში დაამატეთ 10 მლ გოგირდმჟავას 20%-იანი ხსნარი (გოგირდმჟავას 20%-იანი ხსნარის დამზადებისას გაითვალისწინეთ, რომ გოგირდმჟავა უნდა ჩაისხას წყალში და არა პირიქით!) და ამ მომენტიდან დაიწყეთ წამმზომით დროის ათვლა, რომელიც უნდა შეწყვიტოთ გარკვეული სიმღვრივის წარმოქმნისას. წამმზომის ჩართვის შემდეგ ხსნარს ფრთხილად მოურიეთ მინის წკირით (დაახლოებით 5-6 წრიული მოძრაობა). ეცადეთ, ყველა შემთხვევაში მორევის დრო და ინტენსივობა ერთნაირი იყოს.
4. იმისათვის, რომ წამმზომი ყველა შემთხვევაში ერთნაირი სიმღვრივისას გამოირთოს, ჭიქა მოათვსეთ თეთრ ფურცელზე გაკეთებულ წარწერაზე და წამმზომით დააფიქსირეთ დროის ის მომენტი, როდესაც წარმოქმნილი სიმღვრივის გამო ჭიქის ქვეშ წარწერა აღარ გამოჩნდება.
5. 30 და 40 °C-ზე ცდის ჩასატარებლად ყველა პროცედურა იგივეა, ოღონდ ამ შემთხვევაში ჭიქაში გოგირდმჟავას ჩამატებამდე, ოთახის ტემპერატურის წყლის გარ-

თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები

და, უნდა ჩაასხათ შესაბამისი მოცულობის ადულებული წყალიც (მოცულობები იხ. N1 ცხრილში). ამისათვის სინჯარაში ჩაასხით საჭირო რაოდენობის წყალი და აა-დულეთ სპირტეურაზე, ოლონდ, ვიდრე წყლის გაცხელებას დაიწყებდეთ, წინასწარ არწყეთ მენზურაში გოგირდმუავას ხსნარი. როდესაც სინჯარაში წყალი ინტენსიურ დულილს დაიწყებს, ჩაასხით წყალი სინჯარაში და მაშინვე დაამატეთ გოგირდმუავა.

6. მიღებული შედეგების მიხედვით შეავსეთ მოცემული ცხრილი N2.

ცხრილი N2. ექსპერიმენტის შედეგები.

ტემპერატურა	დრო სიმღვრივის ნარმოქმნამდე (Δt), წმ	რეაქციის სიჩქარე, $v = \frac{0.010}{\Delta t} \text{ მოლი / (ლ} \cdot \text{წმ})$
20 °C		
30 °C		
40 °C		

7. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) გამოყენებით ააგეთ რეაქციის სიჩქარის ტემპერატურაზე დამოკიდებულების გრაფიკი.
8. გამოთვალეთ რეაქციის ტემპერატურული კოეფიციენტი ორივე ტემპერატურული დიაპაზონისათვის (20-30 °C და 30-40 °C), შემდეგი ფორმულების გამოყენებით:

$$20-30 \text{ } ^\circ\text{C}: \gamma = \frac{v_{30^\circ\text{C}}}{v_{20^\circ\text{C}}}$$

$$30-40 \text{ } ^\circ\text{C}: \gamma = \frac{v_{40^\circ\text{C}}}{v_{30^\circ\text{C}}}$$

რის შემდეგაც იანგარიშეთ ტემპერატურული კოეფიციენტის საშუალო მნიშვნელობა. შედეგები შეიტანეთ ცხრილში N3.

ცხრილი N3. ტემპერატურული კოეფიციენტის დადგენა.

ტემპერატურული დიაპაზონი	ტემპერატურული კოეფიციენტი	ტემპერატურული კოეფიციენტის საშუალო მნიშვნელობა
20-30 °C		
30-40 °C		

მიღებული შედეგების საფუძველზე იმსჯელეთ და უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- ა) როგორი დამოკიდებულება ტემპერატურასა და რეაქციის სიჩქარეს შორის?
- ბ) თქვენი აზრით, რატომ ტარდება ექსპერიმენტი ორ სხვადასხვა ტემპერატურულ დიაპაზონში?
- გ) ივარაუდეთ, რისთვისაა საჭირო, რომ მორევის დრო და ინტენსივობა ერთნაირი იყოს ყოველი ცდისათვის?
- დ) როგორ ფიქრობთ, რომელმა ფაქტორებმა შეიძლება გამოიწვიოს ცდომილება ექსპერიმენტში? თქვენი ვარაუდი დაასაბუთეთ.

თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები

2.4


კატალიზატორი

ტემპერატურისა და კონცენტრაციის ცვლილება მოქმედებს რეაქციის სიჩქარეზე, მაგრამ ტემპერატურის მატება ყოველთვის არ არის სასუკეთესო ან პრაქტიკულად გამართლებული ქმედება. მაგალითად, როდესაც ადამიანს მაღალი სიცხე აქვს, ორგანიზმში მიმდინარე რეაქციები გაძლიერებულია. ამ დროს წარმოიქმნება და გროვდება დიდი რაოდენობით როგორც სასარგებლო, ისე მავნე ნივთიერებები, გამოიყოფა საჭიროზე მეტი ენერგია და უჯრედები იღუპება. წარმოებაში რეაქციის ჩატარება მაღალ ტემპერატურაზე ასევე დაკავშირებულია ენერგიის დიდ დანახარჯებთან, ამიტომ ქიმიკოსები ხშირად ცდილობენ ისეთი პირობების შემუშავებას, რომ რეაქციები შედარებით დაბალ ტემპერატურაზე ჩატარონ, ამასთან, მაღალი სიჩქარით, რისთვისაც კატალიზატორებს იყენებენ.

ალბათ ეს სიტყვა თქვენთვის უკვე ნაცნობია, რადგან ავტომობილის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ კატალიზატორი წარმოადგენს. რა ფუნქცია აქვს მას?

როგორც ვიცით, საწვავის წვის პროცესში გამოიყოფა სხვადასხვა ტოქსიკური ნივთიერება, რომელიც გარემოს მნიშვნელოვან დამაპინძურებელს წარმოადგენს, მაგალითად: გოგირდის დიოქსიდი, ნახშირბადის მონონიტი, აზოტის ოქსიდები და სხვ.

იმისათვის, რომ ამ ნივთიერებების გარემოში მოხვედრა თავიდან ავირიდოთ, ავტომობილის კორპუსის უკანა მხარეს დამონტაჟებულია სპეციალური მოწყობილობა, რომელიც ამ ტოქსიკურ ნაერთებს გარდაქმნის და ნახშირორუქნის, წყლისა და აზოტის სახით გამოყოფს. ამ მოწყობილობას ავტომობილის კატალიზურ გარდამქმნელს ან უბრალოდ მანქანის კატალიზატორს უწოდებენ (ნახ. 2.30). ასეთი გარდამქმნელის კორპუსს პლატინის, პალადიუმის ან როდიუმისაგან ამზადებენ, რათა გაუძლოს ჟანგვას, კოროზიასა და სხვა გარემო ფაქტორებს. კორპუსის შიგთავსი ამოფენილია სპეციალური ნივთიერებით, რომელიც ტოქსიკური ნაერთების გარდაქმნის პროცესს აჩქარებს, თვითონ კი უცვლელი რჩება.



ნახ. 2.30. ავტომობილის კატალიზური გარდამქმნელი.

ზოგადად, კატალიზატორი ქიმიური ნივთიერებაა, რომელიც ქიმიურ რეაქციას აჩქარებს, თვითონ კი რეაქციის დასრულების შემდეგ უცვლელი რჩება. ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარე რეაქციები ძირითადად ბიოლოგიური კატალიზატორების მეშვეობით ხორციელდება, რომლებსაც ფერმენტები ანუ ენზიმები ეწოდება. კატალიზატორები ფართოდ


თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები

გამოიყენება მრეწველობაში დიდი რაოდენობის პროდუქციის სწრაფად დასამზადებლად, რაც ამცირებს მათ ღირებულებას. ვინაიდან კატალიზატორები ქიმიურ პროცესებში რაოდენობრივად არ იცვლება, ისინი ქიმიური რეაქციის ტოლობაში არ იწერება როგორც რეაგენტი ან პროდუქტი, უბრალოდ მიენიშნება მათი გამოყენება ისევე, როგორც წნევისა და ტემპერატურის. ზოგიერთი ნივთიერება ამცირებს რეაქციის სიჩქარეს, მათ ინჰიბიტორებს უწოდებენ. მაგალითად, მიკროორგანიზმებით გამოწვეული ანთებითი პროცესის დროს იყენებენ ანტიბიოტიკებს, რომლებიც ამ ორგანიზმების რომელიმე მნიშვნელოვან სასიცოცხლო პროცესს აფერხებს, ანუ ხელს უშლის მათ განვითარებაში.

კატალიზატორის მეშვეობით მიმდინარე პროცესს **კატალიზი** ეწოდება; ინჰიბიტორით რეაქციის სიჩქარის შემცირებას – **ინჰიბირება**. კატალიზატორების მოქმედებას თავიდან აკვირდებოდნენ დაშლის რეაქციების შესხვალისას და ვინაიდან მათი მეშვეობით აღნიშნული პროცესები ძლიერდებოდა, სახელიც ამ ნიშნით დაერქვა — „კატალიზი“ ბერძნულად დაშლას ნიშნავს. ასევე „ინჰიბიცია“ ლათინურად შეკავებას, ხელის შეშლას აღნიშნავს.

კატალიზატორის მოქმედების პრინციპი მდგომარეობს მოცემული რეაქციის მიმდინარეობის გზის ცვლილებაში, რასაც ახლავს მოცემულ ტემპერატურაზე აქტივაციის ენერგიის შემცირება. დაბალი აქტივაციის ენერგია ნიშნავს, რომ მოლეკულათა შორის დაჯახებისას მეტი მოლეკულა გადალახავს ამ პარიერს და წარმოქმნის პროდუქტს. ე. ი. კატალიზატორი აქტივაციის ენერგიის შემცირებით ზრდის ქიმიური რეაქციის სიჩქარეს.


2.31 ნახაზზე მოცემულია ეგზოთერმული ქიმიური რეაქციის ენერგეტიკული დიაგრამა. ნითელი ხაზით აღნიშნულია რეაქციის მსვლელობა კატალიზატორის გარეშე, ლურჯად კი – კატალიზატორის თანაბიძისას. როგორც ვხედავთ, კატალიზატორის თანაბით მიმდინარე რეაქციის აქტივაციის ენერგია ბევრად ნაკლებია, ვიდრე მის გარეშე და, შესაბამისად, სიჩქარეც იზრდება.



ნახ. 2.31. კატალიზატორის მონაწილეობით და მის გარეშე მიმდინარე ქიმიური რეაქციის ენერგეტიკული დიაგრამა.

განვიხილოთ მაგალითი:

წყალბადის პეროქსიდი იშლება წყლისა და ჟანგბადის წარმოქმნით:




თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები

რეაქცია ჩვეულებრივ პირობებში საკმაოდ ნელა მიმდინარეობს. რეაქციის დაჩქარება შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის კატალიზატორის გამოყენებით.


განვიხილოთ ასეთი ექსპერიმენტი:

სამ ერთაირ სინჯარაში ჩაასხეს ერთი და იმავე მოცულობის წყალბადის პეროქსიდის სსნარი. პირველი სინჯარა დატოვეს უცვლელად, მეორე სინჯარაში ჩააგდეს მცირე ზომის მანგანუმ(IV)-ის ოქსიდის ნატები, ხოლო მესამე სინჯარაში - ფერმენტ კატალაზას შემცველი იმავე ზომის პრეპარატი, მაგალითად, უმი კარტოფილის ნაჭერი (ნახ. 2.32).



ნახ. 2.32. წყალბადის პეროქსიდის დაშლა სხვადასხვა კატალიზატორის თანაობისას და მის გარეშე.

გარკვეული დროის შემდეგ სამივე სინჯარაში შეიტანეს მბუტავი კვარი. პირველ სინჯარაში კვარი არ აინთო, რაც იმის მაჩვენებელია, რომ გამოყოფილი უანგბადი არ არის საკმარისი კვარის ასანთებად, მეორე და მესამე სინჯარაში კვარი აინთო, ამასთან, მესამეში აქაფებაც შეინიშნება, რაც უანგბადის ინტენსიურ გამოყოფაზე მიუთითებს. ამ ექსპერიმენტიდან ჩანს, რომ ფერმენტი ყველაზე მეტად აჩქარებს წყალბადის პეროქსიდის დაშლის რეაქციას, რაც ამ რეაქციის აქტივაციის ენერგიის შემცირების გამო ხდება. იმავე რეაქციის კატალიზატორად შეიძლება გამოვიყენოთ კალიუმის იოდიდი. სხვადასხვა კატალიზატორი განსხვავებულად ცვლის აქტივაციის ენერგიას (ნახ. 2.33).




ნახ. 2.33. წყალბადის პეროქსიდის დაშლის რეაქციის აქტივაციის ენერგია სხვადასხვა კატალიზატორის თანაობისას.

თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები

რა არის ფერმენტები?


ფერმენტები რთული შედგენილობის ცილოვანი ნაერთებია. ისინი განსაკუთრებულ როლს ასრულებს ორგანიზმში მიმდინარე ქიმიურ პროცესებში (მეტაბოლიზმში). ორგანიზმის ტემპერატურა შედარებით დაბალია, ამიტომ ბევრი პროცესის განხორციელებისათვის საჭიროა აქტივაციის ენერგიის შემცირება, რაც სწორედ ფერმენტების, ანუ ბიოლოგიური კატალიზატორების საშუალებით ხდება. ფერმენტები წარმართავს საჭმლის მონელებას, უჯრედულ სუნთქვას, ფოტოსინთეზს, სპირტულ დუღილს და მრავალ სხვა პროცესს.

ფერმენტების მოქმედებით შესაძლებელია ისეთი რეაქციების წარმართვა, რომელიც მაღალი აქტივაციის ენერგიის გამო იმავე პირობებში საერთოდ ვერ წარიმართებოდა. ფერმენტის მოლეკულას აქვს სპეციფიკური აღნაგობა, რომელიც გარკვეულწილად რეაგენტის (ანუ სუბსტრატის) მოლეკულის ფორმის შესაბამისია. ამით ფერმენტი და სუბსტრატი ერთმანეთს „ცნობს“ - რეაგენტი ისე ერგება ფერმენტს, როგორც გასაღები – კლიტეს. ფერმენტი და მასთან დაკავშირებული სუბსტრატი წარმოადგენს შუალედურ კომპლექსს, რომელიც შემდგომ პროდუქტებად გარდაიქმნება (ნახ. 2.34).



თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები


რეალურად ფერმენტების მოქმედება ბევრად უფრო რთული და კომპლექსური პროცესია. ფერმენტს აქვს მოქმედების ოპტიმალური პირობები. მაგალითად, ადამიანის ორგანიზმი ბევრი ფერმენტის მოქმედებისთვის ოპტიმალური ტემპერატურა 37°C (ნახ. 2.35). ტემპერატურის მატებით ფერმენტის უმრავლესობის აქტივობა იკლებს, ხოლო 40°C -ის ზევით ფერმენტთა უმეტესობა იშლება. ანალოგიურად, ფერმენტების მოქმედებას სჭირდება ოპტიმალური pH , რომელიც შეიძლება განსხვავებული იყოს სხვადასხვა ტიპის ფერმენტისათვის, თუმცა, ძირითადად, ოპტიმალური pH 5-9 ფარგლებშია (ნახ. 2.35).



ნახ. 2.35. ფერმენტების მოქმედების ოპტიმალური პირობები.

ზოგიერთი ფერმენტისათვის შეიძლება ეს პირობები განსახვავებული იყოს. მაგალითად, ფერმენტი პეპსინი, რომელიც ხელს უწყობს ცილოვანი საკვების მონელებას, ფუნქციონირებს კუჭში, სადაც მისი მოქმედებისთვის ოპტიმალური $\text{M}_{\text{S}}\text{A}$ არეა ($\text{pH} = 1-3$).

ორგანიზმში არსებული მნიშვნელოვანი ორგანული ნივთიერებების (ნახშირწყლები, ცილები, ცხიმები) გარდაქმნის კატალიზატორებს სხვადასხვა ტიპის ფერმენტი წარმოადგენს (ნახ. 2.36).



ნახ. 2.36. ნახშირწყლების, ცილებისა და ცხიმების დამშლელი ფერმენტები.

თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები


ფერმენტებს ასევე უდიდესი როლი აქვს სხვადასხვა ტექნოლოგიურ პროცესში. მაგ-ალითად, ფერმენტულია პროცესები, რომელთა საშუალებითაც მიმდინარეობს პურის გა-ფუქსა, რძის პროდუქტების მიღება, ღვინის დადუღება, ლუდის წარმოება და მრავალი სხვა.




კითხვები და დავალებები:



უსაფრთხოების წესების დაცვით, უანგბადის მისაღებად სპეციალურ მოწყ-ობილობაში (ნახ. 1) ჩაასხეს წყალბადის პეროქსიდის 200 გრ 17 %-იანი ხსნარი. გამყოფ ძაბრში, რომელიც მორგებული იყო კოლბას, ჩაასხეს კა-ლიუმის იოდიდის ხსნარი. უანგბადის შესაგროვებლად კოლბას მოარგეს ბუშტი. სანამ გამყოფი ძაბრის ონკანი დაკეტილია (ნახ. 1ა), ბუშტი არ არის გაბერილი. მას შემდეგ, რაც კალიუმის იოდიდის მცირე რაოდენობა ჩაუშვეს კოლბაში, ბუშტი გაიბერა (ნახ. 1ბ). მოცემული ინფორმაციის საფუძველზე უპასუხეთ ქვემოთ მოცე-მულ კითხვებს.



ნახ. 1 (ა)



ნახ. 1 (ბ)

- რა როლი აქვს ამ ექსპერიმენტში კალიუმის იოდიდს?
- გამოიყენეთ ცხრილი 1.3 (გვ. 27) და გამოთვალეთ ენერგიის ცვლილება მო-ცემულ რეაქციაში.
- ეგზოთერმულია თუ ენდოთერმული მოცემული რეაქცია?
- სქემატურად გამოსახეთ წყალბადის პეროქსიდის დაშლის რეაქციის ენერგე-ტიკული დიაგრამა კალიუმის იოდიდის თანაობისას და მის გარეშე.
- გამოთვალეთ წყალბადის პეროქსიდის მასა საწყის ხსნარში.
- გამოთვალეთ რეაქციის შედეგად გამოყოფილი უანგბადის მოცულობა (ნ. პ.).

თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები



როგორ მზადდება ყველი?

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საწარმოო პროცესი, რომელშიც ფერმენტები გამოიყენება, ყველის წარმოებაა. ყველი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რძის პროდუქტია როგორც საქართველოში, ასევე მთელ მსოფლიოში.



ნახ. 2.37. ყველის სახეობები.

ყოველწლიურად დაახლოებით 22 მილიონი ტონა ყველი იწარმოება მსოფლიოს მასშტაბით. ცნობილია ყველის 1800-ზე მეტი სახეობა (ნახ. 2.37)., აქედან 250-მდე სახეობა იწარმოება საქართველოში. ქართული ყველის გამორჩეული სახეობებია: სულგუნი, დამბალხაჭო, ტენილი, გუდა, იმერული და სხვ. (ნახ. 2.38)



ტენილი



დამბალხაჭო



სულგუნი

ნახ. 2.38. ქართული ყველის სახეობები.

ყველის წარმოების პირველი ეტაპია რძის პასტერიზება. რძეს აცხელებენ 60°C -მდე 1 სთ-ის განმავლობაში, ამ დროს მავნე მიკრობანიზმების მნიშვნელოვანი ნაწილი იხოცება. პასტერიზებული რძე გადადის დიდი ზომის რეაქტორში (ნახ. 2.39), სადაც მას ემატება სპეციალურად შერჩეული „სასარგებლო“ ბაქტერიების ნარევი. ეს ბაქტერიები გამოყოფს ფერმენტებს, რომლებიც რძის ამჟავების გამომწვევი რეაქციების კატალიზატორებს წარმოადგენს.

თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები



ნახ. 2.39. რძის საფერმენტაციო რეაქტორი.

ამჟავებულ რძეს ემატება ფერმენტი რენინი, რომელსაც მაჭივი (ძროხის კუჭის ნაწილი) შეიცავს. რენინი რძეს ადედებს და კოლტებს წარმოქმნის. ნარევს კარგად ურევენ სპეციალური დანების გამოყენებით, რომელიც კოლტებს აქუცმაცებს. ამის შემდეგ ნარევს წურავენ ბადეზე და მიღებულ მასას აშრობენ.

გაშრობის შემდეგ ყველის მასა ქუცმაცდება და სახეობების მიხედვით სხვადასხვანაირად მუშავდება. დამუშავებისა და დამწიფების შემდეგ ყველი იჭრება შესაბამის ფორმებში (ნახ. 2.40), იფუთება და საწყობდება.



ნახ. 2.40. ყველის საჭრელი დანადგარი.

ზემოხსენებული პროცესები არის ზოგადი და გათვლილია დიდი მასშტაბის წარმოებისათვის. ხშირად ყველს გამარტივებულად ამზადებენ სახლებსა თუ მცირე მეურნეობებში: ნედლ რძეს უმატებენ ფერმენტს, რათა აიჭრას და შეკოშტილ მასას ხელით ამოიყვანენ, რასაც ნედლი ანუ ჭყინტი ყველი (იმერული) ენოდება. ჭყინტი ყველის თერმული დამუშავებით (მოხარშვით) სულგუნს ამზადებენ.

თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები



შემაჯამებელი სავარჯიშოები

1. მოცემულია რეაქციის ზოგადი ტოლობა:




- ა) როგორ შეიცვლება მოცემული რეაქციის სიჩქარე, თუ სისტემაში წნევა გაიზრდება 3-ჯერ?
- ბ) კიდევ რომელი ქმედებით არის შესაძლებელი მოცემული რეაქციის სიჩქარის გაზრდა?

2. დაწერეთ რეაქციის ზოგადი ტოლობა, რომელსაც შეესაბამება მოქმედ მასათა კანონის შემდეგი გამოსახულება:

$$v = k \cdot C_{(A)}^2 \cdot C_{(B)}$$

3. მოცემულია რეაქციის ზოგადი ტოლობა:



ამ რეაქციის ტოლობის მიხედვით შეავსეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი და გამოთვალით:

- ა) ქიმიური რეაქციის სიჩქარე A ნივთიერების ხარჯვის მიხედვით;
- ბ) ქიმიური რეაქციის სიჩქარე B ნივთიერების ხარჯვის მიხედვით.

კონცენტრაცია (მოლი/ლ)	A	B	D	E
საწყისი (C_1)				
ცვლილება (ΔC)				
4 ნუთის შემდეგ (C_2)	4	7	5	

4. მოცემულია რეაქციის ზოგადი ტოლობა:



ამ რეაქციის ტოლობის მიხედვით შეავსეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი და გამოთვალით:


- ა) ქიმიური რეაქციის სიჩქარე A ნივთიერების ხარჯვის მიხედვით;
- ბ) ქიმიური ეაქციის სიჩქარე B ნივთიერების ხარჯვის მიხედვით.

კონცენტრაცია (მოლი/ლ)	A	B	D
საწყისი (C_1)	15		
ცვლილება (ΔC)			6
8 ნუთის შემდეგ (C_2)		4	

5. რამდენჯერ გაიზრდება ქიმიური რეაქციის სიჩქარე, თუ ტემპერატურას $0\text{ }^{\circ}\text{C}$ -დან $50\text{ }^{\circ}\text{C}$ -მდე გავზრდით, ხოლო სიჩქარის ტემპერატურული კოეფიციენტი 3-ის ტოლია?
6. როგორ უნდა შეიცვალოს ტემპერატურა, რომ რეაქცია დაჩქარდეს 64-ჯერ, თუ რეაქციის ტემპერატურული კოეფიციენტი არის 4?


თავი 2. ქიმიური რეაქციის სიჩქარე და მასზე მოქმედი ფაქტორები

7. გამოთვალეთ ქიმიური რეაქციის ტემპერატურული კოეფიციენტი, თუ ტემპერატურის 120°C -დან 150°C -მდე გაზრდა რეაქციას 8 -ჯერ აჩქარებს.
8. რა ტემპერატურაზე მიმდინარეობდა რეაქცია, თუ მისი 120°C -მდე გაცხელება რეაქციის სიჩქარეს 81 -ჯერ ზრდის, ხოლო ტემპერატურული კოეფიციენტი 3 -ის ტოლია?
9. გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული დიაგრამა და უპასუხეთ კითხვებს:



მოცემულ ნახაზზე რომელი აღნიშვნა შეესაბამება:


- ა) მორეაგირე ნივთიერებების პოტენციური ენერგიების ჯამს?
 - ბ) რეაქციის პროდუქტების პოტენციური ენერგიების ჯამს?
 - გ) რეაქციის აქტივაციის ენერგიას?
 - დ) რეაქციის სითბურ ეფექტს?
 - ე) კატალიზატორით მიმდინარე რეაქციის აქტივაციის ენერგიას?
 - ვ) უკატალიზატოროდ მიმდინარე საპირისპირო რეაქციის აქტივაციის ენერგიას?
10. მოცემულია რეაგენტებისა და პროდუქტების კონცენტრაციის დროზე დამოკიდებულება:



გრაფიკის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- ა) დაადგინეთ A ნივთიერების ხარჯვის სიჩქარე რეაქციის დაწყებიდან 30 წმ-ში.
- ბ) დაადგინეთ C ნივთიერების წარმოქმნის სიჩქარე რეაქციის დაწყებიდან 50 წმ-ში.
- გ) შეადარეთ ერთმანეთს A და B ნივთიერების კონცენტრაციის ცვლილება 50 წმ-ში.
- დ) რამდენჯერ აღემატება A ნივთიერების ხარჯვის სიჩქარე B ნივთიერების ხარჯვის სიჩქარეს 30 წმ-ში?
- ე) შეადარეთ ერთმანეთს B და C ნივთიერების კონცენტრაციის ცვლილება და სიჩქარე 30 წმ-ში.

თავი 3. ქიმიური წონასწორობა




თავი 3. ქიმიური წონასწორობა

3.1

დინამიკური წონასწორობა


ჩვენი სიცოცხლე დამოკიდებულია ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შექცევად პროცესზე – სისხლსა და ქსოვილებს შორის აირთა (ჟანგბადი და ნახშირორჟანგი) მიმოცვლაზე. სისხლის წითელ უჯრედებში არსებული ცილა ჰემოგლობინი იერთებს ჟანგბადს მაშინ, როცა ეს უჯრედები ფილტვის სისხლძარღვებშია და გადააქვს ორგანიზმის სხვა ქსოვილებში, სადაც ჟანგბადი თავისუფლდება, მის ნაცვლად კი ჰემოგლობინს ნახშირორჟანგის მოლეკულები უკავშირდება. ფილტვში საპირისპირო პროცესი მიმდინარეობს – ნახშირორჟანგი გამოიყოფა და მის ადგილს ჟანგბადი იკავებს (ნახ. 3.1).



ნახ. 3.1. ჟანგბადისა და ნახშირორჟანგის მიმოცვლა.

კიდევ ერთი შექცევადი პროცესის მაგალითია კრისტალჰიდრატის დაშლა. განვლილი მასალიდან გავიხსენოთ, რომ კრისტალჰიდრატი არის მყარი ნივთიერება, რომელიც შეიცავს წყლის მოლეკულების განსაზღვრულ რაოდენობას. კრისტალჰიდრატის შედგენილობაში შემავალ წყალს კრისტალიზაციური წყალი ეწოდება.

ლურჯი ფერის სპილენდ(II)-ის სულფატის კრისტალჰიდრატის გახურებისას, მას სცილდება კრისტალიზაციური წყალი, უნყლო მარილი კი იღებს ლია ნაცრისფერ შეფერილობას (ნახ. 3.2).



ნახ. 3.2. სპილენდ(II)-ის სულფატის კრისტალჰიდრატის დაშლა.

თავი 3. ქიმიური წონასწორობა

მიღებულ მასაზე წყლის რამდენიმე წვეთის დამატებით კი მიმდინარეობს საპირისპირო რეაქცია, ანუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროცესი შექცევადია (ნახ. 3.3).




ნახ. 3.3. უნცლო სპილენდ(II)-ის სულფატზე წყლის დამატებით ისევ შაბიამანი წარმოიქმნება.

გავიხსენოთ, რომ ასეთი ტიპის რეაქციების ტოლობის გამოსახვისათვის იყენებენ შექცევადობის სიმბოლოს, ორმაგ ურთიერთსაპირისპირო ისრებს ჯ. ამრიგად, ზემოთ განხილული პროცესის ამსახველი ქიმიური ტოლობა მიღებს ასეთ სახეს:



კრისტალჰიდრატის დაშლას პირდაპირი რეაქცია ეწოდება, ხოლო წარმოქმნას – საპირისპირო. ენერგიის თავლაზრისით, აღნიშნულ რეაქციაში პირდაპირი რეაქცია ენდო-თერმულია, ხოლო შებრუნებული – ეგზოთერმული. ენერგეტიკული დიაგრამა შემდეგნაირად გამოისახება (ნახ. 3.4):




ნახ. 3.4. სპილენდ(II)-ის სულფატის კრისტალჰიდრატის დაშლის ენერგეტიკული დიაგრამა.

შექცევად რეაქციებში ყოველთვის ერთი მიმართულება ეგზოთერმულია, ხოლო საპირისპირო – ენდოთერმული. ენდოთერმული რეაქციის დროს შთანთქმული სითბოს რაოდენობა ყოველთვის ეგზოთერმული რეაქციის დროს გამოყოფილი სითბოს რაოდენობის ტოლია. მოცემული მაგალითის მიხედვით, კრისტალჰიდრატის დაშლისას წყდება ის ბმები, რომლებიც წარმოიქმნება საპირისპირო პროცესში, შესაბამისად, ამ ორ პროცესს ესაჭიროება ერთნაირი რაოდენობის ენერგია.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, აორთქლება ბუნებრივი პროცესია. წვიმის დროს წყლის გუბეები ჩნდება, რომელიც შემდეგ ორთქლდება. ასევე, სამედიცინო სპირტი ადვილად ორთქლდება ხელის გულიდან. ამ შემთხვევებში სითხე ორთქლდება ღია სისტემებიდან – ის მთლიანად „ქრება“. მაგრამ რა მოხდება, თუ წყალს დახურულ ჭურჭელში მოვათავსებთ? წყლის ორთქლი მოგროვდება სითხის ზედაპირზე და მისი კონცენტრა-

თავი 3. ქიმიური წონასწორობა


ციის ზრდასთან ერთად დაიწყება საპირისპირო პროცესი – კონდენსაცია. გარკვეული დროის შემდეგ დამყარდება წონასწორობა, რაც იმას ნიშნავს, რომ აორთქლების სიჩქარე გაუთანაბრდება კონდენსაციის სიჩქარეს; ხოლო ორთქლისა და წყლის კონცენტრაციები აღარ შეიცვლება (ნახ. 3.5). ფიზიკური მოვლენის დროს დამყარებულ წონასწორობას ფიზიკური წონასწორობა ეწოდება.



ნახ. 3.5. ფიზიკური წონასწორობა წყლის აორთქლებასა და კონდენსაციას შორის.

რა მოხდება, თუ კალციუმის კარბონატს ღია და დახურულ ჭურჭელში გავახურებთ?


ღია ჭურჭელში კალციუმის კარბონატის გახურებისას გარკვეული დროის შემდეგ ის სრულად დაიშლება კალციუმის ოქსიდად და ნახშირბად(IV)-ის ოქსიდად. ნახშირორჟანგი სცილდება სარეაქციო არეს, ამიტომ პროცესი მიმდინარეობს მხოლოდ ერთი მიმართულებით, ე. ი. რეაქცია შეუქცევადია (ნახ. 3.6)



ნახ. 3.6. კალციუმის კარბონატის დაშლა ღია სისტემაში.

იმავე ექსპერიმენტს თუ სპეციალურ ჰერმეტულად დახურულ ჭურჭელში ჩავატარებთ, აღმოვაჩენთ, რომ იმავე დროის გასვლის შემდეგ ჭურჭელში ერთდროულად იქნება კალციუმის კარბონატი, კალციუმის ოქსიდი და ნახშირორჟანგი. თუ რეაქციას იმავე პირობებში გავაგრძელებთ, ჭურჭელში მათი რაოდენობები არ შეიცვლება. ამ დროს ვამბობთ, რომ სისტემა წონასწორულ მდგომარეობაშია. რჩება შთაბეჭდილება, რომ პროცესი შეჩერდა, თუმცა ის კი არ შეჩერებულა, არამედ თანაბარი სიჩქარით მიმდინარეობს ორივე მიმართულებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კალციუმის კარბონატი იშლება და წარმოქმნის კალციუმის ოქსიდსა და ნახშირორჟანგს ზუსტად იმავე სიჩქარით, როგორც კალციუმის ოქსიდი და ნახშირორჟანგი უერთდება ერთმანეთს კალციუმის კარბონატის წარმოქმნით (ნახ. 3.7). ამ ტიპის წონასწორობას დინამიკური წონასწორობა ეწოდება. ქიმიაში ყველა წონასწორობა დინამიკურია (მოძრავია).

თავი 3. ქიმიური წონასწორობა




ნახ. 3.7. კალციუმის კარბონატის დაშლა დახურულ სისტემაში.


ამ პროცესში პირდაპირი რეაქცია გამოისახება შემდეგნაირად:



ხოლო საპირისპირო:




მაშასადამე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქიმიური რეაქციის დროს რეაგენტების კონცენტრაცია მცირდება, ხოლო პროდუქტების კონცენტრაცია იზრდება მანამ, სანამ სისტემა წონასწორულ მდგომარეობას მიაღწევს; წონასწორულ მდგომარეობაში კი მათი კონცენტრაციები **უცვლელია!** ეს გრაფიკულად ასე გამოისახება (ნახ. 3.8):



ნახ. 3.8. ნივთიერებათა კონცენტრაციების ცვლილება დროში.

ხოლო რეაქციის სიჩქარის დროზე დამოკიდებულების გრაფიკს შემდეგი სახე აქვს (ნახ. 3.9):



ნახ. 3.9. რეაქციის სიჩქარის დროზე დამოკიდებულება.

თავი 3. ქიმიური წონასწორობა

წონასწორული მდგომარეობის თვისება	განმარტება
წონასწორობა დინამიკურია.	რეაქცია არ სრულდება, მიმდინარეობს თანაბარი სიჩქარით და მუდმივად ორივე მიმართულებით.
წონასწორობა მყარდება დახურულ სისტემაში.	დახურულ სისტემაში ნივთიერება არ მიმოიცვლება სარეაქციო სისტემასა და გარემოს შორის, ამდენად, წონასწორობა დამყარდება როდესაც რეაგენტებისა და პროდუქტების კონცენტრაცია გახდება უცვლელი.
რეაგენტებისა და პროდუქტების კონცენტრაცია უცვლელია წონასწორულ მდგომარეობაში.	ისინი წარმოიქმნება და იშლება ერთი და იმავე სიჩქარით.
წონასწორობის მიღწევა შეიძლება ნებისმიერი მიმართულებიდან.	თუ ერთსა და იმავე სარეაქციო ნარევს ავიღებთ ერთნაირ პირობებში, არ აქვს მნიშვნელობა, რეაქციას დავიწყებთ რეაგენტებით თუ პროდუქტებით, წონასწორობა დამყარდება ორივე შემთხვევაში.
წონასწორულ მდგომარეობაში არ იცვლება მაკროსკოპული თვისებები.	მაკროსკოპოული (ანუ თვალით ხილული) ცვლილებები, როგორიცაა ფერი, აგრეგატული მდგომარეობა, წონასწორობის დამყარების შემდეგ არ იცვლება, რადგან ისინი დამოკიდებულია სარეაქციო კომპონენტების კონცენტრაციაზე, რომელიც უცვლელია წონასწორობის მომენტში.

წონასწორობის რაოდენობრივი დახასიათებისათვის ხშირად იყენებენ წონასწორობის მუდმივას, ის გვაძლევს ინფორმაციას რეაქციის მიმდინარეობის შესახებ. როგორ შეიძლება გამოვთვალოთ წონასწორობის მუდმივა?

წონასწორობის მუდმივა წარმოადგენს პროდუქტების მოლური კონცენტრაციების ნამრავლის ფარდობას რეაგენტების მოლური კონცენტრაციის ნამრავლთან სტექიომეტრიის გათვალისწინებით. ის მუდმივია მოცემულ ტემპერატურაზე და გამოისახება - K_c სიმბოლოთი, სადაც ინდექსი „ c “ მიუთითებს წონასწორულ კონცენტრაციაზე. მაგალითად, რეაქციისთვის:

$$aA + bB \rightleftharpoons cC + dD$$

წონასწორობის მუდმივა იქნება:


$$K_c = \frac{[C]^c \cdot [D]^d}{[A]^a \cdot [B]^b}$$

სადაც $[C]$ და $[D]$ პროდუქტების, ხოლო $[A]$ და $[B]$ რეაგენტების მოლური კონცენტრაციებია (კვადრატული ფრჩხილები მიუთითებს, რომ საუბარია ნივთიერების კონცენტრაციაზე წონასწორულ მდგომარეობაში) a , b , c და d კი - კოეფიციენტები.

წონასწორობის მუდმივას გამოსახულებაში იწერება მხოლოდ აირადი და წყალში გახსნილი ნივთიერებების წონასწორული კონცენტრაციები. განვიხილოთ რეაქცია $\text{H}_2 + \text{Cl}_2 \rightarrow \text{HCl}$

თავი 3. ქიმიური წონასწორობა

ბადსა და იოდს შორის, რომლის დროსაც მიიღება იოდნყალბადი.



რეაქცია ჩატარეს რამდენჯერმე ერთსა და იმავე ტემპერატურაზე და თითოეულ შემთხვევაში აიღეს მონაწილე ნივთიერებების სხვადასხვა კონცენტრაცია, წონასწორობის დამყარების შემდეგ კი განსაზღვრეს მორეაგირე ნივთიერებათა წონასწორული კონცენტრაციები (ცხრილი 3.1)

ცხრილი 3.1. ექსპერიმენტის შედეგები.

ექსპერიმენტი N	$[\text{H}_2]$, მოლი/ლ	$[\text{I}_2]$, მოლი/ლ	$[\text{HI}]$, მოლი/ლ	K_c
1	4.56	0.74	13.49	54
2	3.56	1.25	15.50	54
3	2.25	2.34	16.86	54

გამოთვალეს წონასწორობის მუდმივა თითოეული ექსპერიმენტისთვის შემდეგი ფორმულის მიხედვით.

$$\frac{[\text{HI}]^2}{[\text{H}_2]^1 [\text{I}_2]^1} = \frac{2}{1} \cdot \frac{\text{HI}-\text{ის კოეფიციენტი}}{\text{I}_2-\text{ის კოეფიციენტი}} \cdot \frac{\text{H}_2-\text{ის კოეფიციენტი}}{\text{H}_2-\text{ის კოეფიციენტი}} \cdot \frac{\text{H}_2-\text{ის ტოლობაში}}{\text{I}_2-\text{ის ტოლობაში}}$$

პირველი ექსპერიმენტისთვის:


$$K_c = \frac{13.49^2}{4.56 \cdot 0.74} \approx 54$$

ანალოგიურად გამოთვალეს წონასწორობის მუდმივა დანარჩენი ექსპერიმენტებისთვისაც და მიიღეს იგივე სიდიდე, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მოცემულ ტემპერატურაზე ის მუდმივი სიდიდეა.



კითხვები და დავალებები:

1. მოცემულია რეაქციის ტოლობა:



შეადგინეთ წონასწორობის მუდმივას გამოსახულება და გამოთვალეთ მისი მნიშვნელობა, თუ ნივთიერებათა წონასწორული კონცენტრაციებია: $[\text{NO}_2] = 0.06$ მოლი/ლ, $[\text{NO}] = 0.24$ მოლი/ლ, $[\text{O}_2] = 0.12$ მოლი/ლ?

- მოცემულია რეაქციის ტოლობა:

$$2\text{NO}_2 \rightleftharpoons 2\text{NO} + \text{O}_2$$
 შეადგინეთ წონასწორობის მუდმივას გამოსახულება და გამოთვალეთ მისი მნიშვნელობა, თუ ნივთიერებათა წონასწორული კონცენტრაციებია: $[\text{NO}_2] = 0.06$ მოლი/ლ, $[\text{NO}] = 0.24$ მოლი/ლ, $[\text{O}_2] = 0.12$ მოლი/ლ?
- იოდსა და ნივთიერებათა წონასწორული კონცენტრაციებია: $[\text{H}_2] = 0.4$ მოლი/ლ, $[\text{I}_2] = 0.5$ მოლი/ლ. დაადგინეთ იოდნყალბადის წონასწორული კონცენტრაცია, თუ იოდისა და ნივთიერებათა წონასწორული კონცენტრაციებია: $[\text{H}_2] = 0.4$ მოლი/ლ, $[\text{I}_2] = 0.5$ მოლი/ლ.
- 3.4 ნახაზის მიხედვით ააგეთ კრისტალჰიდრატის წარმოქმნის ენერგეტიკული დიაგრამა.

თავი 3. ქიმიური წონასწორობა

3.2

წონასწორობაზე მოქმედი ფაქტორები

ყველა ცხოვრებაზე დაკვირვების შედეგად ვიცით, რომ საადრეო ხილის ფასი, იმის გამო, რომ მოთხოვნა აჭარბებს მიწოდებას, მაღალია. გარკვეულ პერიოდში, როდესაც მიწოდება იზრდება, ფასები იკლებს და სტაბილურდება. თუ მოსავალი მეტია, მიწოდება აჭარბებს მოთხოვნას და ფასებიც მცირდება. ეს ეხება თითქმის ყველა სახის პროდუქციას, რომლის მიწოდებაც მოთხოვნის შესაბამისია. ე. ი. ამ შემთხვევაში საქმე გვაქს მოთხოვნა-მოწოდების ბუნებრივ რეგულაციასთან. ამ ფაქტორების დაბალნების შედეგად ვიღებთ ფასების სტაბილურობას, ე. ი. პროცესი წონასწორულ მდგომარეობაში გადადის.

რა ფაქტორებმა შეიძლება გამოიწვიოს ფასების სტაბილიზაციის დარღვევა? ეს ფაქტორები შეიძლება იყოს ბუნებრივი ან ხელოვნური.

ბუნებრივ ფაქტორებს მიეკუთვნება ცუდი მოსავლიანობა, ბუნებრივი კატაკლიზმები (ცუნამისა და ფუკუშიმისა ატომურ ელექტროსადგურზე ავარიის შედეგად იაპონიაში შეიქმნა ზოგიერთი პროდუქციის დეფიციტი, რომელზეც მოთხოვნა ან გაიზარდა, ან კიდევ წარმოებული პროდუქციის ნაწილი გამოსაყენებლად უვარვისი გახდა, რამაც მოთხოვნის შესაბამისი ფასების დროებითი ზრდა გამოიწვია), საომარი მდგომარეობა, აგრეთვე სხვა, ე. წ. ფორს-მაჟორული (გაუთვალისწინებელი) სიტუაცია. ამ პროდუქციის მოწოდების გაზრდითა და მაღალი მოთხოვნის შემცირებით, გარკვეული დროის შემდეგ, კვლავ მიიღწევა წონასწორული (სტაბილური) მდგომარეობის აღდგენა.

ალბათ ფიქრობთ, თუ რისთვის დაგვჭირდა თქვენთან ამ ეკონომიკურ საკითხებზე მსჯელობა. საქმე ისაა, რომ წონასწორული ქიმიური პროცესებიც ანალოგიურ კრიტერიუმებს ექვემდებარება – სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენით შესაძლებელია წონასწორული ქიმიური რეაქციაც ასევე გამოვიყვანოთ წონასწორული მდგომარეობიდან, ჩვენთვის სასურველი საბოლოო შედეგის მისაღწევად.


1888 წელს ქიმიკოსმა ა. ლ. ლე შატელიემ (ნახ. 3.10) აღმოაჩინა, რომ არსებობს გზები, რომლებითაც შეიძლება წონასწორობის კონტროლი მეტი პროდუქტის მიღების მიზნით. ამ გზების ძიებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მრეწველობაში პროდუქტის მაღალი გამოსავლიანობით მისაღწევად.

ლე შატელიეს პრინციპი შემდეგში მდგომარეობს: თუ წონასწორობაში მყოფ ქიმიურ რეაქციაში შევცვლით რაიმე ფაქტორს, წონასწორობა გადაიხრება იმ რეაქციის გაძლიერების მხარეს, რომელიც ამ ფაქტორის შეცვლას ენინააღმდეგება, ანუ:

როდესაც რაიმე გარე ფაქტორის მოქმედებით ირღვევა წონასწორობა, სისტემა მოქმედებს ცვლილების ნინააღმდეგ და მყარდება ახალი წონასწორობა.

ლე შატელიეს პრინციპის გათვალისწინებით შესაძლებელია პროცესების მართვა საურველი მიმართულებით.


განვიხილოთ მრეწველობაში ამიაკის სინთეზის მაგალითი. მისი ეკონომიკური მნიშვნელობის გამო ეს პროცესი დეტალურად იქნა შესწავლილი და ცნობილია პროცესის სახელწოდებით (ნახ. 3.11).



ნახ. 3.10. ანრი-ლუი


ლე შატელიე
(Henry Louis Le Chatelier)

თავი 3. ქიმიური წონასწორობა



ნახ. 3.11. ამიაკის სამრეწველო მიღება.

ამიაკის სინთეზის რეაქცია შექვევადია:



პირდაპირი რეაქცია ეგზოთერმულია, ხოლო ენერგიის ცვლილებაა 92 კჯ/მოლი. ვნახოთ, თუ რა გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი ამიაკის გამოსავლიანობაზე.

3.2.1. კონცენტრაციის გავლენა


რეაქციის დაწყებისას, ბუნებრივია, რეაგენტების (აზოტისა და ნიჟალბადის) კონცენტრაცია მაღალია და დროთა განმავლობაში მათი კონცენტრაციის შემცირებასთან ერთად თანდათან იზრდება პროდუქტის (ამიაკის) კონცენტრაცია. გარკვეული დროის შემდეგ დგება მომენტი, როდესაც მოცემულ პირობებში დროის ერთეულში რამდენი პროდუქტიც წარმოიქმნება, იმდენივე იშლება, სისტემაში ნივთიერებათა კონცენტრაცია უცვლელი რჩება და მყარდება წონასწორობა (ნახ. 3.12). ამ რეაქციისათვის წონასწორობის მუდმივა ასე გამოისახება:

$$K_c = \frac{[NH_3]^2}{[N_2] \cdot [H_2]^3}$$


უნდა გვახსოვდეს, რომ წონასწორობის მუდმივა მოცემულ ტემპერატურაზე უცვლელი სიდიდეა.

როგორც კი სისტემაში გაიზრდება ერთ-ერთი რეაგენტის, მაგალითად, აზოტის კონცენტრაცია, სისტემაში წონასწორობა დაირღვევა. აღიძვრება საპირისპირო პროცესი, რომელიც მიმართულია აზოტის კონცენტრაციის შემცირებისკენ, რათა ისევ დამყარდეს წონასწორობა. ამისათვის უნდა წარმოიქმნას მეტი ამიაკი, შესაბამისად, აზოტი რეაქციაში შევა წყალბადთან, წარმოიქმნება ამიაკი, გარკვეული დროის შემდეგ კი რეაგენტებისა და პროდუქტის კონცენტრაცია უცვლელი დარჩება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ახალი წონასწორობა დამყარდა (ნახ. 3.12 და ნახ. 3.13).

თავი 3. ქიმიური წონასწორობა



ნახ. 3.12. რეაგენტებისა და პროდუქტების კონცენტრაციის დროზე დამოკიდებულება.



ნახ. 3.13. ა) საწყისი წონასწორული ნარევი; ბ) N_2 დამატების მომენტი;
გ) ახალი წონასწორობის დამყარება.


მაშასადამე, რეაგენტების ან ერთ-ერთი რეაგენტის კონცენტრაციის გაზრდა, ლეშატელიეს პრინციპის თანახმად, ინვევს საწინააღმდეგო პროცესის აღძვრას, კერძოდ, რეაგენტის კონცენტრაციის შემცირებას, რაც თავისთვად გამოიწვევს პროდუქტების კონცენტრაციის გაზრდას და წონასწორობის გადახრის მარჯვნივ, პროდუქტების წარმოქმნის მხარეს. რეაგენტ(ებ)ის კონცენტრაციის შემცირებით კი აღიძვრება პროცესები, რომლებიც მათი კონცენტრაციის გაზრდას გამოიწვევს, ეს კი საპირისპირო რეაქციის მიმდინარეობით მიიღწევა, რაც იმას ნიშნავს, რომ წონასწორობა მარცხნივ, რეაგენტების მხარეს გადაიხრება.

3.2.2. წნევის გავლენა

ამიაკის სინთეზის რეაქციაში ჩანს, რომ რეაგენტების ყოველი 4 მოცულობიდან (1 მოც. აზოტი + 3 მოც. წყალბადი) მიიღება პროდუქტების 2 მოცულობა (2 მოც. ამიაკი). ე.ი. ეს რეაქცია წნევის შემცირებით მიმდინარეობს. ამიტომ, თუ წონასწორულ მდ-

თავი 3. ქიმიური წონასწორობა

გომარეობაში გავზრდით სარეაქციო არის წნევას, სისტემაში გაძლიერდება ის რეაქცია, რომელიც წნევის შემცირებით მიმდინარეობს. ამ შემთხვევაში ესაა პირდაპირი რეაქცია, ამიტომ წონასწორობა მარჯვნივ – პროდუქტების წარმოქმნის მიმართულებით გადაინაცვლებს. წნევის შემცირების შემთხვევაში კი პირიქით, წონასწორობა გადაიხრება რეაგენტების მხარეს (ნახ. 3.14).




ნახ. 3.14. წნევის გაზრდით პროდუქტების მოცულობა იზრდება ე. ი. წონასწორობა გადაიხრება ამიაკის წარმოქმნის მხარეს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წნევის ცვლილება მხოლოდ მაშინ ახდენს გავლენას წონასწორობაზე, როდესაც რეაგენტებიდან ან პროდუქტებიდან ერთ-ერთი მაინც არის აირად მდგომარეობაში. სარეაქციო სისტემაში მყარი ან თხევადი ნივთიერების არსებობის შემთხვევაში ის უგულებელყოფილია. მაგალითად, რეაქციაში:



აირადია მხოლოდ ნახშირორუანგი, ეს იმას ნიშნავს, რომ რეაქცია მიმდინარეობს წნევის გაზრდით.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ თუ წონასწორულ რეაქციაში რეაგენტებისა და პროდუქტების შემადგენელ აირად ნივთიერებათა კოეფიციენტების (ანუ მოლების) ჯამი ტოლია, წნევა წონასწორობაზე გავლენას ვერ ახდენს. მაგალითად:




რეაქციის მარჯვენა და მარცხენა მხარეს მოცულობები ტოლია და პროცესში წნევა არ იცვლება. წნევის შეცვლა ორივე რეაქციაზე ერთნაირ გავლენას მოახდენს და, შესაბამისად, წონასწორობა არ დაირღვევა.

3.2.3. ტემპერატურის გავლენა

ძირითადად, ქიმიური რეაქციების დროს სითბო ან გამოიყოფა, ან შთანთქმება. როგორც უკვე ვიცით, თუ პირდაპირი რეაქცია ეგზოთერმულია, მაშინ გამოყოფილი სითბოს რაოდენობა რიცხობრივად საპირისპირო რეაქციის მიერ შთანთქმული სითბოს რაოდენობის ტოლია. ამიაკის სინთეზის რეაქცია ეგზოთერმულია, 1 მოლი ამიაკის წარმოქმნისას გამოიყოფა 46 კჯ სითბო, ტემპერატურის გაზრდა კი ხელს უწყობს სითბოს შთანთქმით მიმდინარე რეაქციას. ამ შემთხვევაში ენდოთერმულია საპირისპირო, ანუ ამიაკის დაშლის რეაქცია. ამრიგად, ამიაკის სინთეზის შემთხვევაში ტემპერატურის გაზ-

თავი 3. ქიმიური წონასწორობა

რდით წონასწორობა რეაგენტების მხარეს გადაიხრება, ხოლო ტემპერატურის შემცირებით – პირიქით, ეგზოთერმული რეაქციის მიმართულებით გადაინაცვლებს (ნახ. 3.15).




ნახ. 3.15. ამიაკის გამოსავლიანობა სხვადასხვა პირობებში.


მიუხედავად ამისა, ამგვარ რეაქციებს (ამიაკის, მეთანოლის სინთეზი და სხვ.) მაინც მაღალ ტემპერატურაზე ატარებენ. მართალია, წონასწორობა ამ დროს მარცხნივ არის გადანაცვლებული, ე.ი. პროდუქტების გამოსავალი მცირეა, სამაგიეროდ, რეაქცია მაღალი სიჩქარით მიმდინარეობს და წონასწორობა მაღალ მყარდება.

პროცესის განხორციელებისას პროდუქტებს სარეაქციო არეს აცილებენ, ხოლო რეაგენტებს უკან, სისტემაში აბრუნებენ. ამის მეშვეობით დროის ერთეულში მიღებული პროდუქტის რაოდენობა იზრდება, რაც პროცესს მომგებიანს ხდის.

განვიხილოთ შექცევადი რეაქციის კიდევ ერთი მაგალითი, აზოტის დიოქსიდის გარდაქმნა დააზოტის ტეტრაოქსიდად. რეაქცია ეგზოთერმულია:



აზოტის დიოქსიდი მურა წითელი აირია, ხოლო დიაზოტის ტეტრაოქსიდი უფეროა. თუ აზოტის დიოქსიდით გავავსებთ სამ კოლბას და თავდახურულ მდგომარეობაში მოვათავსებთ 0°C , 25°C და 100°C -ზე, დავინახავთ, რომ ჭურჭლის შიგთავსი სხვადასხვა ფერს მიიღებს (ნახ. 3.16).





ნახ. 3.16. წონასწორობის მუდმივას დამოკიდებულება ტემპერატურაზე.

თავი 3. ქიმიური წონასწორობა

როგორც 3.16 ნახაზიდან ჩანს, ტემპერატურის ცვლილება გავლენას ახდენს წონასწორობის მუდმივაზე. ტემპერატურის გაზრდით ეგზოთერმული რეაქციის წონასწორობის მუდმივა მცირდება, ხოლო ენდოთერმული რეაქციის წონასწორობის მუდმივა იზრდება.

როგორც აღვნიშნეთ, ეს ქიმიური პროცესი შექცევადია და პირდაპირი რეაქცია ეგზოთერმულია, შებრუნებული კი – ენდოთერმული. ლე შატელიეს პრინციპის თანახმად, მაღალ ტემპერატურაზე უპირატესად ენდოთერმული რეაქცია მიმდინარეობს, შესაბამისად, წონასწორობა გადახრილი იქნება რეაგენტის მხარეს, ე. ი. დიაზოტის ტეტრაოქსიდი დაიშლება და მუქი ფერის აზოტის დიოქსიდი ნარმოქმნება. დაბალ ტემპერატურაზე კი წონასწორობა გადაიხრება ეგზოთერმული ანუ დიაზოტის ტეტრაოქსიდის ნარმოქმნის რეაქციის მხარეს და შიგთავსი ღია შეფერილობას მიიღებს.

კატალიზატორი წონასწორობაზე გავლენას არ ახდენს, ვინაიდან ის ერთნაირად აჩქარებს როგორც პირდაპირ, ასევე საპირისპირო რეაქციებს. თუმცა კატალიზატორი აჩქარებს წონასწორობის დამყარების პროცესს (ნახ. 3.17).



ნახ. 3.17. პოტენციური ენერგიის დიაგრამა უკატალიზატოროდ და კატალიზატორის თანხლებით. ენერგიის ცვლილება ერთნაირია.

შევაჯამოთ, რა გავლენა აქვს თითოეული პარამეტრის ცვლილებას წონასწორობაზე (ცხრილი 3.1):

თავი 3. ქიმიური წონასწორობა

ცხრილი. 3.1. რეაქციის პირობების ცვლილების გავლენა წონასწორობაზე.

ცვლილება	წონასწორობის გადახრა	წონასწორობის მუდმივა
რეაგენტის კონცენტრაციის გაზრდა	წონასწორობას გადახრის პროდუქტების მხარეს	უცვლელია
რეაგენტის კონცენტრაციის შემცირება	წონასწორობას გადახრის რეაგენტების მხარეს	უცვლელია
წნევის გაზრდა	წონასწორობას გადახრის აირადი ნივთიერებების რაოდენობის შემცირების მიმართულებით	უცვლელია
წნევის შემცირება	წონასწორობას გადახრის აირადი ნივთიერებების რაოდენობის გაზრდის მიმართულებით	უცვლელია
ტემპერატურის გაზრდა	წონასწორობას გადახრის ენდოთერმული რეაქციის მიმართულებით	იცვლება
ტემპერატურის შემცირება	წონასწორობას გადახრის ეგზოთერმული რეაქციის მიმართულებით	იცვლება
კატალიზატორი	არ ახდენს გავლენას წონასწორობაზე	უცვლელია




კითხვები და დავალებები:

1. რომელ მხარეს გადახრის წონასწორობას ტემპერატურის გაზრდა მოცემული რეაქციებისთვის? პასუხი დაასაბუთეთ.




2. მოცემულია აირად ნივთიერებებს შორის მიმდინარე წონასწორული რეაქცია:



ჩამოთვალეთ, რომელი ქმედებებით არის შესაძლებელი წონასწორობის გადახრა მარჯვნივ? თითოეულ შემთხვევაში დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

3. მოცემული რეაქციებიდან რომელებში გამოიწვევს წნევის გაზრდა წონასწორობის იმავე მხარეს გადაწევას, რომელ მხარესაც გადაანაცვლებს ტემპერატურის დაწევა? პასუხი დაასაბუთეთ.



თავი 3. ქიმიური წონასწორობა




როგორ წარმოიქმნება სტალაქტიტები და სტალაგმიტები?

ბუნებაში განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევა მღვიმები, სადაც შეხვდებით სტალაქტიტებსა (გამოქვაბულის თაღიდან კონუსებურ სვეტად ჩამოგრძელებული შვერილი) და სტალაგმიტებს (კონუსისებური წამონაზარდი, რომელიც აღმართულია გამოქვაბულის ძირიდან ვერტიკალურად). მათ ხშირად ბუნების საოცრებად, ხელოვნების ნიმუშად მოიხსენიებენ. ერთ-ერთი ასეთი მსოფლიო მასშტაბით ცნობილი მღვიმეა პრომეთეს მღვიმეც (ნახ. 3.18), რომელიც იმერეთში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მდებარეობს. მისი ასაკი დაახლოებით $60 - 70$ მილიონი წელია. სტალაქტიტებისა და სტალაგმიტების უმეტესობა, რომლებსაც მღვიმეში ვწვდებით, წარმოქმნილია კალციუმის კარბონატისაგან და მათ ჩამოყალიბებას მიღიონობით წელი სჭირდება.

ისინი შემდეგნაირად წარმოიქმნება:


წვიმის წყალში გახსნილ ნახშირორჟანგს კარბონატულ ქანებში არსებული კალციუმის კარბონატი ხსნად ჰიდროკარბონატში გადაჰყავს:



ბუნებაში ეს რეაქცია შექცევადია. წარმოქმნილი კალციუმის ჰიდროკარბონატი მინისქვეშა წყლებში ხდება და როდესაც ასეთი წყალი მღვიმის ჭერიდან წვეთავს, კალციუმის ჰიდროკარბონატი იშლება და ისევ წარმოიქმნება კალციუმის კარბონატი სტალაქტიტებისა და სტალაგმიტების სახით:



გარდა კარბონატისა, შესაძლებელია სხვა მინერალების მცირე რაოდენობით დალექვაც, რაც სტალაქტიტებისა და სტალაგმიტების სხვადასხვა შედგენილობასა და ფერს განაპირობებს.




ნახ. 3.18. პრომეთეს მღვიმე.

თავი 3. ქიმიური წონასწორობა




შემაჯამებელი სავარჯიშოები

1. რომელ მხარეს გადახრის წონასწორობას წნევის გაზრდა მოცემული რეაქციებისთვის? პასუხი დაასაბუთეთ. გაითვალისწინეთ, რომ რეაქციებში მონაწილე ყველა ნივთიერება აირია.




2. მოცემულია წონასწორული რეაქცია: $3\text{H}_2 + \text{N}_2 \rightleftharpoons 2\text{NH}_3$. რა პირობებში გადაიხრება ამ რეაქციისთვის წონასწორობა მარცხნივ? პასუხი განმარტეთ.

3. რა ფაქტორების გავლენით შეიძლება მოცემული რეაქციის წონასწორობის მარჯვნივ გადახრა? პასუხი დაასაბუთეთ.



4. აზოტ(IV)-ის ოქსიდის წარმოქმნის რეაქცია გამოისახება ტოლობით: $2\text{NO} + \text{O}_2 \rightleftharpoons 2\text{NO}_2$. როგორ შეიცვლება პირდაპირი და საპირისპირო რეაქციების სიჩქარეები, თუ წნევას გავზრდით ორჯერ? გამოიწვევს თუ არა ეს ცვლილება წონასწორობის გადანაცვლებას? პასუხი დაასაბუთეთ.

5. A და B ნივთიერებებს შორის მიმდინარეობს რეაქცია:



აიღეს ოთხივე ნივთიერების თითო მოლი. წონასწორობის დამყარების შემდეგ ნარევი შეიცავდა 1.5 მოლ C ნივთიერებას. გამოთვალეთ A, B და D ნივთიერებების წონასწორული კონცენტრაციები.


6. რეაქციაში $\text{CO} + \text{Cl}_2 \rightleftharpoons \text{COCl}_2$ საწყისი ნივთიერებები აიღეს ტოლი მოლური რაოდენობებით. წონასწორობის დამყარების მომენტში დახარჯული აღმოჩნდა რეაგენტთა ნახევარი. როგორ შეიცვლებოდა წნევა ჭურჭელში წონასწორობის დამყარების მომენტში?

7. ჟანგბადის ოზონად გარდაქმნის თერმოქიმიური განტოლებაა: $3\text{O}_2 \rightleftharpoons 2\text{O}_3 - 284 \text{ კჯ}$. შეადგინეთ ოზონის ჟანგბადად გარდაქმნის რეაქციის თერმოქიმიური განტოლება.


8. დაწერეთ წონასწორობის მუდმივას ტოლობა მოცემული რეაქციებისთვის:



9. გაათანაბრეთ რეაქციები და დაწერეთ შესაბამისი წონასწორობის მუდმივას ტოლობა:




10. გამოთვალეთ წონასწორობის მუდმივა შემდეგი რეაქციებისათვის:




თავი 3. ქიმიური წონასწორობა


თუ ნივთიერებათა წონასწორული კონცენტრაციებია (მოლი/ლ): $[H_2]=0.42$, $[Cl_2]=0.075$, და $[HCl]=0.95$.



თუ ნივთიერებათა წონასწორული კონცენტრაციებია (მოლი/ლ): $[N_2]=0.34$, $[H_2]=0.13$, და $[NH_3]=0.19$.



თუ ნივთიერებათა წონასწორული კონცენტრაციებია (მოლი/ლ): $[CO]=4.0$, $[H_2]=2.8$, $[CH_4]=0.75$, $[H_2O]=0.12$.




თუ ნივთიერებათა წონასწორული კონცენტრაციებია (მოლი/ლ): $[H_2O]=1.0$, $[H_2]=4.5$.

- 11.** დიაზოტის ტეტრაოქსიდი (N_2O_4) ადვილად გარდაიქმნება აზოტის დიოქსიდად (NO_2). ეს რეაქცია შექცევადია:



უფერო აირი მურა ფერის აირი

დალუქულ შპრიცში ჩატუმბეს ამ ორი აირის ნარევი. წონასწორობის დამყარების შემდეგ ნარევმა მიიღო ღია ყავისფერი.



- ა) მუდმივი ტემპერატურის პირობებში თუ დგუშს დავაწვებით, ფერი უცბად გამუქდება, შემდეგ კი ნელ-ნელა გაღიავდება, რადგან რეაქციის წონასწორობა მარცხნივ გადაიხრება.

- ახსენით, რატომ გამუქდა ნარევი სწრაფი შეკუმშვისას.
- ახსენით, რატომ გადაიხარა წონასწორობა მარცხნივ.

- ბ) ზემოთ აღნერილი რეაქცია ენდოთერმულია.

- როგორ შეიცვლება ნარევის შეფერილობა გაცხელებისას?
- როგორ შეიცვლება პირდაპირი და საპირისპირო რეაქციის სიჩქარეები ამ დროს?

თემა 2. ქიმიური კინეტიკა



თემის შემაჯამებელი დავალებები

1. მოცემულია აცეტონის იოდთან ურთიერთქმედების რეაქცია:




რეაქციის კატალიზატორია ქლორნყალბადმჟავა.

ცხრილში ნაჩვენებია, თუ როგორ იცვლება რეაქციის სიჩქარე აცეტონის, იოდისა და ქლორნყალბადმჟავას სხვადასხვა კონცენტრაციის შემთხვევაში:

N	აცეტონის კონცენტრაცია, მოლი/ლ	იოდის კონცენტრაცია, მოლი/ლ	ქლორნყალბადმჟავას კონცენტრაცია, მოლი/ლ	რეაქციის სიჩქარე, მოლი/ლ · წთ
1	0.025	0.024	0.12	5.1
2	0.05	0.024	0.12	10.2
3	0.05	0.024	0.06	5.1
4	0.05	0.012	0.06	5.1


- 1.1. როგორ იცვლება რეაქციის სიჩქარე თითოეული ნივთიერების კონცენტრაციის ზრდასთან ერთად? პასუხი დაასაბუთეთ.
- 1.2. რატომ იწვევს ტემპერატურის მატება ქიმიური რეაქციის სიჩქარის ზრდას? ახსენით დაჯახებათა თეორიის საფუძველზე.
2. გოგირდის ტრიოქსიდი მიიღება გოგირდის დიოქსიდის ჟანგბადთან ურთიერთქმედებით კატალიზატორის თანაობისას. რეაქცია ეგზოთერმულია და ტარდება დახურულ ჭურჭელში, სადაც მყარდება წონასწორობა.

 - 2.1. შეადგინეთ რეაქციის ტოლობა.
 - 2.2. მოიძიეთ ინფორმაცია და დაასახელეთ რეაქციის კატალიზატორი.
 - 2.3. რომელ მხარეს გადაიხრება წონასწორობა, თუ:
 - ტემპერატურა გაიზრდება;
 - წნევა გაიზრდება;
 - გოგირდის ტრიოქსიდის კონცენტრაცია შემცირდება;
 - კატალიზატორის კონცენტრაცია გაიზრდება?
 თითოეულ შემთხვევაში პასუხი დაასაბუთეთ.
 - 2.4. გრაფიკზე მოცემულია გოგირდის ტრიოქსიდის პროცენტული შემცველობის დამოკიდებულება ტემპერატურაზე:




თემა 2. ქიმიური კინეტიკა

- ა) ახსენით, როგორ და რატომ იცვლება გოგირდის ტრიოქსიდის პროცენტული შემცველობა ტემპერატურის ცვლილებასთან ერთად?
- ბ) რატომ ატარებენ რეაქციას 450°C -ზე და არა 250°C -ზე?
3. გაცხელებისას ციკლოპროპანი პროპენად გარდაიქმნება.



3.1. გრაფიკზე მოცემულია პროპენის კონცენტრაციის დროზე დამოკიდებულება:



გრაფიკის მიხედვით ახსენით, თუ როგორ იცვლება პროდუქტის კონცენტრაცია დროში.

- 3.2. როგორ შეიცვლება რეაქციის სიჩქარე, თუ:
- ა) გაიზრდება ციკლოპროპანის კონცენტრაცია;
 - ბ) შემცირდება ტემპერატურა?
- თითოეულ შემთხვევაში პასუხი დაასაბუთეთ.
4. მაღალ ტემპერატურაზე წყალბადი ურთიერთქმედებს იოდთან იოდნყალბადის ნარმოქმნით. რეაქცია შექცევადია და გარკვეული დროის შემდეგ მყარდება ნონასწორობა. რეაქციის სითბური ეფექტია 53 კჯ/მოლი.
- 4.1. შეადგინეთ რეაქციის ტოლობა.
 - 4.2. რომელ მხარეს გადაიხრება ნონასწორობა, თუ:
- ა) წნევა გაიზრდება;
 - ბ) ტემპერატურა შემცირდება;
 - გ) იოდის კონცენტრაცია შემცირდება;
 - დ) იოდნყალბადის კონცენტრაცია გაიზრდება.
- თითოეულ შემთხვევაში პასუხი დაასაბუთეთ.
5. აზოტ(V)-ის ოქსიდი გახურებისას იშლება აზოტ(IV)-ის ოქსიდისა და ჟანგბადის გამოყოფით.
- 5.1. შეადგინეთ რეაქციის ტოლობა.
 - 5.2. ცხრილში მოცემულია რეაქციის სიჩქარე აზოტ(V)-ის ოქსიდის სხვადასხვა კონცენტრაციის შემთხვევაში:


თემა 2. ქიმიური კინეტიკა

აზოტ(V)-ის ოქსიდის კონცენტრაცია, მოლი/ლ	რეაქციის სიჩქარე, მოლი/ლ · წმ
3.2	6.39
1.6	3.15
0.8	1.63

როგორ და რატომ იცვლება რეაქციის სიჩქარე აზოტ(V)-ის ოქსიდის კონცენტრაციის ზრდასთან ერთად? დაასაბუთეთ პასუხი შეჯახებათა თეორიის საფუძველზე.

5.3. როგორ შეიცვლება მოცემული რეაქციის სიჩქარე ტემპერატურის გაზრდისას?

5.4. მოცემულია რეაქციის ენერგეტიკული გრაფიკის შაბლონი.




გადახაზეთ რვეულში და გრაფიკზე გამოსახეთ:


- ა) რეაქციის შესაბამისი მრუდი (კატალიზატორის გარეშე);
- ბ) რეაქციის შესაბამისი მრუდი (კატალიზატორის თანაობისას).

5.5. მოცემული რეაქცია ეგზოთერმულია თუ ენდოთერმული? პასუხი დაასაბუთეთ.

6. ბისმუტ(III)-ის ქლორიდის წყალთან ურთიერთქმედებისას წარმოიქმნება ნალექი:




- ა) რა ცვლილება შეინიშნება ხსნარში, თუ მას დავამატებთ რამდენიმე წვეთ კონცენტრირებულ მარილმჟავას?
 - ბ) ექნება თუ არა ამ რეაქციის წონასწორობაზე გავლენა წნევის ცვლილებას? პასუხი დაასაბუთეთ.
7. CrO_4^{2-} -იონის შემცველ ყვითელი ფერის წყალსნარში განზავებული მჟავას დამატებისას წარმოიქმნება $\text{Cr}_2\text{O}_7^{2-}$ -იონი, რომელიც წყალსნარს ნარინჯისფერ შეფერილობას ანიჭებს:




- ა) რა ცვლილება შეინიშნება ხსნარში, თუ მას დავამატებთ რამდენიმე წვეთ ტუტის კონცენტრირებულ ხსნარს?

თემა 2. ქიმიური კინეტიკა

- ბ) ექნება თუ არა ამ რეაქციის წონასწორობაზე გავლენა წნევის ცვლილებას? პასუხი დაასაბუთეთ.
8. იოდი ქლორთან ურთიერთქმედებისას წარმოქმნის მუქ ყავისფერ იოდის მონო-ქლორიდს:




იოდის მონოქლორიდი კვლავ ურთიერთქმედებს ქლორთან ყვითელი ფერის იოდის ტრიქლორიდის წარმოქმნით, რა დროსაც მყარდება წონასწორობა:



- ა) წონასწორული ნარევის გაცხელებისას შეინიშნება ხსნარის გაყავისფრება. რეაქცია ენდოთერმულია თუ ეგზოთერმული? პასუხი დაასაბუთეთ.
- ბ) ექნება თუ არა ამ რეაქციის წონასწორობაზე გავლენა წნევის შემცირებას? პასუხი დაასაბუთეთ.
- გ) ქვემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით გამოთვალეთ ენერგიის ცვლილება აღნიშნულ რეაქციაში:


ბმა	ბმის ენერგია, კჯ/მოლი
I-I	151
Cl-Cl	248
I-Cl	208

9. ეთანოლი წარმოიქმნება გლუკოზის ფერმენტაციის შედეგად:



რეაქცია ეგზოთერმულია.

მოცემულია რეაქციის სიჩქარის დროზე დამოკიდებულის გრაფიკი რამდენიმე დღის განმავლობაში:




- ა) რატომ იზრდება რეაქციის სიჩქარე პროცესის დაწყებისას?
ბ) რატომ იკლებს რეაქციის სიჩქარე საბოლოო ჯამში?


10. მოსწავლემ კალციუმის კარბონატის ნატეხებს დაუმატა მარილმჟავა ოთახის ტემპერატურაზე (20°C).

მოცემულია რეაქციის დროს გამოყოფილი აირის მოცულობის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი (1):

თემა 2. ქიმიური კინეტიკა



- ა) შეადგინეთ ქიმიური რეაქციის ტოლობა.
- ბ) რატომ არ იცვლება გამოყოფილი აირის მოცულობა 10 წუთის შემდეგ?
- გ) რეაქციის დაწყებიდან რა დროში შეგროვდა 20 მლ აირი?
- დ) მოსწავლემ გაიმეორა ექსპერიმენტი 30°C -ზე, სხვა ყველა პირობა იყო უცვლელი. გადახაზეთ ზემოთ მოცემული გრაფიკი რვეულში და ამავე გრაფიკზე ააგეთ გამოყოფილი აირის მოცულობის დროზე დამოკიდებულების მრუდი (2) ამ ექსპერიმენტისათვის (მოცულობა იზომებოდა ერთნაირ პირობებში).
- ე) მოსწავლემ კიდევ ერთხელ გაიმეორა ექსპერიმენტი ოთახის ტემპერატურაზე, თუმცა კალციუმის კარბონატის ნატეხების ნაცვლად გამოიყენა ფხვნილი. როგორ დარატომ შეიცვლება რეაქციის სიჩქარე ამ შემთხვევაში? იმავე გრაფიკზე ააგეთ მრუდი (3) ამ ექსპერიმენტისთვის.
11. მოსწავლემ შეაგროვა განზავებულ მარილმჟავასთან მაგნიუმის ურთიერთქმედებისას გამოყოფილი აირი შემდეგი მოწყობილობის გამოყენებით:





თემა 2. ქიმიური კინეტიკა

მოსწავლემ ჩაატარა ორი განსხვავებული ექსპერიმენტი, თითოეული მათგანის დროს გამოყოფილი აირის მოცულობის დროზე დამოკიდებულება ასახულია გრაფიკზე:

- შეადგინეთ პროცესის ამსახველი ქიმიური რეაქციის ტოლობა.
- რა მოცულობის აირი გამოიყო თითოეული ექსპერიმენტის შემთხვევაში?
- ივარაუდეთ, რა შეიძლება შეეცვალა მოსწავლეს მეორე ექსპერიმენტში, პირველ ექსპერიმენტთან შედარებით? პასური დაასაბუთეთ.
- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) გამოყენებით ააგეთ გრაფიკი იმ შემთხვევისათვის, როდესაც პირველ ექსპერიმენტში მაგნიუმის ლენტის ნაცვლად გამოვიყენებთ ფხვნილს.

12. მოსწავლემ შეისწავლა მაგნიუმის ურთიერთქმედება ორ სხვადასხვა კონცენტრაციის მჟავასთან (X და Y). მან ჩაატარა ორი ექსპერიმენტი შემდეგი მოწყობილობის გამოყენებით:



მოსწავლემ მენზურის გამოყენებით $50 \text{ ml } X$ მჟავა და 0.5 g მაგნიუმის ლენტი შეიტანა კოლბაში, დაუცო თავსახური და დაიწყო შეგროვებული აირის მოცულობის ათვლა ყოველ 30 წამში .


- მიღებული შედეგები მოცემულია ცხრილში. მიუწერეთ თითოეულ ნიშნულს შესაბამისი მოცულობის მნიშვნელობა.
- მეორე ექსპერიმენტში მოსწავლემ იგივე გაიმეორა $50 \text{ ml } Y$ მჟავასათვის. მიღებული შედეგები მოცემულია ცხრილში. მიუწერეთ თითოეულ ნიშნულს შესაბამისი მოცულობის მნიშვნელობა:

თემა 2. ქიმიური კინეტიკა

ექსპერიმენტი 1			ექსპერიმენტი 2		
დრო	მენზურა	დაგროვილი აირის მოცუ- ლობა, მლ	დრო	მენზურა	დაგროვილი აირის მოცუ- ლობა, მლ
0			0		
30			30		
60			60		
90			90		
120			120		
150			150		
180			180		

- გ) ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) გამოყენებით ერთ გრაფიკზე ააგეთ გამოყოფილი აირის მოცულობის დროზე დამოკიდებულების მრუდები ორივე ექსპერიმენტისათვის. შეადარეთ, რომელი რეაქციაა უფრო სწრაფი და ახსენით, რატომ?
- დ) გრაფიკის მიხედვით დაადგინეთ, რა დროში შეგროვდებოდა 15 მლ აირი თითოეული ექსპერიმენტის შემთხვევაში.
- ე) თითოეული რეაქციისათვის გამოთვალეთ რეაქციის სიჩქარე პირველი 30 წმ-ის განმავლობაში.
13. მარილმჟავაში გახსნეს თუთია, რის შედეგადაც გამოიყო წყალბადი. მრუდზე (1) მოცემულია 0.2 მოლი/ლ კონცენტრაციის მარილმჟავაში ჭარბი თუთიის გახსნისას გამოყოფილი წყალბადის მოცულობის დროზე დამოკიდებულება.

თემა 2. ქიმიური კინეტიკა



- ა) შეადგინეთ მიმდინარე რეაქციის ტოლობა.
- ბ) რა მოცულობას წყალბადი გამოიყოფა რეაქციის დაწყებიდან ორ წუთში?
- გ) რატომ არ იცვლება წყალბადის მოცულობა 6 წთ-ის შემდეგ?
- დ) ექსპერიმენტი გაიმეორეს 0.1 მოლი/ლ კონცენტრაციის მარილმჟავას მონაწილეობით. ყველა სხვა პირობა უცვლელია. დახაზეთ გამოყოფილი წყალბადის დროზე დამოკიდებულების მრუდი (2) ამავე გრაფიკზე. 0.1 მოლი/ლ კონცენტრაციის მარილმჟავას მონაწილეობით.
- ე) დაასახელეთ მიღებული მარილი.
- ვ) ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება შეესაბამებოდეს მარილმჟავას ხსნარის pH-ს?

pH=1,


pH=7,

pH=9

თუ

pH=13?

14. ენერგეტიკული დიაგრამა გვიჩვენებს რეაქციის მიმდინარეობას თუთიასა და განზავებულ გოგირდმჟავას შორის.



- ა) სად უნდა ეწეროს გრაფიკზე პროდუქტების ფორმულები?
- ბ) დიაგრამაზე აჩვენეთ აქტივაციის ენერგია;
- გ) ეგზოთერმულია თუ ენდოთერმული რეაქცია? პასუხი ახსენით გრაფიკზე დაყრდნობით.
- დ) თუთიასა და განზავებულ გოგირდმჟავას შორის რეაქციაში კატალიზატორად შეი-

თემა 2. ქიმიური კინეტიკა

ძლება გამოვიყენოთ სპილენდ(II)-ის სულფატი. გადახაზეთ გრაფიკი და დახაზეთ მრუდი იმავე რეაქციისთვის კატალიზატორის თანაობისას.


15. ნახშირბადის დიოქსიდი მიიღება კალციუმის კარბონატზე განზავებული მარილმჟავას მოქმედებით.

- დაწერეთ მოცემული რეაქციის ტოლობა.
- როგორ შეიცვლება ამ რეაქციის სიჩქარე, თუ მარილმჟავას კონცენტრაციას გავზრდით, ხოლო ყველა სხვა პირობა უცვლელი დარჩება? პასუხი დაასაბუთეთ.
- როგორ შეიცვლება ამ რეაქციის სიჩქარე, თუ ტემპერატურას გავზრდით, ხოლო ყველა სხვა პირობა უცვლელი დარჩება? პასუხი დაასაბუთეთ.

16. ქლორი რეაგირებს ნახშირბადის მონოოქსიდთან ფოსგენის წარმოქმნით. სამივე ნივთიერება აირადია. რეაქცია ეგზოთერმული და კატალიზურია.



- დახაზეთ ამ რეაქციის ენერგეტიკული დიაგრამა, რომელზეც წარმოდგენილი იქნება:
 - რეაგენტები და პროდუქტები
 - ენერგიის ცვლილება რეაქციის მიმდინარეობისას
 - აქტივაციის ენერგია
- როგორ მოქმედებს ამ შემთხვევაში კატალიზატორი პირდაპირი და საპირისპირო რეაქციების სიჩქარესა და წონასწორობაზე? პასუხი დაასაბუთეთ.
- როგორ შეიცვლება რეაქციის წონასწორობა:
 - წევის გაზრდით?
 - ტემპერატურის გაზრდით?
 თითოეულ შემთხვევაში პასუხი დაასაბუთეთ.
- ქლორსა და ნახშირბადის მონოოქსიდს შორის რეაქცია სქემატურად შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:




1 მოლი ფოსგენის წარმოქმნისას 230 კჯ ენერგია გამოიყოფა.

ბმა	ბმის ენერგია კჯ/მოლი
Cl – Cl	240
C=O ფოსგენი	745
C – Cl	400

რეაქციისა და ცხრილში მოცემული ბმის ენერგიების გამოყენებით, გამოთვალეთ ბმის ენერგია ნახშირბადის მონოოქსიდში.

ე) გადახაზეთ რვეულში ქვემოთ მოცემული სქემა და შეადგინეთ ფოსგენის ლუისის ელექტრონული ფორმულა.

თემა 2. ქიმიური კინეტიკა



17. ჰალოგენების წყალბადთან ურთიერთქმედებისას ჰალოგენულბადები წარმოიქმნება.

- ა) ივარაუდეთ, რომელი ჰალოგენი რეაგირებს წყალბადთან ყველაზე ინტენსიურად. დაასაბუთეთ პასუხი.
- ბ) რეაქცია ქლორსა და წყალბადს შორის შემდეგი ტოლობის მიხედვით მიმდინარეობს:



N1.3 ცხრილის (გვ. 27) საფუძველზე ახსენით, რატომაა ეს რეაქცია ეგზოთერმული.

- გ) გამოთვალეთ, რა ენერგია გამოიყოფა, თუ რეაქციაში შევა 106.5 გ ქლორი.
- დ) როგორ შეიცვლება წინასწორობა, თუ მუდმივი ტემპერატურის პირობებში წნევას შევამცირებთ?
- ე) როგორ შეიცვლება პირდაპირი და საპირისპირო რეაქციის სიჩქარეები, თუ მუდმივი წნევის პირობებში ტემპერატურას შევამცირებთ? რომელ მხარეს გადაიხრება წინასწორობა?

18. წყალაირი (წახშირბადის მონოაქსიდისა და წყალბადის ნარევი) ერთ-ერთი ფართოდ გამოყენებადი საწვავია. იგი იწარმოება გავარვარებულ წახშირზე წყლის ორთქლის გატარებით:



- ა) ეგზოთერმულია თუ ენდოთერმული მოცემული რეაქცია?
- ბ) გამოთვალეთ, რა ენერგია დასჭირდება 2240 ლ (ნ. პ.) წყალბადის წარმოქმნას.
- გ) ივარაუდეთ, როგორ შეიცვლება წინასწორობა, თუ 1) უცვლელი ტემპერატურის პირობებში წნევას გავზრდით? 2) თუ მუდმივი წნევის პირობებში ტემპერატურას გავზრდით?
- დ) ეს რეაქცია შეიძლება გამოვიყენოთ წყალბადის მისაღებადაც. დაასახელეთ ერთი უარყოფითი მხარე, რომელიც ამ გზით მიღებული წყალბადის გამოყენებას ახასიათებს.

თემა 2. ქიმიური კინეტიკა

- ე) წყალბადის კიდევ ერთი წყაროა ნავთობიდან მიღებული ნახშირწყალბადების დაშლა. დაასახელეთ ერთი უპირატესობა, რომელიც ახასიათებს წყლის ორთქლიდან მიღებულ წყალბადს ნავთობიდან მიღებულთან შედარებით?
19. მანგანუმის დიოქსიდი შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა მიზნით, მაგალითად: ქლორის მისალებად – რეაქცია 1: $MnO_2(\text{მყ}) + 4HCl(\text{წყ}) \rightarrow Cl_2(\text{ა}) + 2H_2O(\text{თხ}) + MnCl_2(\text{წყ})$; ჟანგბადის მისალებად – რეაქცია 2: $2H_2O_2(\text{წყ}) \rightarrow O_2(\text{ა}) + H_2O(\text{თხ})$
მეორე რეაქციაში მანგანუმის დიოქსიდი კატალიზატორია.
- ა) პირველ რეაქციას იკვლევდნენ სხვადასხვა მასის დიოქსიდის გამოყენებით ერთნაირ პირობებში. შედეგები მოცემულია ცხრილში:

მუჟავას ხსნარის მოცულობა, მლ	მუჟავას კონცენტრაცია, მოლი/ლ	გამოყენებული MnO_2 -ის მასა, გ	გამოყოფილი ქლორის მოცულობა (ნ. პ.), ლ
100	1.0	1.74	0.48
100	1.0	0.87	0.24


ახსენით, რატომ გამოიყოფა სხვადასხვა მოცულობის ქლორი.

- ბ) (ა) პუნქტში აღნერილ ექსპერიმენტში გამოყავით დამოუკიდებელი, დამოკიდებული და საკონტროლო ცვლადები.
გ) რეაქცია 2-ზე ჩაატარეს ექსპერიმენტი. მონაცემები წარმოდგენილია ცხრილში:

H_2O_2 -ის ხსნარის მოცულობა, მლ	H_2O_2 -ის ხსნარის კონცენტრაცია, მოლი/ლ	გამოყენებული MnO_2 -ის მასა, გ	გამოყოფილი ჟანგბადის მოცულობა (ნ. პ.), ლ
100	1.0	1.74	1.20
100	1.0	0.87	?

როგორ ფიქრობთ, რა მოცულობის ჟანგბადი გამოიყოფა 0.87 გ MnO_2 -ის გამოყენებისას?

- დ) რეაქცია 1-ის შედეგად მიღებული ქლორის გამოყენება შეიძლება რკინა(II)-ის ქლორიდის რკინა(III)-ის ქლორიდში გადასაყვანად. დაწერეთ რეაქციის ტოლობა და გამოთვალეთ, რა მასის რკინა(II)-ის ქლორიდი შევა რეაქციაში 0.448 ლ (ნ. პ.) ქლორობან.
20. ფოტოსინთეზი რთული და მრავალსაფეხურიანი პროცესია, რომელიც მზის ენერგიის გავლენით მწვანე ფოთლებში მიმდინარეობს. ამ დროს ნახშირორჟანგისა და წყლისგან წარმოიქმნება გლუკოზა და გამოიყოფა ჟანგბადი. პროცესი ენდოთერმულია და ფერმენტების თანაობისას მიმდინარეობს.
- ამ პროცესის ამსახველი ჯამური რეაქციის ტოლობაა:




თემა 2. ქიმიური კინეტიკა

- ა) დახაზეთ ამ რეაქციისთვის ენერგეტიკული დიაგრამა. მონიშნეთ მასზე:
- რეაგენტები და პროდუქტები
 - ენერგიის ცვლილება რეაქციის მიმდინარეობისას
 - აქტივაციის ენერგია
- ბ) ახსენით, რას წარმოადგენს ფერმენტი და რა გავლენა აქვს რეაქციის მიმდინარეობაზე?
21. სუნთქვა ცოცხალი ორგანიზმის უჯრედებში მიმდინარე ქიმიური პროცესია, რომლის შედეგად ორგანიზმი ენერგიით მარაგდება. ამ პროცესის დროს მიმდინარეობს რამდენიმე ქიმიური რეაქცია, რომელთა შედეგად, საბოლოო ჯამში გლუკოზიდან ნახშირორჟანგი და წყალი მიიღება.
- ა) შეადგინეთ რეაქციის ტოლობა.
- ბ) დახაზეთ რეაქციისთვის ენერგეტიკული დიაგრამა. მონიშნეთ მასზე:
- რეაგენტები და პროდუქტები
 - ენერგიის ცვლილება რეაქციის მიმდინარეობისას
 - აქტივაციის ენერგია
- გ) შეადარეთ აგებული დიაგრამა სავარჯიშო 20 ა) დავალებაში აგებულ გრაფიკს.
- დ) სუნთქვა, წვა და ფოტოსინთეზი ბუნებაში ნახშირბადის წრებრუნვის მნიშვნელოვანი პროცესებია. როგორ არეგულირებს ეს ციკლი ატმოსფეროში ნახშირორჟანგის რაოდენობას?
22. მეცნიერი იკვლევს კალციუმის კარბონატის დაშლას დახშულ ჭურჭელში. დამყარებულია დინამიკური წონასწორობა:
- $$\text{CaCO}_3(\text{მყ}) \rightleftharpoons \text{CaO}(\text{მყ}) + \text{CO}_2(\text{ა})$$
- ა) რას გულისხმობს ტერმინი დინამიკური წონასწორობა?
- ბ) როგორ შეიცვლება წონასწორული ნარევის შედგენილობა, თუ მუდმივი ტემპერატურის პირობებში წნევას შევამცირებთ? პასუხი დაასაბუთეთ.
- გ) მუდმივი წნევის პირობებში ტემპერატურის გაზრდით წონასწორობა მარჯვნივ გადაიხრება. რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ მონაცემის საფუძველზე?
- დ) კალციუმის კარბონატი ურთიერთქმედებს აზოტმჟავასთან და მიიღება სამი ნივთიერება: X, Y და Z. სადაც:
- X მარილია,
 - Y უფერო აირი,
 - Z უფერო სითხე.
- დაწერეთ რეაქციის ტოლობა და დაასახელეთ X, Y და Z ნივთიერებები.
23. წარმოებაში წყალბადის მისაღებად გავარვარებულ რკინაზე წყლის ორთქლს ატარებენ. მოცემულია წონასწორული სისტემა:
- $$3\text{Fe}(\text{მყ}) + 4\text{H}_2\text{O}(\text{ა}) \rightleftharpoons \text{Fe}_3\text{O}_4(\text{მყ}) + 4\text{H}_2(\text{ა})$$
- ა) წყლის ორთქლისა და წყალბადის კონცენტრაცია წონასწორობის მიღწევის შემდეგ აღარ იცვლება. ახსენით ამის მიზეზი.

თემა 2. ქიმიური კინეტიკა

- ბ) რა შეიცვლება სისტემაში, თუ მუდმივი ტემპერატურის პირობებში წნევას გაზრდით?
- გ) მუდმივი წნევის პირობებში ნარევის ტემპერატურის გაზრდით წონასწორობა მარცხნივ გადაიხრება. რა დასკვნის გამოტანა შეიძლება აქედან?
- დ) როგორ შეიცვლება პირდაპირი და საპირისპირო რეაქციების სიჩქარეები ტემპერატურის გაზრდისას? პასუხი დაასაბუთეთ.
- ე) მიღებულ ოქსიდს - Fe_3O_4 -ს გოგირდმჟავაში თუ გავხსნით, მიიღება სამი ნივთიერება: A, B და C. სადაც:
- A - რკინა(II)-ის სულფატია
 - B - რკინა(III)-ის სულფატია
 - C - უფერო სითხეა.
- დაწერეთ რეაქციის ტოლობა.
- ვ) პირობაში მოცემული რეაქციის მიხედვით გამოთვალეთ, რა მოცულობის (ნ. პ.) წყალბადი შეიძლება მივიღოთ 336 კგ რკინის გადამუშავებით.
24. 0.03 გ მაგნიუმის ნაჭერს დაამატეს 20 მლ 0.1 მოლი/ლ კონცენტრაციის მარილმჟავა.
- ა) დაწერეთ რეაქციის ტოლობა.
- ბ) დაადგინეთ ჭარბი რეაგენტი.
- გ) რა გარეგნული ნიშნით ამოიცნობთ ამ ქიმიურ რეაქციას?
- დ) გამოთვალეთ გამოყოფილი წყალბადის მასა.
- ე) მეორე ექსპერიმენტში მაგნიუმის ნაჭერი შეცვალეს იმავე მასის მაგნიუმის ფხვნილით. რეაქცია უფრო სწრაფად დასრულდა. ახსენით ამის მიზეზი.
25. მეთანოლის მიღების სამრეწველო გზაა წყალაირის გარდაქმნა. მეთოდი ეფუძნება რეაქციას ნახშირბადის მონოოქსიდსა და წყალბადს შორის, რომელიც ეგზოთერმულია და შექცევადი:



- ა) როგორ იმოქმედებს წნევის გაზრდა მოცემულ სისტემაზე, თუ ტემპერატურას უცვლელად დავტოვებთ? პასუხი დაასაბუთეთ.
- ბ) როგორ იმოქმედებს ტემპერატურის შემცირება მოცემულ სისტემაზე, თუ წნევას უცვლელად დავტოვებთ? პასუხი დაასაბუთეთ.
- გ) მოიძიეთ ინფორმაცია მეთანოლის გამოყენების შესახებ.

26. 200 °C-სა და 200 ატმ წნევაზე ფოსფორ(V)-ის ქლორიდი იშლება ფოსფორ (III)-ის ქლორიდად და ქლორად:



- ა) როგორ იმოქმედებს წნევის შემცირება მოცემულ სისტემაზე, თუ ტემპერატურას უცვლელად დავტოვებთ? პასუხი დაასაბუთეთ.
- ბ) როგორ იმოქმედებს ქლორის კონცენტრაციის გაზრდა ამ სისტემაზე, თუ სხვა ფაქტორებს არ შევცვლით? პასუხი დაასაბუთეთ.

თემა 2. ქიმიური კინეტიკა


გ) ცხრილში მოცემულია ნარევში ფოსფორ(III)-ის ქლორიდის პროცენტული შემცველობა სხვადასხვა ტემპერატურაზე.

ტემპერატურა °C	ფოსფორ(III)-ის ქლორიდის შემცველობა, %
200	48
300	95
400	99


- როგორ შეიცვლება ნარევში PCl_5 -სა და Cl_2 -ის შემცველობა ტემპერატურის ცვლილებისას?
- რეაქცია ეგზოთერმულია თუ ენდოთერმული? პასუხი დაასაბუთეთ.

დ) ფოსფორ(V)-ის ქლორიდი კარგად იხსნება წყალში და გვაძლევს ფოსფორმჟავასა და ქლორნყალბადს. დაწერეთ რეაქციის ტოლობა.

27. ეთილის სპირტს დიდი გამოყენება აქვს. წარმოებაში იგი მიიღება ეთილენის პი-დრატაციით. რეაქცია ეგზოთერმულია.



- ა) დაასახელეთ ორი პირობა, რომელიც გაზრდის სპირტის გამოსავლიანობას.
 ბ) გრაფიკზე ნაჩვენებია სხვადასხვა ტემპერატურაზე ეთანოლის გამოსავლიანობა პროცენტებში.



როგორ და რატომ იცვლება ტემპერატურის ზრდასთან ერთად ეთანოლის გამოსავლიანობა?

- გ) როგორ იმოქმედებს ამ რეაქციაზე წნევის გაზრდა? პასუხი დაასაბუთეთ.
 დ) დაასახელეთ ეთანოლის გამოყენების მინიმუმ ორი სფერო.

თემა 2. ქიმიური კინეტიკა



განვლილი მასალის შეჯამება

დარწმუნდით, რომ იცით:

- ენერგია არც ქრება და არც წარმოიქმნება, მხოლოდ ერთი ტიპის ენერგია გარდაიქმნება სხვა ტიპის ენერგიად, ამიტომ სამყაროს ენერგია მუდმივია.
- ტემპერატურა არის ნაწილაკების მოძრაობის საშუალო კინეტიკური ენერგიის საზომი; ხოლო სითბო – ენერგიის გადაცემის ფორმა.
- ეგზოთერმულ რეაქციებში სითბო გამოიყოფა და სისტემიდან გადაეცემა გარემოს, შესაბამისად, გარემოს ტემპერატურა იმატებს.
- ენდოთერმულ რეაქციებში სითბო შთაინთქმება სისტემის მიერ და გარემოს ტემპერატურა იკლებს.
- ეგზოთერმულ რეაქციაში გამოყოფილი სითბოს რაოდენობას მიუთითებენ-პროდუქტების მხარეს “+” ნიშნით ან რეაგენტების მხარეს “-” ნიშნით.
- ენდოთერმული რეაქციის თერმოქიმიურ ტოლობაში შთანთქმული სითბო შეიძლება-ჩაინეროს რეაგენტების მხარეს “+” ნიშნით ან პროდუქტების მხარეს “-” ნიშნით.
- ბმის ენერგია არის ენერგიის ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა სტანდარტულ პირობებში აირად მდგომარეობაში მყოფ 1 მოლ ნივთიერებაში კოვალენტური ბმების გასაწყვეტად.
- ბმის განყვეტისას ენერგია შთაინთქმება, ხოლო წარმოქმნისას - გამოიყოფა.
- ქიმიური რეაქციის სიჩქარე დროის ერთეულში რეაგენტების ან პროდუქტების კონცენტრაციის (მასის, მოცულობის) ცვლილებას გვიჩვენებს.
- რეაქციის მსვლელობისას რეაგენტების რაოდენობა იკლებს, პროდუქტებისა კი – იმატებს.
- ღროვის ერთსა და იმავე ერთეულში რეაგენტის ხარჯვისა და პროდუქტების წარმოქმნის სიჩქარეები ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც მათი სტექიომეტრიული კოეფიციენტები.
- რეაქციის დასაწყებად საჭიროა რეაგენტთა მოლეკულებში არსებული ბმები განყდეს, რისთვისაც ისინი ერთმანეთს უნდა დაეჯახოს შესაბამისი სიჩქარით და სივრცეში სწორი მიმართულებით (ორიენტაციით).
- მინიმალურ ენერგიას, რომელიც უნდა ჰქონდეს მორეაგირე ნივთიერების ერთ მოლს, რათა გარდაიქმნას პროდუქტად, აქტივაციის ენერგია ეწოდება.
- ქიმიური რეაქციის სიჩქარეზე მოქმედი ფაქტორებია: ტემპერატურა, რეაგენტების კონცენტრაცია, შეხების ზედაპირის ფართობი და კატალიზატორი.
- ტემპერატურის მატებით ქიმიური რეაქციის სიჩქარე იზრდება.
- რეაგენტების კონცენტრაციის გაზრდით ქიმიური რეაქციის სიჩქარე იზრდება.
- რაც მეტია რეაგენტთა შეხების ზედაპირის ფართობი, მით უფრო სწრაფად მიმდინარეობს რეაქცია.
- კატალიზატორი ნივთიერებაა, რომელიც ქიმიურ რეაქციას აჩქარებს, თვითონ კი რეაქციის დასრულების შემდეგ უცვლელი რჩება.

თემა 2. ქიმიური კინეტიკა

- კატალიზატორის თანაობით მიმდინარე რეაქციის აქტივაციის ენერგია ბევრად ნაკლებია, ვიდრე მის გარეშე.
- ფერმენტები ანუ ენზიმები ბიოლოგიური კატალიზატორებია, ისინი ორგანიზმში მიმდინარე მნიშვნელოვანი ქიმიური რეაქციების კატალიზატორებს წარმოადგენს.
- ქიმიურ ნივთიერებას, რომელიც ქიმიური რეაქციის სიჩქარეს ამცირებს, ინპიბიტორი ეწოდება.
- სარეაქციო სისტემის მდგომარეობას, როდესაც პირდაპირი და საპირისპირო რეაქციების სიჩქარეები ტოლია, ქიმიური წონასწორობა ეწოდება.
- წონასწორულ მდგომარეობაში რეაგენტებისა და პროდუქტების კონცენტრაციები უცვლელია.
- როდესაც რაიმე გარე ფაქტორის მოქმედებით ირღვევა წონასწორობა, სისტემა მოქმედებს ცვლილების წინააღმდეგ და მყარდება ახალი წონასწორობა.
- რეაგენტ(ებ)ის კონცენტრაციის გაზრდა იწვევს წონასწორობის გადახრის პროდუქტების წარმოქმნის მხარეს და პირიქით, რეაგენტ(ებ)ის კონცენტრაციის შემცირება იწვევს წონასწორობის გადახრას რეაგენტების მხარეს.
- ტემპერატურის გაზრდით წონასწორობა გადაიხრება ენდოთერმული რეაქციის მიმართულებით, ხოლო შემცირებით - ეგზოთერმული რეაქციის მიმართულებით.
- წნევის გაზრდით წონასწორობა გადაიხრება იმ რეაქციის მიმართულებით, რომელიც წნევის შემცირებით მიმდინარეობს და პირიქით, წნევის შემცირებით წონასწორობა გადაიხრება წნევის გაზრდის მხარეს. წნევას გავლენა აქვს სისტემაში არსებულ მხოლოდ აირად კომპონენტებზე.
- კატალიზატორი წონასწორობაზე გავლენას არ ახდენს, მხოლოდ ცვლის პირდაპირი და საპირისპირო რეაქციების სიჩქარეს.

დამხმარე მასალა



უსაფრთხოების წესები სასკოლო საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში მუშაობის პროცესში



ყურადღებით წაიკითხეთ ყველა
ინსტრუქცია. თუ რომელიმე
ინსტრუქცია ან პროცედურა
გაუგებარია, სამუშაოს დაწყების წინ
ჰქონდეთ მასწავლებელს.



არასოდეს იმუშაოთ
ლაბორატორიაში
უფროსის
თანდასწრების
გარეშე.



ლაბორატორიაში
მუშაობის დროს უნდა
გეცვათ დახურული
ფეხსაცმელი. გრძელი
ომა უნდა შეიკრათ და
არ გამოიყენოთ დიდი
ზომის სამკაული.



პრადი უსაფრთხოების მიზნით
აუცილებელია ლობორატორიული
სამუშაოების შესრულების დროს ატაროთ
ხალათი, დამცავი სათვალე, გამოიყენოთ
დამცავი ხელთათმანები.



ნებისმიერი შემთხვევის
შესახებ დაუყოვნებლივ
შეატყობინეთ
მასწავლებელს.



გაცხელების დროს
არასოდეს მიმართოთ
სიჯარის პირი თქვენკენ
ან სხვისკენ.



ლაბორატორიაში ნებისმიერ
დროს აკრძალულია ჭამა
და სმა. არ გამოიყენოთ
ლაბორატორიული
ჭურჭელი საჭმლის
შესანახად.



დაუშვებელია
ლაბორატორიაში
სირბილი და
თამაში.



მოერიდეთ ნივთიერებების
ორთქლის შესუნთქვას.
დაუშვებელია
ნივთიერებების შეხება,
დაყნოსვა ან გასინჯვა.



დარწმუნდით, რომ ზუსტად
იცით, სად მდებარეობს
პირველადი დახმარების
ნაკრები, ცეცხლსაქრობი,
უსაფრთხოების შხაპი,
თვალების დასაბანი.



ნებისმიერ ელექტრულ
ხელსაწყოსთან მუშაობის
შემთხვევაში ხელები უნდა
გქონდეთ მშრალი.



თუ რომელიმე ნივთიერება
დაგესხათ კანზე, სასწავლოდ
ჩამოიპანეთ დიდი
რაოდენობით წყლით.



გამოყენების წინ
აუცილებლად შეამონეთ
მინის ჭურჭელი, რათა არ
იყოს დაზიანებული ან
გაბზარული.



ლაბორატორიული სამუშაოს
დამთავრების შემდეგ
ყველაფერი დააბრუნეთ თავის
ადგილზე. დაასუფთავეთ
სამუშაო მაგიდა. დაიბანეთ
ხელები საპნით. გამორთეთ
ელექტრული ხელსაწყოები.

**როგორ იწერება და როგორ იკითხება ზოგიერთი
ქიმიური ელემენტის სიმბოლო**

სიმბოლო	ქართული სახელწოდება	ლათინური სახელწოდება	როგორ წავიკითხოთ ფორმულაში
H	ნივალბადი	Hydrogenum	ჰაჟ
O	ჟანგბადი	Oxygenium	ო
C	ნახშირბადი	Carboneum	ცე
N	აზოტი	Nitrogenum	ენ
S	გოგირდი	Sulphur	ეს
P	ფოსფორი	Phosphorus	პე
Si	სილიციუმი	Silicium	სილიციუმი
Cl	ქლორი	Chlorum	ქლორი
F	ფფორი	Fluorum	ფფორი
Br	ბრომი	Bromum	ბრომი
I	იოდი	Iodium	იოდი
Fe	რკინა	Ferrum	ფერუმი
Al	ალუმინი	Aluminium	ალუმინი
Na	ნატრიუმი	Natrium	ნატრიუმი
K	კალიუმი	Kalium	კალიუმი
Li	ლითიუმი	Lithium	ლითიუმი
Ca	კალციუმი	Calcium	კალციუმი
Mg	მაგნიუმი	Magnesium	მაგნიუმი
Ba	ბარიუმი	Barium	ბარიუმი
He	ჰელიუმი	Helium	ჰელიუმი
Ne	ნეონი	Neon	ნეონი
Kr	კრიპტონი	Kryptonum	კრიპტონი
Ar	არგონი	Argon	არგონი
Zn	თუთია	Zincum	ცინკუმი
Sn	კალა	Stannum	სტანუმი
Pb	ტყვია	Plumbum	პლუმბუმი
Cr	ქრომი	Chromium	ქრომი
Mn	მანგანუმი	Manganum	მანგანუმი
Co	კობალტი	Cobaltum	კობალტი
Ni	ნიკელი	Nicolum	ნიკელი
As	დარიშხანი	Arsenicum	არსენიუმი
Cu	სპილენდი	Cuprum	კუპრუმი
Ag	ვერცხლი	Argentum	არგენტუმი
Au	ოქრო	Aurum	აურუმი
Hg	ვერცხლისნყალი	Hydrargyrum	ჰიდრარგირუმი
Pt	პლატინა	Platinum	პლატინუმი
U	ურანი	Uranium	ურანიუმი

ქიმიაში ხშირად გამოყენებული ერთეულები

პრეფიქსი	პიკო (პ)	ნანო (ნ)	მიკრო (მკ)	მილი (მ)	სანტი (ს)	დეცი (დ)	კილო (კ)
მნიშვნელობა	10^{-12}	10^{-9}	10^{-6}	10^{-3}	10^{-2}	10^{-1}	10^3

განზომილება	სიგრძე	დრო	მასა	მოცულობა	რაოდენობა
ერთეული	მეტრი	წამი	გრამი	ლიტრი	მოლი
აღნიშვნა	მ	წმ	გ	ლ	მოლი

სიგრძე:

$$1 \text{ მ} = 10^{12} \text{ პმ} = 10^9 \text{ ნმ} = 10^6 \text{ მკმ} = 10^3 \text{ მმ} = 10^2 \text{ სმ} = 10^{-3} \text{ კმ}$$

დრო:

$$1 \text{ წმ} = 10^9 \text{ ნწმ} = 10^6 \text{ მკწმ} = 10^3 \text{ მმწმ}$$

$$1 \text{ წთ} = 60 \text{ წმ}$$

$$1 \text{ სთ} = 60 \text{ წთ} = 3600 \text{ წმ}$$

მასა:

$$1 \text{ გ} = 10^9 \text{ ნგ} = 10^6 \text{ მკგ} = 10^3 \text{ მგ} = 10^{-3} \text{ კგ}$$

მოცულობა:


$$1 \text{ ლ} = 10^6 \text{ მკლ} = 10^3 \text{ მმლ} = 1 \text{ დმ}^3 = 10^{-3} \text{ მ}^3$$

რაოდენობა:

$$1 \text{ მოლი} = 10^6 \text{ მკმოლი} = 10^3 \text{ მმმოლი} = 10^{-3} \text{ კმოლი}$$

მეტალთა ელექტროქიმიური აქტიურობის მწკრივი

აქტიურობა მცირდება




ელემენტთა ფარდობითი ელექტროუარყოფითობების ცხრილი

1 H 2.2																
3 Li 1.0	4 Be 1.6															
11 Na 0.9	12 Mg 1.3															
19 K 0.8	20 Ca 1.0	21 Sc 1.4	22 Ti 1.5	23 V 1.6	24 Cr 1.7	25 Mn 1.6	26 Fe 1.8	27 Co 1.9	28 Ni 1.9	29 Cu 1.9	30 Zn 1.7	31 Ga 1.8	32 Ge 2.0	33 As 2.2	34 Se 2.6	35 Br 3.0
37 Rb 0.8	38 Sr 1.0	39 Y 1.2	40 Zr 1.3	41 Nb 1.6	42 Mo 2.2	43 Tc 2.1	44 Ru 2.2	45 Rh 2.3	46 Pd 2.2	47 Ag 1.9	48 Cd 1.7	49 In 1.8	50 Sn 2.0	51 Sb 2.1	52 Te 2.1	53 I 2.7
55 Cs 0.8	56 Ba 0.9	57 La* 1.1	72 Hf 1.3	73 Ta 1.5	74 W 1.7	75 Re 1.9	76 Os 2.2	77 Ir 2.2	78 Pt 2.2	79 Au 2.4	80 Hg 1.9	81 Tl 1.8	82 Pb 1.8	83 Bi 1.9	84 Po 2.0	85 At 2.2
87 Fr 0.7	88 Ra 0.9	89 Ac** 1.1														

მარილების, ფუძეებისა და მჟავების წყალში ხსნადობის ცხრილი

იონები	H ⁺	NH ₄ ⁺	K ⁺	Na ⁺	Ag ⁺	Ba ²⁺	Ca ²⁺	Mg ²⁺	Zn ²⁺	Cu ²⁺	Hg ²⁺	Pb ²⁺	Fe ²⁺	Fe ³⁺	Al ³⁺
OH ⁻		ხს*	ხს	ხს	-	ხს	მხ	უ	უ	უ	-	უ	უ	უ	უ
F ⁻	ხს	ხს	ხს	ხს	ხს	უ	უ	უ	მხ	მხ	ხს	უ	მხ	ხს	მხ
Cl ⁻	ხს	ხს	ხს	ხს	უ	ხს	ხს	ხს	ხს	ხს	ხს	მხ	ხს	ხს	ხს
Br ⁻	ხს	ხს	ხს	ხს	უ	ხს	ხს	ხს	ხს	ხს	მხ	მხ	ხს	ხს	ხს
I ⁻	ხს	ხს	ხს	ხს	უ	ხს	ხს	ხს	ხს	ხს	უ	უ	ხს	-	ხს
S ²⁻	ხს**	ხს	ხს	ხს	უ	-	-	-	უ	უ	უ	უ	უ	უ	-
NO ₃ ⁻	ხს	ხს	ხს	ხს	ხს	ხს	ხს	ხს	ხს	ხს	ხს	ხს	ხს	ხს	ხს
SO ₃ ²⁻	ხს*	ხს	ხს	ხს	მხ	მხ	მხ	მხ	მხ	-	-	უ	მხ	-	-
SO ₄ ²⁻	ხს	ხს	ხს	ხს	მხ	უ	მხ	ხს	ხს	ხს	ხს	უ	ხს	ხს	ხს
CO ₃ ²⁻	ხს*	ხს	ხს	ხს	უ	უ	უ	უ	უ	-	-	უ	უ	-	-
SiO ₃ ²⁻	უ	-	ხს	ხს	უ	უ	უ	უ	უ	-	-	უ	უ	-	-
PO ₄ ³⁻	ხს	ხს	ხს	ხს	უ	უ	უ	უ	უ	უ	უ	უ	უ	უ	უ
CH ₃ COO ⁻	ხს	ხს	ხს	ხს	მხ	ხს	-	-							

* - ნაერთი ადვილად იშლება აირის გამოყოფით:



** - ხსნარიდან აირის სახით გამოიყოფა: H₂S ↑

ხს - ხსნადი; მხ - მცირედ ხსნადი; უ - უხსნადი; „-“ - ნაერთი არ არსებობს ან წყლით იშლება.

ქიმიური ელემენტების პერიოდულობის ცხრილი (გრძელი)

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18															
IA	IIA	IIIB	IVB	VB	VIB	VIIIB	VIIIB	VIIIB	VIIIB	IB	IIIB	IIIIA	IVA	VA	VIIA	VIIA	VIIIA																
ელემენტთა ცხრილი																																	
ატომური რაოდინი და ელემენტების განვითარება მსოფლიოში																																	
1 H ჰელიუმი 1008	2 Li ლითიუმი 6.94	3 Na ნატრიუმი 22.99	4 Be ბერილიუმი 9.01	5 B ბორიუმი 10.81	6 C კორსონი 12.01	7 N ნიკელი 14.01	8 O ოქსიდი 15.99	9 F ფლუიდი 19.00	10 Ne ნეონი 20.18	11 Al ალიკორი 26.98	12 Si სილიკონი 28.08	13 P ფიზიკი 30.97	14 S სილიკონი 32.06	15 Cl კლინიკური 35.45	16 Ar არაკი 39.95	17 Br ბრიკური 79.90	18 Kr კრისტალი 83.80	19 Xe ხილის კრისტალი 131.29															
20 Ca კარიუმი 40.08	21 Sc სერიუმი 44.96	22 Ti ტიტანი 47.87	23 V ვაკონი 50.94	24 Cr კრომი 52.00	25 Mn მანგანი 54.94	26 Fe ჰერკული 55.85	27 Co კორსონი 58.93	28 Ni ნიკელი 58.69	29 Cu კურიუმი 63.55	30 Zn ზონკი 65.38	31 Ga გარიელი 69.72	32 Ge გერმანიუმი 72.63	33 As ასტრიდი 73.97	34 Se სერენი 78.97	35 Br ბრიკური 79.90	36 I იდორი 126.90	37 Kr კრისტალი 83.80	38 Xe ხილის კრისტალი 131.29															
39 K კალიუმი 39.10	40 Ca კარიუმი 40.08	41 Sc სერიუმი 44.96	42 Tc ტეკსიური 97.91	43 Nb ნიბერიუმი 95.95	44 Mo მონიტო 92.91	45 Ru რუბინი 101.07	46 Rh რიბიუმი 102.91	47 Pd პედიუმი 106.42	48 Ag აგანდურებული 107.87	49 Cd კოდიუმი 112.41	50 In ინდიუმი 114.82	51 Sn სინკონი 116.71	52 Te თერმიუმი 121.76	53 I იდორი 127.60		54 Rn რენერიუმი 222.02	55 Cs ცესიუმი 132.91	56 Ba ბარიუმი 137.33	57-71 Hf ჰაფნიუმი 178.49	72 Ta თანტალუმი 180.95	73 W ვარიუმი 183.84	74 Re რებიუმი 190.23	75 Os ოსმიუმი 196.97	76 Pt პეტიუმი 195.08	77 Au აურიუმი 196.97	78 Hg ჰერკული 200.59	79 Pb პიტიუმი 207.2	80 Bi ბირიუმი 208.98	81 Po პორტუმი 208.98	82 At ატომიუმი 209.99		83 Rn რენერიუმი 222.02	
84-108 Cs-Rf ცესიუმი-რენერიუმი 132.91	85-87 Fr ფრანიუმი 226.03	88 Ra რადიოუმი 226.03	89-91 Ac-Lr აკიტიუმი-ლიტიუმი 227.12	92-94 Db-Bf დიబოւრიუმი-ბერიუმი 270.13	95 Sg სერიუმი 269.13	96 Bh ბერიუმი 270.13	97 Hs ჰერკული 278.16	98 Mt მონტანიუმი 261.17	99 Ds დიდიუმი 281.17	100 Rg რენერიუმი 285.18	101 Nh ნიბერიუმი 286.18	102 Fl ფლუიდი 285.19	103 Mc მონტანიუმი 289.20	104 Lv ლიტიუმი 293.20		105 Tl თელური 293.21	106 Og օგნიუმი 293.21																
57 La ლალიუმი 136.91	58 Ce ცერიუმი 140.12	59 Pr პროპაցიუმი 144.24	60 Nd ნიბერიუმი 144.51	61 Pm პრომეციუმი 144.91	62 Sm სიმერკეუმი 150.55	63 Eu ერიუმი 151.96	64 Gd გიდიუმი 158.95	65 Tb ტერ्मიუმი 162.50		66 Dy დიდიუმი 166.53	67 Ho ჰერკული 167.53	68 Er ერიუმი 168.93	69 Tm ტერმიუმი 169.93	70 Yb იბიუმი 173.05	71 Lu ლულიუმი 175.0																		
89 Ac აკიტიუმი 227.03	90 Th თელიური 232.04	91 Pa პარამანგანი 231.04	92 U ურანიუმი 231.04	93 Np ნიბერიუმი 238.03	94 Pu පურანიუმი 237.03	95 Am ამერიკიუმი 243.06	96 Cf კორნელიუმი 247.07	97 Bk ბერკულიუმი 247.07	98 Cf კორნელიუმი 251.08	99 Es ესტრიუმი 252.08	100 Fm ფერმერიუმი 253.10	101 Md მედიუმი 257.10	102 No ნიტომანგანი 258.10	103 Lr ლულიუმი 262																			

Հիմունի լեզվերի քարտացների կերպարների ընթաց (թույլ)

		Ճ	Հ	Յ	Ձ	Ե	Ե	Թ	Ո	Ճ	Յ	Ջ	Ց	Ց	Յ	Ջ	Օ			VIII	B	
		A	I	B	A	B	III	A	B	V	A	B	VI	A	B	VII	A	B	VIII	A	VIII	B
I	1	H	1														(H)	2	He			
II	2	Li	3	Be	4	5	B	6	C	7	N	8	O	9	F	10	Ne					
III	3	Na	11	Mg	12	13	Al	14	Si	15	P	16	S	17	Cl	18	Ar					
IV	4	K	19	Ca	20	Sc	21	Ti	22	V	23	Cr	24	Mn	25	Fe	26	Co	27	Ni	28	
IV	29	Cu	30	Zn	31	Ga	32	Ge	33	As	34	Se	35	Br	36	Kr					58.70	
V	5	53.55	65.38	69.72	72.59	74.92	78.96	79.90	83.80													
V	6	Rb	37	Sr	38	Y	39	Zr	40	Nb	41	Mo	42	Tc	43	Ru	44	Rh	45	Pd	46	
V	7	Ag	48	Cd	49	In	50	Sn	51	Sb	52	Te	53	I	54	Xe					106.40	
VI	8	Cs	55	Ba	56	La*	57	Hf	72	Ta	73	W	74	Re	75	Os	76	Ir	77	Pt	78	
VI	9	79	Au	80	Hg	81	Tl	82	Pb	83	Bi	84	Po	85	At	86	Rn					
VI	9	196.97	200.59	204.37	207.20	203.98	209.1	210.0	209.1	209.1	210.0	210.0	210.0	210.0	210.0	210.0	210.0	210.0	210.0	210.0	210.0	210.0
VII	10	Fr	87	Ra	88	Ac**	89	Rf	104	Db	105	Sg	106	Bh	107	Hs	108	Mt	109	Ds	110	
VII	11	Rg	111	Cn	112	113	Nh	114	Fl	115	Mc	116	Lv	117	Ts	118	Og					[276]

* Ծանօթաթոշացքի

58	Ce	59	Pr	60	Nd	61	Pm	62	Sm	63	Eu	64	Gd	65	Tb	66	Dy	67	Ho	68	Er	69
140.12	140.91	144.24	144.24	[145]	150.40	151.96	157.25	158.93	162.50	164.93	167.26	168.93	174.04	174.97								
90	Th	91	Pa	92	U	93	Ng	94	Pu	95	Am	96	Cm	97	Bk	98	Cf	99	Es	100	Fm	101
232.04	231.04	238.03	237.05	[244]	[243]	[247]	[247]	[247]	[247]	[247]	[247]	[247]	[247]	[247]	[247]	[247]	[251]	[251]	[257]	[254]	[259]	[262]

** Աշխարհագոյնի

გამოსათვლელი დავალებების პასუხები

83. 16-17

2. 16950 კჯ; 3. 752500 კჯ; 4. a) 1950 კჯ; b) 560 ლ; 6. 501528 კჯ.

83. 22

2. 38 საათი.

83. 31

1. 242 კჯ/მოლი; 2. 103 კჯ; 3. 95 კჯ

83. 33-34 (შემაჯამებელი სავარჯიშოები)

1. 4 გ; 2. 31.9 კჯ; 3. 228.9 კჯ; 4. 1.66 კგ; 5. 11 °C ; 6. 4868.5 გ; 9. 204 კჯ

83. 41

1. 0.001 მოლი/ლ·წმ; 2. 0.25 მოლი/ლ;

83. 46

1. a) 11 კჯ

83. 55

3. 8-ჯერ; 4. $\gamma = 3$; 5. 100 °C ; 6. 64-ჯერ.

83. 67

1. b) 2144 კჯ; e) 34 გ; g) 11.2 ლ.

83. 70-71 (შემაჯამებელი სავარჯიშოები).

5. გაიზრდება 243-ჯერ; 6. გაიზარდოს 30 °C -ით. 7. $\gamma = 2$; 8. 80 °C

83. 78

1. 1.92; 2. 3.29 მოლი/ლ

83. 87-88

5. $[A]=0.5$ მოლი; $[B]=0.5$ მოლი; $[D]=1.5$ მოლი. 6. შემცირდებოდა $\frac{4}{3}$ -ჯერ.
10. a) 28.65; b) 48.33; g) 0.001; დ) 410

83. 89-102 (თემის შემაჯამებელი სავარჯიშოები)

8. გ) 168 კჯ; 17. გ) 277.5 კჯ; 18. ბ) 13100 კჯ; 19. დ) 5.08 გ; 23. ვ) 179.2 ლ; 24. დ) 0.004 გ.

გამოყენებული რესურსები:

1. <http://chemistry.ge/>
2. <https://el.ge>
3. <https://iupac.org>
4. <https://www.cas.org>
5. <https://www.britannica.com>

6. <https://chem.libretexts.org>

7. <https://www.acs.org>

სურათები:

<https://www.shutterstock.com/>